


საერთაშორისო ავიაკომპანია

ორპირი თბილისი სტოკჰოლმი




NOBELPRISET
 The Nobel Prize
 *
 NOBELSTIFTELSEN
 HÖGSKOLEN
 DEN 10 SEPTEMBER 2000
 *
 FRIBUDDELNINGEN
 KONVOKTERET



ორპირი-თბილისი- სტოკჰოლმი

ზურა ოდილავაძე

ორპირი-თბილისი-სტოკჰოლმი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

თბილისი

2014

რედაქტორი ნინო გოგალაძე

დიზაინერები: ლადო ლომსაძე, ია მახათაძე, თამარ თათელაძე

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი

ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65

ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-151-3

Zura Odilavadze

ORPIRI-TBILISI-STOCKHOLM

Georgian translation published by Sulakauri Publishing, 2014
All rights reserved.

www.sulakauri.ge

ნაწილი I.

სული, თავი და კიდურები

თავი I. საული

1. მკვდრეთით აღდგინება ორპირში

1998 წელს ინფექციური საავადმყოფოს ჰეპატიტების განყოფილებაში გარდაცვალების მაჩვენებელი მეტად მაღალი აღმოჩნდა. იგივე ტენდენცია შეიმჩნეოდა 1999 წელსაც. ცხადია, დავით ვაშაკიძის მოახლოებული სიკვდილი კიდევ უფრო დაამძიმებდა ისედაც არასახარბიელო სტატისტიკურ სურათს, რის გამოც ის საავადმყოფოდან სასწრაფოდ გამოწერეს. განყოფილების გამგემ დათოს დედა კაბინეტში შეიყვანა და გულწრფელად მიუგო: „ქალბატონო ლია, წაიყვანეთ სახლში, ბარემ საკუთარ საწოლში დალიოს სული და ხარჯსაც ნაკლებად გასწევთ“. დავითი საკაცით იმერეთის რაიონულ ცენტრში, ორპირში, წაათრიეს, დიდ ოთახში ტახტზე დადეს და ისიც სიკვდილისთვის მზადებას შეუდგა...

ორპირი იმერეთის ერთ-ერთი რაიონული ცენტრია, რომლის მთელი მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე მართალია ღვთისა და ერის წინაშე. ჯემალსაც (მეტსახელად ჯემოს) გულწრფელად სჯეროდა,

რომ ორპირელები, თბილისელებთან შედარებითაც კი, ყველზე მტკიცედ იცავდნენ ჭეშმარიტი სარწმუნების მცნებებს. ამიტომაც, პირველ ყოვლისა, ამ პატარა რაიონის, ხოლო შემდეგ, მთელი საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული იყო ქვეყნიერების ბოროტება, თვით ბნელეთის თავადი – სატანა! ამ ბრძოლაში კი, ჯემოს აზრით, მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთი იყო მისი სამშობლოს პატრონი და მსოფლიო მასონიზმისგან მხსნელი. აბა, როგორ იფიქრებდა, ამას ხომ არა ვილაც, არამედ თვით ზადენი-ორპირის მთავარებისკოპოსი პეხო (დიდია) ქადაგებდა, რომლის სწავლების მიხედვითა და ჯეკოს გადმოცემით, მეუფე 70 მფარველი ანგელოზით იყო გარშემოხვეული. მცველ ანგელოზთა იმავე რაოდენობას, ოღონდ, უკვე მღვდელთმთავრის კურთხევით, ჭვრეტდა ამავე ეპარქიის სოფელ გრაკალის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი მამა კანდელიც.

ორპირი ტიპური პერიფერიული ქალაქია, მოასფალტებული მთავარი მოედნით, რომლის გარშემოც განლაგებულია რაიონული ცენტრისთვის დამახასიათებელი – „კულტურის სახლი“, რკინიგზის სადგური და გამგეობის შენობა. ორპირელთა განსაკუთრებულობაზე საგანგებოდ მიგვანიშნებს იმავე მოედნის მონუმენტური ნაწილი, რომელიც მოსახლეობის სიამაყის წყაროა. ეს გახლავთ სადგურის შენობის გვერდით, პოსტამენტზე დაგმული „ბრონზის“ სტალინი და მოასფალტებული მოედნის ცენტრში გაშენებული დიდი ბალახოვანი ყვავილნარი, ხუთმეტრიანი შაოსანი ქალით. პანორამა ათეულობით წლებია არ შეცვლილა: შინმოუსვლელის დედა „დიდი სამამულო ომის“ უცნობი ჯარისკაცის საფლავს დასტირის; თავჩაქინდრულს დაღუპული გმირის გულზე დასადები გვირგვინი უჭირავს; ბალახს, მწვანე დეკორაციულ ნარგავებს ზანტად, უნდომ-

ლად სამი მონყენილი ძროხა და ორი უსიცოცხლო ჯაგლაგი ცოხნის; ასფალტის მოედანს ყვავილნარის მიმართულებით ღორების კოლტი კვეთს... კობა ჯულაშვილს უნესრიგობა არ უყვარს, არც ღორებს სწყალობს – ებრაელები აგონდება, მაგრამ ბეჭებში გადაჭრილსა და თაბაშირით გაუვნებელყოფილს მანინც უნევს ამ უმსგავსობის ატანა! ბელადის გულის მოსალობად ორპირელებმა ის შეალამაზეს: ამოტეხილი ადგილები თაბაშირით ამოუვსეს და ბრჭყვიალა საღებავით მოოქრულს ლაქიც გადაუსვეს. გალაქული სტალინი რაიონის მოსახლეობის გულის გასახარად ახლაც დგას, უღვაშებში გაღიმებული მზეზე ლაპლაპებს და მოედნის სივრცეს ფხიზლად აკვირდება...

ნამორფინისტალი, ბოლოს კი გალოთებული დათო-„ექიმი“ სწორედ ამ ქალაქში ეგდო ლოგინზე და ღვიძლის ციროზისგან გარდაცვალებას ელოდა. გავიდა წელი, ორი... სიკვდილი ძლიერ აგვიანებდა. გაუნძრევლად წოლში დადგა მესამე, 2000 წლის ზამთარი. ის კვლავ ხის მორიგით იდო და ჭერში იყურებოდა. ყველაზე სასარგებლო, რასაც ამ დროისთვის მიაღწია, აზროვნების სრული გათიშვა იყო. არც წარსულის გახსენება, არც მომავალზე ფიქრები, ტვინი მხოლოდ ჭერის ან „ტრილიაჟის“ ჭუჭყიანი სარკის ზედაპირის მოხატულობაში ნაირნაირი სპილოების, ჟირაფებისა თუ კუზიანი მოხუცების ამოცნობით იყო დაკავებული. რამდენიმესაათიანი დაკვირვების შემდეგ ეს გართობაც ღლიდა, დათო გვერდს იცვლიდა და იძინებდა. სიზმრები მუქი, მაგრამ მკაფიო ფერებით, მისტიკური შინაარსითა და იდუმალი ნათებით იმქვეყნიურ ხილვებს უფრო წააგავდა, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავის თავში გაჩენილ ზმანებებს...

ერთხელაც, ავადმყოფის მონახულება მაღლიაო, და ღვთის სათნო საქმის აღსასრულებლად დათოს ქუჩის ძველი

მეგობარი, ჯემალი, ესტუმრა. სარეცელზე გაშხლართულ დავით ვაშაკიძეს აღარაფერი ახარებდა, ვერც მნახველებს იტანდა, მაგრამ ჯემო სულ სხვა იყო – რალაც გულისამაჩუყებელ და, იმავდროულად, მანუგეშებელ ისტორიებს ჰყვებოდა. ამ ნახევრად ზღაპრულ ამბებში უამრავი წმინდანი, ბერი თუ მონაზონი, ისევე, როგორც მომაკვდავი დათო, ძალიან ბევრს ნვალობდა, ოღონდ არ ნებდებოდა, დაბოლოს იმ, დავითისთვის ჯერ კიდევ ჰიპოთეტურ ზეციურ სამყაროში გამარჯვებული შედიოდა. თანაც, დაბალი თვითშეფასებით დაკომპლექსებული ექიმისთვის მეტად მომხიბვლელი შეიქნა ის გარემოება, რომ ეს ადამიანები მინიერი ცხოვრების დასრულებამდეც დიდ პატივითა და გმირის სახელით სარგებლობდნენ. ამას გარდა, დავითის ქაბუკური რომანტიზმით დაზიანებული წარმოსახვა განსაკუთრებულ ექსტაზში მოჰყავდა ჯემოს წირვიდან მოტანილ პეტერიკებს, რომლებშიც წმინდანები დაფრინავდნენ, დროსა და სივრცეში მოგზაურობდნენ, მათი ბრძანებით, მთებიც კი გადაადგილდებოდნენ და საერთოდაც, ეს ზეადამიანები ფიზიკისა თუ ბიოლოგიის კანონებს არად აგდებდნენ! ავადმყოფმა ვეღარ გაუძლო ჯემოს ხანგრძლივ შემოტევას და იქვე, მეზობლად, მამა კანდელთან გადასვლაზე დასთანხმდა. ვიზიტმა ყველაფერი შეცვალა: სნეული ექიმი უშუალოდ სიკვდილის მომენტზე ყურადღებას აღარ ამახვილებდა და ზეციურ იერუსალიმზე ოცნებობდა. დაიწყო დავით ვაშაკიძის შვიდწლიანი ეკლესიური გზა. როგორც მრევლში განმარტავდნენ, სარეცელს მიჯაჭვული სნეული, ღვთის მადლით, სასწაულებრივ განიკურნა და ჭეშმარიტ რწმენას შეუდგა.

2. სულიერი მწვრთნელი – მამა კანდელი (შენიშნული)

ჩვეულებისამებრ, მოსაღამოვებულს ორივე მორწმუნე, გრძელი წვერითა და თავზე ჯვრიანი ქუდებით, ზეციურ პრობლემებზე სასაუბროდ მამა კანდელთან გადადიოდა. იმ დღესაც ასე მოიქცნენ. დათომ მისართმევი ძღვენი – ჩუჩხელები გაახვია, ათი ლარიც ზედ დაადო და მეგობრები მღვდლის სახლისკენ გაემართნენ...

ორპირში დამკვიდრების შემდეგ მამა კანდელი და მისი მეუღლე ფოტინია, ქალიშვილობაში ვალენტინა, მეორედ მოსვლისთვის მზადებას შეუდგნენ. ყოველდღიური სურათი ასე გამოიყურებოდა: მარხვითა და ხანგრძლივი მსახურებით დაღლილი მღვდელი ტახტზე წამონოლილი თველემდა და მოახლოებული აპოკალიფსის დეტალებს ძილშივე განიხილავდა. ბავშვისთვის ჩართულ ტელევიზორს, ტიპიკონის მიხედვით, არ უცქერდა.

თეთრი, ფუნთუშასავით მადისმომგვრელი თავნაკრული ქალი, კიტრის ქერქის ნიღაბით სახეზე, გაზის ქურასთან იდგა, ღვიძლის დიეტისთვის ხბოს ხორცს ხარშავდა და იმავე ესქატოლოგიური პრობლემით იყო დამძიმებული. მონყენილი ფოფოდია არმაგედონის მორიგ მწყობრ გეგმას ამუშავებდა და ბრიტანეთის დაძირვის საბოლოო სქემას დაჟინებით ხვწნდა. მის წარმოსახვაში სისხლით უხვად მორწყული „საშინელი სამსჯავროს“ სურათები ტივტივებდა. ამ ფონზე კი სალი კლდესავით მოუდრეკელი ფუნჩულა ქალი, ზეცისკენ მიპყრობილი მზერით, დედა მატრონასავით, შავ მინას ჯვარს სახავდა და პურად ქცეულ ნიადაგს მიირთ-

მევედა. ფოტინიას ყურადღების მიღმა არც საერთაშორისო ამბები რჩებოდა, ის ცალ თვალს ადევნებდა ცისფერ ეკრანზე ჩინეთში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრასა თუ ტაიფუნს და შვილს, დაწყებითი კლასის მოსწავლეს, ნაზი ხმით არიგებდა, – ხედავ, არმაგედოშკა, როგორ იხრჩობიან ზღვაში პატარები, როდესაც ისინი „მართალ“ რწმენას არ მისდევნენო. იმავე ტიპიკონის მიხედვით, არც ფოტინია ადევნებდა თვალს სერიალებს.

სამი წელი სრულდებოდა, რაც პეხო ეპისკოპოსმა მამა კანდელი (შენირული) მღვდლის ხარისხში აიყვანა და სოფელ გრაკალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გაამწესა. ზადენი და ორპირი – გვერდიგვერდ მდებარე, ერთ ეპარქიად გაერთიანებული რაიონული ცენტრებია იმერეთში, ხოლო გრაკალი – მათ შორის მწვანეში ჩაფლული, მოზრდილი სოფელი. ეს ყველაფერი კი საქართველოშია – მითოლოგიურ ქვეყანაში, ასეთივე მეოცნებე, გულუბრყვილო ხალხით. იქ, „ვეფხისტყაოსანი“ რომ დაიწერა XII საუკუნეში და მეფე დავით აღმაშენებელმა დიდგორს 40.000 ათასიანი ჯარით 600.000 ათასიანი უსჯულო „ყიზილბაშთა“ კოალიცია რომ გაჟუჟა, ერთი ქართველი თხუთმეტ ურჯულოზე მაგარია!.. გავიდა დრო, XXI საუკუნეც დადგა და მეუფე პეხომ მამა კანდელი ფიქრზე აკურთხა. აპოკალიფსური ამოცანის ამოხსნა, იმავე მეორედ მოსვლის ზუსტი თარიღისა და ადგილის დადგენა კი ჯერაც ვერ ხერხდებოდა...

- დაგვლოცეთ, მამაო! როგორ ბრძანდებით?
- ღმერთმა დაგლოცოთ. შემოდით, შემოდით. კარგი რა, დათო, ხელცარიელი მოსვლა არ შეიძლება, არა?
- რა ვიცი მამაო, დედამ ჩურჩხელები მოიტანა და წამოვიღე, რა მოხდა ასეთი?

– ფოტინია, გამოართვი და ყავა გაგვიმზადე, პეროგიც... გახსოვდეთ, ჩემო კარგებო, ჩურჩხელა ის პროდუქტია, რომელიც გადაგვატანინებს მეორედ მოსვლის საყოველთაო შიმშილსა და ნგრევას, ომებსა და სისხლს!

– დიდება უფალს! – წარმოთქვა ჯემომ, პირჯვარი გადაინერა და სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ. მღვდელი გაჩუმდა... თითქოს მერყეობდა – ეთქვა თუ არა, რაღაც მნიშვნელოვანი ახლადმოქცეულთათვის?..

– ბიჭებო, ხომ იცით, საეკლესიო კონფერენციაზე ვიყავი ზუგდიდში... ჰოდა, თბილისელი მღვდლები იყვნენ, სამნი, თან ცნობილი მოძღვრები – მინდიაშვილი, გამრეკლიძე და ერთიც... გვარი არ მახსოვს.

ქართული თეოლოგიის ესოდენ დიდი ავტორიტეტების ხსენებაზე სტუმრები სმენად იქცნენ. „მამაომ“ გააგრძელა:

– მოკლედ, მიგვიჩვენე სუფრაზე და ბევრი საინტერესო რამ გვითხრეს. აქ, ხომ იცით, ჩამოვრჩით ახალ ამბებს... თუმცა, ორპირი ცხონებისთვის საუკეთესო ადგილია! თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი ცდუნებაა თბილისში: კომპიუტერო, ქალიო, ამდენი ხალხი და სულ „უმნიკებთაა“ მრევლი სავსე.

მონყენილი ცოლ-ქმრის კლასიფიკაციით, ადამიანთა მოდგმა ორ ძირითად კასტად იყოფოდა – „მართლებად“ და „ნაგვებად“. „მართლებში“ განცალკევებით იდგნენ „უმნიკები“, რომელთაც „არ ასვენებდათ გამჩენი“, მუდამ უადგილო კითხვებს სვამდნენ და ამიტომ, „ნაგვების“ უიმედო კასტისკენ მიისწრაფოდნენ. „ნაგვები“, თავის მხრივ, იყოფოდნენ „უგუნურებად“ (ორპირის არაეკლესიური საზოგადოება) და „მასონ-იელოველ-კათოლიკ-პროტესტანტ-ამერიკელებად“. კიდევ ერთ, ფორმალურად „მართალ“, მაგრამ საეჭვო „ქალაქელების“ ჯგუფს არ ენდობოდა

მოძღვარი. „სულ მგლებივით თბილისისკენ იყურებიანო,– ასე თქვა მეუფემ,– და მაგათ სტიქაროსნებად დადგენასაც ერიდეთ“.

– მოყვეთ რა, მამაო, რა თქვეს? რაო?

– პატრიარქზე იყო საუბარი. მაგარი კაცია! ნამდვილი ცოცხალი წმინდანია! თურმე, რომ დაბაჩუნობს, უცებ წამოიძახებს: „აი, იქ, კუთხეში, თამარ მეფე დგას, წმიდა ნინოსთან ერთად!“...

– ვაა! ჰო, ექნება გამოცხადებები ასეთ წმინდა ადამიანს, აბა, რა! – ორივე სტუმარმა პირჯვარი გადაისახა. დათომ აღფრთოვანებისგან პირიც კი დაალო. გულაჩუყებულ ექიმს ცრემლები მოადგა.

– კიდე თქვეს: სიონში წირვის დროს უცებ გაჩერებულა; თურმე, სულ გაქვავებულა და ერთი საათი მაინც, გაუნძრევლად, ხელაპყრობილი ზეცისკენ იყურებოდა; მთელი წირვა ასე მდგარა, მსახურება სხვებს გაუგრძელებიათ; ბოლოს ერთი ფრაზა უთქვამს: „სტალინი ცხონდა!“

– სტალინი?! – წამოიძახა გაკვირვებულმა დათომ და სკამიდან ოდნავ წამოიწია.

– ჰო, რა გაგიკვირდა? ჩვეულებრივი ადამიანის მერკა და ამხელა მონარქის გადმოსახედი ერთია?! ეს ღმერთმა შესანიშნავად იცის და ამიტომ აცხოვნა სტალინი.

– კი მაგრამ – „გულაგი“, 40 მილიონი..?

– მეც მაგას გეუბნები! ეგ იმითი რასხოდდება, რომ სიონიზმს ებრძოდა, ანუ მასონიზმს. რომელი უფრო მეტია? ეკლესიები აღაშენა, თვითონაც მორწმუნე იყო, მართლმადიდებელი... ოღონდ ფარული. აბა, იმ დროს რა ექნა, ღიად ხომ ვერ იტყოდა, მართლმადიდებელი ვარო?! აკრძალული იყო მორწმუნეობა! ოპტინელ ბერებს ეუბნებოდა აღსარებას. გაზეთში ეწერა, „ალიაში“ და „კანდელშიც“.

დავითი არ ცხრებოდა:

– ისა, მამაო, და Отец Арсений? ათი ათასობით განადგურებული სამღვდელო?.. და აკრძალული იყო რა, თვითონვე არ აკრძალეს?!

– ცხონდაო! ხომ გაიგე – ცხონდა! ის უფრო მეტია ღმერთის თვალში, ებრაელები რომ დაიჭირა, დახვრიტა და ამითი მართლმადიდებლობა განამტკიცა. „მესამე რომის“, იმავე რუსეთის ძლიერებას ხომ სტალინმა ჩაუყარა საფუძველი, შენ კიდე 40 მილიონიო... სხვა საზომია, სხვა იმპერატორის გადმოსახედი! ღმერთმა უფრო იცის, დიდება უფალს!

მამა კანდელმა პირჯვარი გადაინერა. ჯემომაც. დაბნეული დავითი იატაკს მიაშტერდა. გამოცდილ მოძღვარს განობისთანავე არ გამოჰპარვია, რომ დათო ვაშაკიძეს ზედმეტი კითხვების დასმისკენ აშკარად ჰქონდა მიდრეკილება და ამიტომ, მომავალში ის „უმნიკების“ სახიფათო ჯგუფისკენ სულ მეტად და მეტად გადაიხრებოდა. ამგვარი რამ კი მღვდელსა და მის მეუღლეს ძლიერ აფრთხობდათ.

– დათო, შენ გზის დასაწყისში ხარ, ძლივს ეშმაკს ხელიდან გამოგგლიჯეთ და გაგიყუდა ბოროტი, გებრძვის! ღვთისმშობლის დაუჯდომელი იკითხე და მორჩილება სთხოვე...

ამ სიტყვებით მღვდელმა ყველანი გულითადად გადაკოცნა, სტუმრებს მოუბოდიშა და ყოველკვირეული სატელევიზიო გამოსვლის ტექსტის შესადგენად თავის ოთახში განმარტოვდა.

დასაწყისში მაინც, დავითის კრიტიკული აზროვნება ღრმა ძილს მისცემოდა და ის საეჭვო აზრების გულში ჩასახლებას ჯერ ვერ ბედავდა. ამიტომ, მოსმენილი უცებ გადაამუშავა და მისი არსი ბოლომდე გაითავისა – კობა ჯულაშვილის შესახებ „პატერიკი“ დათოსი გახდა!

სალამოს ყოფილი ექიმი უკვე თავად ამცნობდა მეზობლებსა და ქუჩის ბიჭებს სტალინის ცხონების ახალი დეტალებით გამდიდრებულ ამბავს. ისტორია კი, ღმრთის განგებულების სიბრძნისა და ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მისი მიუწვდომლობის ახსნით სრულდებოდა.

იმავე კვირას ადგილობრივი ტელეკომპანია „ორპირი-2“-ის ეთერით მამა კანდელმა სიკვდილის საპასუხისმგებლო პროცესი მიმოიხილა. ჯერ აუდიტორიას გარდაცვლილი წმ. თეოდორა კონსტანტინოპოლელის ბერებისთვის ძილში ნამბობი შეახსენა, შემდეგ კი სიკვდილის მერე გასავლელ საზვერებზე გაამახვილა ყურადღება. მამა კანდელმა ორპირელები ერთმნიშვნელოვნად გააფრთხილა, რომ ისინი ზეცისკენ მიმავალი კიბის თავშივე ჯოჯოხეთის კუბურში ჩაცვივდებოდნენ, თუ არ გააძლიერებდნენ შემონირულობისა და მორჩილების ღვანლს! აქვე, მამა კანდელმა აღნიშნა, რომ გარდაცვალებულთათვის ლოცვებში არა თუ ებრაელის, არამედ კათოლიკე ქრისტიანისა თუ მოუნათლავი ქართველი მეგობრის მოხსენიებაც კი მკაცრად იკრძალებოდა! გადაცემის დასასრულს, სანამ ორპირის კინომოყვარულებს ფილმ „ბოლო ჟამს“ შესთავზებდა, მამა კანდელმა ისტორიული სიტყვები წარმოთქვა: „ერთ ბერს მამა გაბრიელი გამოეცხადა, აპოკალიფსს შობის შემდეგ უნდა ველოდოთ! 2003 წლის პირველივე თვეებში იწყება, მოდის!.. ორპირელებო, წინ მეორედ მოსვლისკენ, წინ! ჩვენ პირველებმა უნდა შევაბიჯოთ ზეციურ იერუსალიმში!“.

კიდევ ეს უნდოდა ისედაც მეორედ მოსვლის გაუთავებელი მოლოდინისგან შერყეულ ორპირელებს?! მათი ძირითადი ნუხილის მიზეზი ხომ არმაგედონის ზუსტი თარიღის დადგენა იყო! ისინი იმდენად გაიტანჯნენ ყოველდღიური გაჭირვებითა და მოწყენილობით, რომ ერთი სული ჰქონ-

დათ, როდის დაიხოცებოდნენ. აი, შვებაც ეუნყათ! თუმცა, ორპირელთა გულდასაწყვეტად, „დიდმა დეკანოზმა“, მამა კანდელმა (შენირულმა), ტელევიზიით გამოსვლის შემდეგ კერძო საუბრებში აპოკალიფსის თარიღი კვლავ გადადო. ორპირელები დღესაც სატანასთან ბოლო შებრძოლებას გულისყურით ელოდებიან. სხვა რა გზა აქვთ, რო? ხანდახან კი მაინც ჩივიან, – ისე, მამაო ვადებს ძალიან კი ჭიმავსო.

3. ღვთაებრივი პეხო

დიდი მარხვის დაწყებამდე, მამა კანდელმა მრევლს ამცნო ამბავი, რომელიც მნიშვნელოვნებით გაუტოლდებოდა დამდეგ „იესო ქრისტეს დიდებით შესვლას იერუსალიმში!“ ამბიონიდან თითქოს ნანატრი და, იმავდროულად, სასამართლოს უწყებასავით თავზარდამცემი სიტყვები გაისმა: „ის მობრძანდება, გიორგობას მოდის!“. ცნობამ დამსწრე საზოგადოების კოლექტიური ცნობიერების დროებითი პარალიზება გამოიწვია. არც ერთ სხვა ტაძარს არ ღირსებია მსგავსი პატივი – უკანასკნელ ხუთ წელიწადში, უკვე მეორედ, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას, მის მრევლს, სოფელ გრაკალის ცისკიდეზე ღვთაებრივი პეხო ამოუბრწყინდება!

მორწმუნეთა გულის ფრიალი თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყო – „საშინელი სამსჯავროს ხსენების“ კვირას, რათა 6 მაისის გიორგობას აპოგეისტოვის მიეღწია. მაგრამ მოხდა

სრულიად წარმოუდგენელი რამ – რაიონულ გაზეთში, როგორც მამა კანდელმა განმარტა, „უგუნური და ვილაც შტერი ჟურნალისტების მიერ, ეკლესიისა და მეუფის პირადი ღირსების შეურაცხყოფელი, სამარცხვინო სტატია გამოქვეყნდა!“. მართალია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მეორე დღის ბოლოსთვის საგაზეთო ნომრის მთელი ტირაჟის შესყიდვა და განადგურება შეძლო, მაგრამ რამდენიმე ნომერი მკითხველამდე მაინც მივიდა. მეუფე რაიონის მთავრობაზე, ეპარქიის მღვდლებზე, მედიასაშუალებებსა და მრევლზე მეტისმეტად განაწყენდა. „მზე“ ორპირს გაებუტა – შიშნარევი ზეიმიც ჩაიშალა. მაგრამ, არა უშავსო, – დაამშვიდა დეკანოზმა მრევლი, – ნოემბრის გიორგობაზე ნაღდად მობრძანდებო. ამ ნერვიულობაში ცხრა თვეც შეუმჩნევლად დაილია. წინა ვიზიტის გამოცდილებით, ხალხმა იცოდა, რომ განსაკუთრებულ სიმძაფრეს შიში ბოლო კვირას შეიძენდა. ღელავდა მრევლი, ინფარქტის პირას იყო მამა კანდელი, მეუფე კი არ ჩანდა... ხელისუფლებამ, მღვდლებმა, მრევლმა, ბუნებამაც კი მოინყინეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ღვთაებრივი პეხო დაკავებული ყოფილა მტრების გამოვლენითა და აღწერით, უბრალოდ რომ ვთქვათ – მეუფე ზადენის რეზიდენციაში ჩაუჯდა ორპირელ ჟურნალისტებზე „აბაროტის აღებისა“ და სხვა სადამსჯელო ოპერაციების დასკვნითი ნაწილის შემუშავებას...

2007 წელი. ზადენი-ორპირის რეზიდენცია – დიდი მარხვა, სამშაბათი, შუალამე: „...20-27 მარტი, გაზეთი „მზერა“... დღევანდელია – ორპირელ ნონას უყორაღია, „მარშრუტკით“ გამოუგზავნია... ისე, კიდევ კარგი, არ ჩამოვიდა, გადავრჩი! არ შემანუხა თავისი ვნებიანი აღსარებებით!“, მაგიდასთან მიმჯდარმა ეპისკოპოსმა პეხომ გაზეთი ზიზლით მიაგდო.

რამდენიმე წუთი გაშეშებული იჯდა, ვერ მოითმინა და სტატიას თვალი ერთხელაც შეავლო – „რატომ აუკრძალა მეუფე პეხომ მამა აკაკის ორპირზე ოცნება?“. ავტორები – „გურჯი ივერიელი“, დეა ჩხარტიშვილი და ლუბა ქანტურია. ეპიგრაფი:

„... აქ არ ყვავის თავმდაბლობის ნარგავი,
აქ ტაძრებშიც შეიტანეს ნაგავი,
აქ პოეტებს გაურბიან მუხები,
აქ გესვრიან, თუ არ ნაიკუზები.“

(ნიკო გომელაური)

მწვანე სქელი ფლომასტერი აიღო და რამდენიმე საჭირო ადგილი გამოყო. „...ჩვენი ინფორმაციით,– წერდა ჟურნალისტი,– მეუფე პეხომ კატეგორიულად განუცხადა მამა აკაკის: „ეპარქიიდან უნდა წახვიდე, ჩემ გვერდით ვერ იქნებიო.“, „ვინ ეკითხება ამ დამპალს, მე ვის რა „განვუცხადე“?!... „...როგორც ჩანს, მამა აკაკი რკინიგზელთა ქალაქში „პერსონა ნონ გრატად“ არის მიჩნეული...“, „ნაეთრიოს აქედან, ეგეც იოანე ოქროპირი არ მყავდეს!“.

პეხოს კონსტანტინოპოლის დიდი პატრიარქი გაახსენდა. გულმხურვალე მქადაგებელი და ბრწყინვალე ორატორი განსაკუთრებით უყვარდა. გული მოუღბა. გადახედა იქვე, მაგიდის თავზე, თაროზე ჩამოდებულ წმინდანის ლურჯ ტომებს, რუსული ოქროსფერი წარწერით. გულაუჩუყებულ იოანეს დევნილობაზე ჩაფიქრდა, თითქოს ცრემლიც მოანვა. თვალწინ დაუდგა დაღლილი, დაძონძილი, პეხოსავით პატარა ტანის, გამხდარი მოხუცი, კამანის მტვრიანი გზა, გავარვარებული მზე, წმინდანის ბორკილებისგან დაწყლულებული ფეხები, უღმობელი, ცხენზე ამხედრე-

ბული ბიზანტიელი მცველები მათრახებით... ისევ გრძნობა მოერია და ატირდა. სლუკუნისგან მხრები ბავშვივით უთრთოდა. გაზეთი, მამა აკაკი, ვნებიანი, მაგრამ მაინც „მართალი“ ნონა, აღარც ახსოვდა... როგორც თვითონ მიაჩნდა, მღვდელთმთავრებს – პეხოსა და იოანეს – საერთო ბევრი ჰქონდათ: ტანმორჩილება და, ამის გამო, ბავშვობაში დამცირება, მოსიყვარულე დედა, ოქროპირმაც ადრე დაკარგა მამა; მართალია, იოანესავით ქონება ლატაკებისთვის არ დაურიგებია, თუმცა, დასარიგებელიც ბევრი არაფერი ჰქონდა; პეხოც ახალგაზრდა შეუდგა ბერობის გზას და გამოქვაბულს დაეყუდა; მთავარი მსგავსება მაინც მათი ხელისუფლებასთან გააფთრებული დაპირისპირება გახლდათ, ორივეს უსამართლოდ არ აფასებდნენ... ეპისკოპოსის მეხსიერებაში კვლავ ორპირის ყოფილი „იმ უღმერთო“ პრეფექტის სახე ამოტივტივდა, „უგუნური“ მამა აკაკი, მოძღვრის ურჩობით „დაბრკოლებული“ მრევლი, ეს ეშმაკის მოგზავნილი მორჩილი ტატიანა... „ვერა, ვერ ეღირსებით, სხვა დროა!“.

პეხო კვლავ გაზეთს მიუბრუნდა. გულდასმით გადახაზა, ამჯერად წითელი ფლომასტერით, სტატიის ის ადგილი, რომელშიც ჟურნალისტი კითხვას უსვამდა პატრიარქთან საჩივრელად ნამყოფ დევნილ მღვდელს: „...თბილისიდან ჩამოსულს, მეუფე პეხომ ამაზე ასეთი პასუხი გამცა, – გულისტკივილით ყვებოდა მამა აკაკი, – დაბრუნებაზე არც იოცნებო“. „უხ, მე შენ გიჩვენებ „დაბრუნებას“, თუ ვყოფილვარ კაცი! დაგტოვებ უჯვროდ და მერე ვნახოთ, როგორ იჭიკჭიკებ!“ ... ინტერვიუ ასე სრულდებოდა: „სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ მაგდებენ. ალბათ, ჩემი ბრალია. ეკლესიაში რომ ადამიანი შედის, მან სითბო და ნუგეში უნდა იგრძნოს და არა – მუშტების სიმწარე და

მუდმივი შიში სასჯელისა. უფალმა კაცი სიყვარულისთვის შექმნა და თქვა, იტვირთეთ ერთმანეთის ტვირთი და ასე აღასრულეთ ნება ღვთისა და არა მგელივით ჩაუსაფრდი, შეცდომილსო... ქვეყანაზე ყველაზე ძნელი სიმართლის გარკვევა ყოფილა. მოთმინებით თუ ვიქნებით, სიმართლეს ზეცაში გავიგებთ“.

„მგლობას განახებ მე შენ!“, პეხო ისევ წითელ ფლომას-ტერს ეცა. მამა აკაკის ინტერვიუ თავიდან გადაიკითხა და განსაკუთრებული სიამაყით შემოხაზა მორიგი აბზაცი: „...გულში კი ტკივილს ვატარებ, რამეთუ, ჩემი რაიონიდან წასვლის გამო ვერც ერთმა მოძღვარმა ვერ გაბედა, გამოეხატა თავისი აზრი და დამოკიდებულება“.

„სოლიდარობა მომინდომა ამ ნაგავმა!“ – გაზეთი ორად გადაკეცა, ამასწინათ ინგლისში ნაჩუქარ ტყავის საქალაქში ჩადო და უჯრაში სათუთად შეინახა. ცოტა ხნით სავარძელზე გადწავა, ჩაფიქრდა... ისევ გამოალო უჯრა და შავი ინგლისური საქალაქიდან თეთრი სუფთა ფურცელი ამოიღო. სტატიის ხელახლა გადაკითხვისგან ძლივს შეიკავა თავი. „კმარა!“ – მეთე ცდა მანც იქნებოდა მამა აკაკის ინტერვიუსთან თუნდაც დროებით განშორებისა.

„რას ბედავენ, ხედავ?!.. მაგათ უკან ის ორი გველი იდგება, მამა ირაკლი და ალბათ – რომანოზიც... კიდევ? მარტონი ვერ გაბედავდნენ... ის, „მზერის“ რედაქტორი, ხომ ნაღდი სოროსელია! უჰ, ეგენი თუ არ გავსრისე, კაცი არ ვიყო!“ – აზრის დამთავრება იყო და ორი ზომით დიდ იისფერ ფლოსტებში წაყოფილი პატარა ფეხის წვერით იატაკზე დაგებული ხალიჩა ძალით მიაჭყლიტა...

იგივე პუბლიკაცია გაკვრით ამცნობდა მკითხველს, როგორ მიერთვა მშენებარე ტაძრის სანახავად ჩამობრძანებულ პატრიარქს მრევლის წერილი 1700 მორწმუნის

ხელმონწერთ. პეტიცია საყვარელი მოძღვრის დაბრუნების თხოვნით, იქვე, წაუკითხავად, პატრიარქის ხელით პეხოსვე გადაეცა. ეპარქიის მმართველმა შეუვალა სახით წერილს გადახედა და გულისჯიბეში შეინახა. სულ მოკლე ხანში რაიონში მეხივით გავარდა ახალი ამბავი – პეხოს იერარქიულ წოდებას – „ეპისკოპოსი“, წინსართი „მთავარ“ დაემატა! მეუფის გამარჯვება უპირობო შეიქნა, ოდნავ გაბედულებმაც კი გაჩუმება ამჯობინეს.

მრავალი ღამე დაათენდა მაგიდასთან მიმჯდარს. დაწვრილებით სწავლობდა პეტიციაზე ხელმომწერთა ვინაობას, გულმოდგინედ ინიშნავდა ყურადსაღებ გვარებს: „საბოლოო გამარჯვებაა აუცილებელი – ხალხმა უნდა დაინახოს, ვინაა აქ უფროსი!.. რა დროს ეს იყო?! ჯერ „ვარდების რევოლუცია“, გამყიდველი კობახიძე, ბოლო დარტყმა – ტატიანა... თუმცა, ეგებ კარგიცაა, ვნახოთ...“.

იმ დროისთვის განადგურებული მამა აკაკი, ათასგვარი საფუძვლიანი თუ აბსურდული ქორის ლაფში ამოსვრილი, უკვე არავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. ათვალწუნებული მოძღვარი ლოთიცი შეიქნა, მომხვეჭელიც და მრუშიც – როგორც ითქვა, მორჩილ ტატიანასთან კელიაში თუ საკუჭნაოში ჩაკეტილი უნახავთ. ყოველდღიურად ახალ-ახალი პიკანტური დეტალებით შეზავებული საქმის გარემოებებს თვით ის მრევლი იმეორებდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ თავის მოძღვარს ასეთი თავგამოდებით იცავდა. იმავე გზით წავიდნენ სულიერი საძმოს წევრებიც, ეპარქიის ყველა მღვდელმა ესოდენ „გარყვნილი ძმისგან“ სასწრაფოდ პირი იბრუნა. სრულიად ორპირი „გაფუჭებული“, „უზნეო“ „მამაოს“ მხილებას მიეცა.

თავი II. მხარეთვალთ თავთ

1. ორპირთ ტრთუმვრატთ

მთლბენა უყვარდა ორპირთ გამგებელს, ვალერიან შენგელიას, „სმა-ჭამა დიდად შესარგთ“. თმ შაბათ დღესაც რათონთ პოლიციის უფროსთ ვაჟთ ქორწთლშთ იყო თამადად. გადათვრა. ვალერიანს ღვთნო ვერაფერს დააკლებდა, რომ არა „მზერთ“ ჟურნალთსთს, დეა ჩხარტთმვთლთს მოხეტთალე მზერა და კეკლუცი ღთმთლთ. ღვთნთს დასაწთსთშთვე, თთთქთს, თვალთ თვალშთც გაუყარა და მოეთრა ეს ქალაქელი დათო! დეას გვერდთთ მთუჯდა, ღოყაზე აკოცა და მთელი საღამო არ მოშორებთა. დეაც გატაცებთთ უსმენდა, თცეკვეს კთდეც. შემდეგ სადღაც გაუჩთნარდნენ. თამადა ერთ განსხვავებულს მეორეზე ყლაპავდა. სუფრა ჩათმთავრა, მასპთნძლთს თანხლებთთ მანქანთსკენ გაემართა და უცებ წთნ, სთბნელეშთ, ნაცნობთ წყვთლთ გამოჩნდა. „ამთს მორფთნთსთ!..“ – სულ გაცოფდა. ჭთდან ვედროს ჩამოხსნა ბრძანა. ღვთნო ბვერთ არაფერთ – სულ ოთხთ-ხუთთ ღთტრთ ჩათსხეს, სამაგთეროდ, „ხაზეთკას“ თნდაურთს საცივთსთვთს მოქაფვა დაუკლთა და ზედმეტად ცხთმთანი გამოსულა. დამატებთთ, ვედროშთთ ერთთ თეფშთ გოჭთს ხორცი და ქათმთს გადანახსენთ ჩათუყრთათ, მაგრამ თნდაურთს ცხთმთ ახსოვდა,

ღვინის პირზე რომ ლივლივებდა. ცუდად აგონდებოდა, გულისამრევად – ჰო, იმან მოულო ბოლო!

კვირას, დილით, ეკლესიაში წირვაზე წასვლა დააპირა – ცუდად იყო და გადადო. ყანაში გავიდა, წავიმუშავებ, შხამები ოფლად გამოვავო. უშნოდ ჭრიდა მუცელში, დანასავით ჩასცა. გვერდზე გაქანდა, მანამდე კი გამგეობის სახსრებით შეძენილი მობილური სიმინდის ღეროზე ჩამოკიდა... როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. ცხვირსახოცი არ ედო, ისედაც ვერ გაიმეტებდა. მოჭრილი მორი იხმარა და მობილურის ასაღებად დაბრუნდა. მაგრამ სად? ადგილი დაავინცდა, ყველა ღერო ერთნაირად იშვერდა ცისკენ ტაროიან თავს. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, ტელეფონი არ ჩანს. ბევრი ეძება, სალამოსკენაც გადახედა ყანას, კვლავ არაფერი. მთელი ღამე საცივში ჩანყობილი „ნოკიები“ ესიზმრებოდა.

ორშაბათს, სამსახურში მისულს, საკუთარი T-10-ით არც დაურეკავს. როდემდე უნდა ყოფილიყო ამხელა თანამდებობის პირი ასე, პრესტიჟული მობილურის გარეშე, მხოლოდ შემავალი ზარის იმედად?! ფურცელი მოიმარჯვა და განცხადების წერას შეუდგა. „ქ. ორპირის... გამგებელს? – საკუთარ თავს, კაცო? მე ვარ უფროსი და აბა – ვის?!“. თავი უსკდებოდა, გუშინ მეზობელმა ღორის მწვადზე მიიპატიჟა, „ადესა“ შეიქნა ნამეტანი შაქრიანი. „ერთ ფუთ წყალზე ოთხი კილო შაქარი...“. კალკულატორი მოიმარჯვა, ოჯახად მაინც „ჩოთქს“ ამჯობინებდა, უფრო ნალდიაო. „გაგჯა, ბიჯო, თავი!.. ჯერე ათიანი ჩავცალეთ... პლიუს ოდკა... კაროჩე, სამი-ოთხი კილო შაქარი მაინც მაქნაჭამი. მეტკინება თავი, აბა, რა იქნება! ეჰ, შენ რა გითხარი, ვალერია!“ გააგრძელა... „ქ. ორპირის გამგებელს, ვალერიან აქვსენტის-ძე შენგელისას... ამავე ქალაქის გამგებლისგან...“, – „რაცხა არ გამოდის – გამგებელს – გამგებლისგან? კაი, მერე მევიფიქრეფ“...

„ქ. ორპირის გამგებელს ვალერიან
აქვსენტის-ძე შენგელიას მოქალაქე
ვ. შენგელიასგან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პატივცემულო, გატყობინებთ, რომ ამა წლის 7 ოქტომბერს, კვირას, პირველმონამე თეკლას ხსენების დღეს, წირვის მერე ვიმყოფებოდი ყანაში. ასევე, მოგახსენებთ, რომ ყანაში ყოფნისას მომინდა უბორნიაში გასვლა და გამგეობის ხარჯით ნაყიდი მობილური ჩამოვკიდე სიმინდის ღეროზე. ამის მერე მოვისაქმე, და დავბრუნდი და ტელეფონი ვერ ვნახე, რადგან დაკარგული დამხვდა. გთხოვთ, შემინდოთ აღნიშნული გადაცდომა და გამომიყოთ თანხა ახალი „ნოკია“ მობილურის შესაძენად.

ვ. შენგელია / 2007 წ. 8 ოქტომბერი/“

გაკვრით მოაწერა ხელი და მდივანს დაუძახა. თავში მეზობელი სადგურიდან გამოსულმა ჩქაროსნულმა ჩაიგრუხუნა. ამასობაში, კარი გაიღო და ადამიანის მსგავსმა ქერათმიანმა, მაღალმა, უშველებელმკერდიანმა მჭლე ცხენმა თავი შემოჰყო. ყვითელ ჟაბოიან ბლუზაში, შავ შემოტყეცილ „სტრეიჯებში“, ასეთივე ფერის ლაქის მაღალქუსლიან ჩექმაში გამოწყობილმა არსებამ ჭიხვინით დაილაპარაკა:

- გისმენ, ბატონო ვალერი, რაია?
- რაია და მობილური დავკარქე გუშინ.
- მერე, რას შობი?
- რას ვშობი და განცხადება დავწერე, აგერაა. გამომართვი, გაატარე კანცელარიაში და შემომიტანე დღესვე.

დავადეფებ რეზოლუციას და ჩოუშვი ბულალტერიაში.

– მომე, ბატონო ვალერი, და ნევილეფბ... იქანა რავაა საქმეები, „პანკუ“?!

14 ოქტომბერს, კვირას, საუფლო კვართისა და მირონ-მდინარე სვეტის დღესასწაულზე, წირვიდან სიგარეტის მოსანევად გამოზრძანებული ორპირის გამგებელი ვალერიან აქვსენტის-ძე შენგელია, სოფელ გრაკალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში იდგა. სტიქაროსან ლაშას მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ესაუბრებოდა და თან ახალთახალი „ნოკიათი“ ქერათმიან რაშს ჩუმად „სტრელკას“ უნიშნავდა. სალამოს, საქმიანი საუბრისთვის, ბაზრის „მარკეტის“ დირექტორს, კოლიას ჰყავდა ფოთის კეფალზე დაპატიჟებული ქალაქგარეთა, რესტორან „ზეკ-არში“. ლაშამ პირჯვარი გადაინერა, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, მიწყალე მე ცოდვილსა ამასო, ჩაიბურტყუნა და დაიწყო:

– ბატონო ვალერი, გევიგე, რაცხა დიდი სქიზმა ყოფილა თქვენთან გამგეობაში?

მართლაც მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო ორპირში. სიღრმისეულ ინტერესთა კონფლიქტი სუფევდა მთავრობაში – ფაქტობრივად, ორ ბანაკს შორის ომი გაჩაღებულიყო ერთმანეთს გამგებელი და რაიონის დეპუტატი დაუპირისპირდნენ. გასარკვევი გახლდათ ადგილობრივი „ფილიოქვეს“ საკითხი – ბოლოს და ბოლოს, მათ შორის ძალაუფლება ვისგან „გამოვალს“? განხეთქილების მთავარი მიზეზი ადგილობრივმა უსაქმურმა, ყოფილმა ექიმმა, დათო ვაშაკიძემ ჩამოაყალიბა. ზოგადად, ნიცშეს ფილოსოფიის დიდმა ტრფიალმა, გულით კი ეპიკურის მხოლოდ ეთიკის მიმდევარმა, ორპირის გრძელი საღამოობით კაფკას თხუნელების ფსიქოლოგიის მკვლევარმა, ჯოისის უფრო

პატივისმცემელმა, ვიდრე მკითხველმა და, როგორც თვითონ უნოდებდა საკუთარ თავს, „ბაბილონის კოშკების დამანგრეველმა“ – დავით („ჯორდანო“) ვაშაკიძემ, მის თხზულებაში – „ორპირული ქრონიკები“, კონფლიქტის არსი ამგვარად გადმოსცა: ერთი მხრივ – რაიონის დეპუტატის მიერ ბაზრის ტერიტორიაზე ახლად აშენებული „კოლიას მარკეტის“, ელვისებურად ჩატარებული მიწის პრივატიზება, შესაბამისი გარანტირებული წილით სავაჭრო ობიექტის შემოსავლებში და დამატებით, იმავე დეპუტატის განაწყენება ქვისლის მოხსნით, ხოლო, მეორე მხრივ – გამგებლის მიერ, დეპუტატის მოხსნილი ქვისლის ნაცვლად საკუთარი ცოლის ძმის დეიდაშვილის დანიშვნა და, იმავდროულად, კოლიას „მარკეტის“ წილში ჩაჯდომის აბსოლუტურად ლეგიტიმური მოთხოვნა. ხალხი ბჭობდა, არაფერიც არ იქნებოდა, პარმენიჩის ქვისლი რო არ გეეშვა ვალერიასო. განხეთქილებას სიმწვავეს ერთი გარემოებაც მატებდა – ქერთამიანი რაშის ცვალებადი ხასიათი. გამგეობის დალაქი, „ვაროჟანა-სომეხი“ ხშირად იმეორებდა: „მაგენი გონია მუთელის გულობიზა ხიპიშობენ, მაი ბოზები! ხალხი ყლეზე კიდიენ მაგენს, ზნ твою мать! Охуеть можно, რას გავს, მაი კრახი! ტარანი და ცხენი რო შეაჯვარო ერთმანეთს, ისეთია მაი ფიზდა“. „ეჰ, ყოველივე ამაოებათა ამაოებაა“, – პასუხობდა გასაპარსად მისული დათო-„ჯორდანო“. უფროსობას იმ დროისთვის უთანხმოების პირველწყარო აღარც კი ახსოვდა. ორივე მხარემ დანამდვილებით მხოლოდ ის იცოდა, რომ დანასისხლად იყვნენ ერთმანეთთან და პირველივე შესაძლებლობისთანავე მონინააღმდეგე პოლიციასში უნდა „ჩაეშვა“. ორმხრივი საჩივრების წყალობით „კოლიას მარკეტი“ საგადასახადო პოლიციის მუდმივი ინტერესის ობიექტად იქცა.

ადრე ამჟამინდელი დეპუტატი, „პარმენიჩი“ იყო გამგებლის თანამდებობაზე, ხოლო როცა დეპუტატად აირჩიეს, პარლამენტარი თბილისის გაემგზავრა და გამგებლად ვალერიანი დაინიშნა.

– ჰო, რა ვიცი, ამხანაგები ვართ, მარა რაცხა ვერ ეეწყო...

– ეკლესიაში არ დადიენ და აბა, რა იქნება?! იი, კიდო არაუშავს – საკრებულოს თავმჯდომარე, მამა ზაქარიასთან დადის „ჯვარცმაში“, მარა აი დეპუტატი თლათ გათფილისელდა.

ჩვენი თხრობის კიდევ ერთი გმირი და რაიონის უმაღლესი ხელისუფლების მესამე წარმომადგენელი, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე სოკრატ გულდედავა, აღნიშნულ დავაში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. თუმცა, გულით მაინც გამგებლის მხარეს იყო: ნათელ-მირონია კოლიეს და მართალია ის კაცი, ეკუთვნისო. მტრობის თემა რომ გადაეფარა, გამგებელმა დეპუტატის გამართლება სცადა:

– თბილისში გონია კი დადისო...

– თბილისში უშველის, კაცო?! აქანა უნდა იაროს, მამა კანდელთან! ხო, არ დამავინყდეს! ფულს ვდობთ რაცხაზე, არ მახსოვს რაზე?.. რო ვდობთ, იგი კი მახსოვს და გუშინ ვიყავით ლამისთევით მამა კლემენტისთან ჯიხეთში. გარეთ იროფებოდა ყველაფერი, წვიმდა და ქარი იყო! რავარც ჩევით წმიდა წყალში და გავთფით უცფათე! დიდება უფალს!

– მაგარია მამა კლემენტი! რა კაციია!

– მაგარია – არ ბანაობს წლებია და თაფლის სუნი უდის, სულ ფუტკრები ესევა! იგი და, ბატონო ვალერი, თბილისელმა სოროსელებმა, დავანგრიეთ ეკლესია და არ გვეშინიო, ხო?

– ლაშა, რას გეიგეფ მაგენისას...

– რაია იცი, ვალერი ბატონო, ჩაშვებო კაიო, მაი

მასონები ამბობენ. მე რო მკითხო, ტეხავს ბოზობით აშენებული სახელმწიფო! მართლმადიდებლობა გვინდა ჩვენ და კაი მეფე. მონარქია თუ გვიშველის!

– ეე, მაგი თქვი შენ!

– ბატონო ვალერი, რაია იცი, მაგენი ყველა მწვალებლები არიენ, სააკაშვილის და ბოკერიას თამადობით, და კიდო იი როა, ეე-ე, იი, ხან განათლების როა და ხან იმისი... ეე-ე...

– კახა ლომაია.

– ჰო, მაგი. რაია იცი, ბატონო ვალერი, კაი, არ გვინდა, ვთქვათ, აი, რუსეთი. ჯერე, რაფერ შეიძლება მაგი – ერთ-მორწმუნეა! მარა, აი, „ნატო“ და ამერიკა, რა ჯანდაბათ გვინდა?!.. მასონების სექტები კიდო?! ჰო, სამაგიეროთ, მაგენის ჯინაზე, თუ გეიგე, ვალერი აქვსენტიჩ, სტალინი რო ცხონდა, იცი შეენ?!
ლაშამ უსასრულობისკენ მიაპყრო მზერა. სტიქაროსანს თავზე. წითელი ვარსკვლავის ფორმის ხიბლის შარავანდედი დაადგა.

– მაგარი კაცი იყო და აბა, რა იქნება! ხო იცი, ჩერჩილმა რო თქვა... კი მარა, შენ საიდან გეიგე, ვინ ცხონდა და ვინ არა?

– მამა კანდეღმა თქვა.

– იმან საიდან გეიგო?

– ოოო, ეგ რა კითხვაა, არა გრცხვენია, ბატონო ვალერ?! მამა კანდეღი ისეთი მაგარია, ანგელოზი ჩასწურჩულებდა ყურში! – მოულოდნელად ჩაეკვება საიდანღაც გამოჩენილი დავითი.

– ა, მევიდა „ანანია ანარქისტი“!
ამასობაში, მგალობლებმა „ქერუბიმთას“ გალობა დაიწყეს, წირვა დასასრულს მიუახლოვდა. ყველანი ტაძარში შევიდნენ. ეკლესიის ეზოში საპაექროდ შემორბენილი დათო

ავტომობილში ჩაჯდა და ბენზოგასამართი სადგურისკენ სვლა გააგრძელა.

2. რევოლუცია დედაქალაქში – ახალი ხელისუფლება!

2003 წელი, 23 ნოემბერი, კვირა. ხსენება წმიდისა დიდისა მონამისა და ძლევამოსილისა გიორგისა. დილით წირვა, შემდეგ საპატრიარქო, იმ ღამითვე დედა საბიანასთან ერთად ზადენში თავისი ლურჯი Volvo S70-ით წამოვიდა და გზაში დაიმტვრა. მგზავრებს არაფერი მოსვლიათ, ინგლისში მცხოვრები ქართველი შემომწირველის ნაჩუქარი ახალთახალი მანქანა კი მაგრად დაიღწა. გვიან ღამით ავტომობილი მამა კანდელის ეზოში ჩააყენეს და ბრეზენტი გადააფარეს. არავის არაფერი უთხრაო, დაუბარეს, პატრიარქმა არ გაიგოს, სულ ახლახან დავამტვრიე ახალი მანქანაო. ქროლა უყვარდა მთავარეპისკოპოს პეხოს, თან გზად სულ თბილისში მომხდარზე ფიქრობდა, ბრაზისგან სისხლი უდუღდა! ორშაბათ საღამოს, 9-10 საათზე, მეუფე პეხო ზადენის რეზიდენციაში სავარძელში ისვენებდა. იოანე ოქროპირს კითხულობდა – *О перенесении скорбей...* დაიღალა, წირვა, საქმეები თბილისში, ეს ავარია და... მთავარი – რევოლუცია! დედა საბიანა იხმო, წინ დაისვა:

– ვინ იფიქრებდა, ამ შევარდნაძეს ასე ადვილად თუ გადააგდებდნენ ეს ცხვირმოუხოცავები! გუშინ წირვაზე

მეუფე ფეოფილაქტე ჰყვებოდა, გაქცევისას ფეხსაცმელი დაუკარგავს, ცალიო, შიგ ჩაფენილი „სტელკითო“. ის ვიგინდარები აფრიალებდნენ თურმე!

– შემეცოდა, მეუფეო, დაცვა რო მიათრევდა... კაი კაცი იყო, როგორ უყვარდა პატრიარქს! სულ იმ საზიზღარი სოროსის ბრალია!

– განსაცდელებმა იმატა რალაც, ღმერთო, რა დავაშავე?! თუმცა, ეპისკოპოს კაცს ასე ადვილად დაგანებებს თავს ეშმა? მაღლობა უფალს, აქ თითქოს ყველაფერი კარგად მიდის... დაურეკე მამა კანდელს, დილითვე ჩამოვიდეს.

მართლაც, დიდი ბრძოლების გადატანა მოუწიათ ძველ მეგობრებს, შედეგიც აშკარაა: ადგილობრივი მთავრობის თაყვანისცემა, მრევლის უხმო მორჩილება, საეროთა თუ მონაზონთა ერთგული, მრავალრიცხოვანი სპა, აშკარად შესამჩნევი ფინანსური მოძლიერება, სანთლის წარმოების მონოპოლია – ყოველივე ეს კი მთავარეპისკოპოს პეხოს ზადენი-ორპირის ეპარქიაში აბსოლუტურ, თითქმის მონარქის ძალაუფლებას ანიჭებდა. თბილისში, საპატრიარქოშიც, ბევრად იმატა მომხრეთა რიცხვმა, „ძმებმა“ თითქმის მთლიანად ჩაიგდეს ძალაუფლება, ახლა პატრიარქიც მათ მხარესაა!.. და უცებ, ეს მასონური, „სოროსის შემოგდებული“ „ვარდების რევოლუცია“! ახლა განსაცდელისთვის თავის დახრა იყო საჭირო, მისი მორჩილებით მიღება. „გადავა ეიფორიის ტალღა. შემდეგ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, გასაჭირს ლხინი მოჰყვება, ჩვენი დროც დადგება, მოვა სასიხარულო დღეები...“.

ტელევიზიით რევოლუციის კადრებს ატრიალებენ: „თბილისი, დილის სუსხი, რუსთაველი, პარლამენტის წინა მოედანს მიტინგების შემდგომი ნაგვისგან ასუფთავებენ; თხელი ნისლი, ხუთჯვრიანი დროშები, მხვეტავეები, გაზე-

თის ნაგლეჯები, სანაგვე მანქანები, კანტიკუნტად ყვირთელ მოსასხამებში პოლიცია, უკან მთვრალი ბარბაცებს; დაღლილი ხალხი იშლება... აი, დასაწყისიც – ავტობუსები, მომიტინგე ახალგაზრდები; დედაქალაქის შემოსასვლელი, ღამეში ჩაძირული შავი, მომრგვალებული მთები, წყვილიადმი სინათლის მდინარე – მანქანების ნაკადი ანთებული ფარებით; პარლამენტი, შევარდნაძე, „გადადექი! გადადექი!“, ჩაი..; გახარებული სახეები, ახალი იმედები...“.

– რა გაბედეს, შენ ხედავ?! ამათ თუ აცალე, გადაგვთელავენ! ნაგვები!.. კარგი, დედაო, ძილის დროა, წადი და მამა კანდელი არ დაგავინყდეს – დილიდან!

პეხო ისევ ჩაფიქრდა. ტატიანას გამო, მძიმე დღეები დაუდგა ზადენი-ორპირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს, მეუფე პეხოს (დიდიას), ერისკაცობაში – ნიკოლოზს.

„ეჰ, იოანე, მეც ქალის გულისთვის მდევნიან. ევდოქსიასავით დედოფალი მაინც იყოს, არა, ვილაც კახა... ეჰ, საბრალო პეხოვ...“. მარტოობისგან კვლავ ცრემლი მოადგა, დედა გაახსენდა – მაკრინე, მისი ატირებული თვალები, ნიკოლოზმა ბერობა რომ ამცნო. იმხანად გულანთებულმა ახალგაზრდამ მხურვალე სიტყვა წარმოთქვა და ასე დაასრულა: „...მე, ნენა, ჩვენს სამშობლოს, ასე თუ წავადგები და ლოცვით თუ შევეწევი!“. ისე მოეწონა თავისივე ნათქვამი, რომ შემდეგაც, განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში ხშირად იმეორებდა ხოლმე. მღვდლები, მრევლიც აღტაცებით აღნიშნავდა, აი, როგორი სამშობლოზე გულანთებული მეუფე გვყავსო! კიდევ პატერიკივით ისტორიას ჰყვებოდნენ (პირველწყარო აქ, როგორც სხვა ამგვარ ამბებში, მამა კანდელი იყო), როგორ ცხოვრობდა საფარის მონასტერში განმარტოებით, ციცაბო კლდის გამოქვაბულში, გველებით და მორიელებით გარშემორტყმული, ამქვეყნიურ დიდებას,

ამაო საზრუნავს, ფუფუნებას განრიდებული... და ლოც-
ულობდა სამშობლოზე, ხალხზე, მსოფლიოზე... ძალით
ჩამოუყვანიათ ტუბერკულოზისგან ძალამიხდილი, ძლივს
გადარჩენილა...

პეხო იმერეთში პირველად საზაფხულოდ ჩამოვიდა –
1997 წლის ივნისში. ყველასათვის უცნობმა, ოცდათხუთმეტ
წელს მიღწეულმა, დაბალი ტანის მამაკაცმა, ზაგორსკში
ნაყიდი „ბასანოჩკიანი“ ფეხი მუხრუჭის პედალს მიაჭირა,
მწვანე დანჯღრეული „მოსკვიჩის“ კარი მუშტისკერით
გაალო და ორპირის პაპანაქებაში, ქარსა და მტვერში გად-
მოვიდა, თან ერთი გაცრეცილი ჩემოდანი ჩამოიტანა და
ოთხკუთხედ, მაღალ ყუთში – სამეუფეო მიტრა. ამ პერი-
ოდშივე დაიწყო ეპისკოპოსთან დაახლოებული მონაზო-
ნი ქალების გადმოსახლება. ეს იმ ამალის ბირთვი იყო,
რომელიც მუდამ თან დაჰყვებოდა პეხოს „ყამირი მინების“
ასათვისებლად. მალევე გამოჩნდა მორჩილი ტატიანაც.

ორპირის იმჟამინდელი მთავრობა პეხოს ფეხქვეშ არ
გაგებია, უბრალოდ, ვერ მოიცალეს მისთვის. გარშემო
გამეფებული ნგრევა, ქაოსი და გაჭირვება არ იძლეოდა
ჩამობრძანებული იერარქის სათანადო თაყვანისცემის
საშუალებას. ვაი, როგორ ძლიერ იწყინა ახალბედა ეპისკო-
პოსმა „უგუნურთა“ საქციელი, ვაი! ამისთვის იწვალა ამდენი
წელი, ასე უნდა მეუდაბნოე ბერის, ეპარქიის მმართველის
დახვედრა?! პეხოს პატარა გულში დიდმა ბოლმამ დაისად-
გურა. ორპირელებზე განანყენებულმა პეხომ, ეპარქიის
პერიფერიულ, სტრატეგიულად ნაკლებად მნიშვნელოვან
რაიონულ ცენტრში, ზადენში, დამკვიდრება გადაწყვიტა.
ამ რაიონს ეკისრა საბჭოეთში საქართველოს კრიმინალ-
ური სალექარის როლი და პატიმრების ხელით მსოფლიოში
ყველაზე უხარისხო ჩაის პლანტაციების აღება. აქედან

დაიწყო მისი გამარჯვებით სვლა, რაც სულ რაღაც 2-3 წელიწადში ორპირის წმ. ანდრია პირველწოდებულისა და გრაკალის წმ. გიორგის ეკლესიების ალებით დასრულდა – იქ მომსახურე სასულიერო პირების გაყრითა და ახალი მორჩილი სატრაპების მღვდლად კურთხევით. ეს ორი ეკლესია ორპირის ძალაუფლებისა და ფინანსური ძლიერების სიმბოლოდ იქცა, ამ ტაძრებში დადიოდა ეკლესიას ბოლო დროს მიმწყდარი ხალხის უმრავლესობა. ახლა მხოლოდ ძალაუფლებისთვის გაჩაღებული ომის წარმატებით დასრულებლა გახლდათ საჭირო: ალებულ სიმაღლეებზე გამაგრება, ურჩების სამაგალითოდ, ხალხის დასანახავად სადამსჯელო ღონისძიებების გატარება და მტრების დაცემით ტკობა. ბრძოლის დასაწყისშივე შეიქმნა „ჭორების გამავრცელებელი დივერსიული ცენტრი“, რომელსაც გრაკალის წმ. გიორგის სახელობის წინამძღვარი, მეუფის ძველი მეგობარი, მამა კანდელი (შენირული) ხელმძღვანელობდა. შედეგად, ეპარქიის ისედაც დაშინებულ ძველ მოძღვრებს საკუთარი მრევლივე დაუპირისპირდა.

ერთი, თითქოსდა რწმენისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი სფერო, ფეხბურთი, არ ასვენებდა მეუფეს. ამასთან დაკავშირებული მოვლენები კი ასე განვითარდა. ახალჩამობრძანებულმა ეპისკოპოსმა რეზიდენციის აშენება, მაინცა-დამაინც, ზადენის სტადიონის გვერდით ბრძანა. ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, სახელად – „მეუფის რეზიდენცია“ მალევე აშენდა და ციხესიმაგრესავით უშველებელი გალავნით შემოიღობა. იქვე, ეზოში, მცირე ეკლესიაც აიგო და ათეულობით მონაზვნით გარშემორტყმული მეუფე პეხოღვის მსახურებას შეუდგა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუ არ ჩავთვლით იმ სამნუხარო გარემოებას, რომ ამასობაში ზადენის ფეხბურთი დიდი აღმავლობის

გზას დაადგა. რაიონმა მოინდომა, ფეხბურთელებმა თავი დადეს და ზედენის „იმერეთი“ ჯერ პირველ ლიგაში გადავიდა, ხოლო შემდეგ ლიდერის პოზიციები დაიკავა. სასწრაფოდ გაფართოვდა და გარემონტდა სტადიონი, გაკეთდა 2000-ადგილიანი ტრიბუნები, დამონტაჟდა უცხოური ტაბლო. სტადიონს უამრავი ხალხი მიიწყდა!.. პეხოს მონუმენტურ სიმშვიდესა და ეპარქიაზე გამარჯვებით ტკბობას სტადიონზე გულშემატკივრების ყიჟინა და ზადენელების ფეხბურთზე ყურადღების გადატანა დაემუქრა. ეპისკოპოსი, მონაზვნებთან ერთად, ლოცვად დადგა. იგივე კურთხევა ეპარქიის მთელ მრევლზე გაიცა. ყველა მორწმუნე, ორპირიდან ზადენამდე, სოფელ გრაკალის მრევლის ჩათვლით, ზადენის „იმერეთის“ „ქვესკნელში გადაშენებისთვის“ ლოცულობდა! თუ ერთობლივი ლოცვის ძალას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სრულიად ზეციური საქართველოს მხედრობა ძლივს მოძლიერებული საფეხბურთო გუნდის წინააღმდეგ აღსდგა და მამაზეციერს ზადენის „იმერეთის“ განადგურებას ევედრებოდა!.. თითქოს ფეხბურთელებიც ინდომებდნენ, მეკარეც კარში ფხიზლად იდგა, მწვრთნელსაც არა უშავდა რა, რაიონის ხელმძღვანელობაც ეხმარებოდათ, მაგრამ კლუბის საქმეები სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა... გუნდი ჯერ პირველი ლიგიდან გავარდა... დადგა ჟამი განკითხვისა – მეუფის კურთხევითა და ათიათასობით მორწმუნის ლოცვით, ზადენის „იმერეთი“ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე, უკანასკნელ ლიგას ტოვებდა... ტრიბუნებს ხავსი ედებოდა, სტადიონს ადგილობრივი მანანწალა ძაღლები, მოხეტიალე ღორები და მოსაშარდად შემობარბაცებული ლოთები ეპატრონებოდნენ...

3. პირუტყვნი...

სანამ შუღლი ჩამოვარდებოდა, მართლაც ახლობლობდნენ ორპირის იმჟამინდელი გამგებელი „პარმენიჩი“ – იგივე სერგო გალდავა და იმხანად „მონარქისტული“ პარტიის აქტივისტი ვალერიან შენგელია. მანამდე, 1989 წელს, თითქმის ერთად შეიტანეს განცხადება კომუნისტური პარტიის წევრობაზე, მაგრამ არ გაუმართლა – ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ერთ წელიწადზე ნაკლებში დალია სული... ერთმანეთი ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე გაიცნეს. „ვარდების რევოლუციის“ ტალღამ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ჯერ „პარმენიჩი“ ამოაგდო. მან, თავის მხრივ, ახალგაზრდა კადრები მოიყვანა და ვალერიანიც მალალ თანამდებობაზე აღმოჩნდა. სულ ერთად იყვნენ, საქმეშიც და დროსტარებაშიც. გამოცდილი დამრიგებელი მოთმინებით ასწავლიდა მომავალ გამგებელს ცხოვრებისეულ სიბრძნეებს. განსაკუთრებული სიხარბით ვალერიანი ქალების ლოგინში შეტყუების ხელოვნებას ანუ „ბოზების შემბის პრიომებს“ ითვისებდა. ამ სფეროში ხომ „პარმენიჩს“ მთელ ორპირში ბადალი არ ჰყავდა! მოვიდა დრო და რესტორან „ცისკარში“ შეზარხოშებულმა პედაგოგმა ნიჭიერ მონაფეს „ხეზე ასვლაც“ ასწავლა:

– ვალერია, ბიჭო, ქალი ყველა ბოზია!

– ჩემი ცოლიც, პარმენიჩ?!

– ასე თუ მიუდექი ახლა, აპა რაია? ბიჯო, უყურეფ ნაშას, ფიქროფ, ამფერ „დამა-ქალს“, რაფერ შევამბავო?! პროსტა სტავკას უნდა ოუნო და ვსიო, შენია! მარა, სანამდე ფულს იმოვნი, უყურე, იი, შენი ცოლის ნათლული ცხენი რაფრა

ჩავაკოტრიალე ლოგინში...

– ჰო, რაფერ?!

– მარჯვენა ფეხის ცერა თითია მაქანა მთავარი!

– ცერა თითი?! მაი, რაფერ?

– რაფერ და დაპატიჟეფ ნაშას რესტორანში. მაი ნაღდია, ვინ არ ნამოვა?! გზაში რაცხა ჩულქეფს და დეზოდორებს უყიდი. კუბეში შეიყვან და ასმევ და ასმევ ოდკაჩასხმულ ღვინოეფს. რო შეთრობა, ჩააგდებ მანქანაში და გადოუხვევ მდინარეზე. დოუნყეფ იქანა ქერაობას და თუ აგყვა, ხო კაი, თუ არა და, დაანობი ზევიდან და გოუკავეფ ხელებს. მერე შედის საქმეში ცერი!

ვალერიან შენგელია ოფლში გაინურა, სანუკვარი საიდუმლოს მოლოდინში სკამიდანაც კი ნამოინია:

– ცერი, რაფერ?!

– რაფერ და სანამდე ხელებით ჭიდაოფთ, ფეხს ანეფ ზევით და ცერა თითით ჩახთი ტრუსიკს! ვსიო, შენია მუ...!

– რაფერ?!

– ფეხის თითებით ჩააძროფ ნიფხავს, რაი ვერ გეიგე?! ფეხს ვხმარობ, ბიძია, ხელზე უკეთესათ! რავარია?!

ვაა, მაი არ ვიცოდო, ჩაიბურტყუნა ვალერიანმა და სულ რამდენიმე კვირაში „ცერის პრიომი“ გუბის წყლის პირას ქერათმიან რაშზე წარმატებით გამოსცადა. მალევე „პარმენიჩი“ დეპუტატად გავიდა, ვალერიანი კი გამგებლად დააწინაურეს. ქერათმიანი ცხენის სატრფოების „სმენკის“ საკითხი აქტიურად განიხილებოდა როგორც მთელს ორპირში, ისე „ვაროჟანა-სომეხის“ საპარაკმახეროშიც. „უყურე შენ, რაფერ ტეხნიკურათ უშუსტრია ცოლის ნათესავი ვალერიე ბლუსო!“, – აღტაცებით აღნიშნავდა დალაქი, – „**He, все-таки Бог есть!** აბა, რა ეგონა „პარმენიჩს“, შერჩებოდა ვალერიეს ცოლის დის ნათლიას რო უქანავებდაო?!“.

სამთავრობო სქიზმა არ იყო ორპირის ერთადერთი, დღემდე დაუძლეველი მანკიერი მოვლენა. უპატრონო პირუტყვის საკითხი იდგა რაიონულ ცენტრში მწვავედ – სარჩოს ძიებაში ძროხების, ცხენებისა და ღორების ქალაქში ხეტიალის საძრახისი ფაქტები. თუ „ოდნაკლასნიკებში“ გამართულ მრავალრიცხოვან ფლირტს არ მივიღებთ მხედველობაში, ორპირის ახალი გამგებელი ვალერიან შენგელია თითქმის მთელ სამუშაო დღეს სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას ანდომებდა. ორპირში დაპატენტებული მორიგი ინოვაციის შესახებ რაიონის მოსახლეობას გაზეთ „მზერის“ ფურცლებიდან ეუწყა. „რაიონში მოენყო ძროხების ციხე!“ – ამცნობდა მკითხველს სტატიის სათაური.

ერთგვერდიან საგაზეთო პუბლიკაციას ქალაქის ცენტრის პანორამის ჩვენთვის ნაცნობი ფოტოსურათი ამშვენებდა: ბეჭებში გადაჭრილი მრისხანე სტალინითა და თავჩაქინდრული შაოსანი დედით; მოედნის ცენტრში ბალახოვანი ყვავილნარითა და მოწყენილი პირუტყვით...

სტატიაში ძროხების „ვირის აბანო“, ციხისთვის დამახასიათებელი კრიმინალური ჟარგონით იყო აღწერილი. გაზეთის გვერდზე ცოცხლდებოდნენ: „კაი ბიჭი“ ძროხები“, „მაყურებელი“ ცხენები, „ჩამშვები“ ღორები და „სვაბოდაზე“ თუ „პაბეგზე“ მეოცნებე ნიქარები და ნიკორები. შემდეგ გადმოცემული იყო საპყრობილის სტრუქტურა და მოქმედების პრინციპი. „ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელ ფიზიკურ პირთან, ვინმე იაგო ჯიმშელეიშვილთან, უკვე დადებულია. „გახსნილ საქმეთა რაოდენობით, – ირონიულად აღნიშნავდა „მზერის“ ჟურნალისტი, იგივე დეა ჩხარტიშვილი, – ვინძლო კონკურენცია მუნიციპალიტეტის პოლიციის უფროსსაც გაუწიოს, მის მიერვე დაქირავებული სამი პირის დახმარებით“ ... „ვაი, იმ „პრესტუჰნიკ“ ძროხას,

რომელიც ამ „პოლიციელებს“ ხელში ჩაუვარდება, მეპატრონეს 50-ლარიან ჯარიმას სულზე სულმოუთქმელად „აკიდებს“. დაპატიმრებული პირუტყვის ბედ-იღბალი, დეა ჩხარტიშვილის გადმოცემით, ასეთი იყო: „ბანკში „გირაოს“ გადახდის შემდეგ წინასწარპატიმრობამისჯილი ძროხა – „სვაბოდაზე“, თანხა კი ბიუჯეტში წავა. თუკი სამი დღის განმავლობაში დაკავებულს პატრონი არ გამოუჩნდა – უპატრონოები არც აქ უყვართ – დაიკვლება“. სტატიის ავტორი დამცინავი ტონით აღნიშნავდა იმ გარემოებას, თუ რამდენად შეესაბამება ამგვარი „ყვარყვარესეული“ ციხე საქართველოს ლტოლვას „ნატოსკენ“ და დაუფარავი კმაყოფილებით აღნიშნავდა მისტიკური „მაპის“ მიღების მორიგ უშედეგო მცდელობას. დასასრულს, მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტი ფრიად დამაფიქრებელ და, იმავდროულად, რიტორიკულ კითხვას სვამდა: „ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჯერ ვერ დავადგინე, რომელ უწყებას ეკუთვნის ეს სასჯელალსრულებითი დაწესებულება – მერაბიშვილს, ადეიშვილს თუ ახალაიას“.

ეს ყველაფერი კეთილი და პატიოსანი, ოღონდ ხომ სჭირდება აღნიშნულ დაწესებულებას უფროსი, საქმის წარმმართველი და წინამძღოლი?! მხოლოდ ვალერიან შენგელია ხომ არ იქნება მთელი დღე ძროხების დევნაში?! გადანყდა, პირუტყვის ციხის დირექტორად დეპუტატის მოხსნილი ქვისლი გაეშვათ და გამგებელზე განაწყენებული „პარმენიჩის“ გული ასე მოეღობოთ. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას გამგეობის, საკრებულოსა და სრულიად ორპირის ინტელიგენციის გაფართოებული სხდომა მიეძღვნა. საგანგებოდ მოიწვიეს ვეტერინართა პროფკავშირის თავმჯდომარე და ადგილობრივი მოსაკრებლის ზედამხედველობის შეფი. პროტოკოლისთვის, შეკრებას სახალხო დამ-

ცველისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ორპირელის“ თითო-თითო წარმომადგენელიც დაასწრეს.

დაიწყო გამოსვლები. რალა თქმა უნდა, „პარმენიჩის“ ქვისლი ამ ნაკლებად პრესტიჟულ ადგილზე დანიშვნას არ თანხმდებოდა. მას ჯერ კიდევ არ გადასწურვოდა გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე დაბრუნების იმედი. აბა, სასონარკვეთაში ხომ არ ჩავვარდებო?! – ხშირად იმეორებდა ის და აყოლებდა – ღმერთმა დამიფაროს ამგვარი მომაკვდინებელი ცოდვისგანო!

ასე იყო, თუ ისე, სქიზმის ლიკვიდატორის როლს, ზემოხსენებული ორპირის საკრებულოს თავმჯდომარე, ნეიტრალური და საკმაოდ „გაალკამებული“ სოკრატ გულდედავა ასრულებდა. დეპუტატის ქვისლის თანამდებობაზე დაყოლიების მრავალი წარუმატებელი მცდელობის გამო, მოახლოებული „პახმელიის“ ფონზე სოკრატი ძლიერ ღელავდა და კაბინეტის მაცვივარში ანკარა არაყ „გომისაკენ“ მიუწევდა გული:

– ბიჯო, რაია ახლა, რამდენი გეხვეწო? გეპაზორება ციხის უფროსად წასვლა, თუ რაია?!

– მეპაზორება კი არა, იი კიდო! არ ვიცი მაი ძროხების საქმე და რაფერ წევიდე?! რომელი ვეტერინარი მე მნახე? „ორპირის რკინიგზის ფილიალი“ მაქ დამთავრებული „ზაგატოვკების“ განხრით!

– ბიჯო, დღეს მთავარია მენეჯმენტი! რაის ცოდნა ეიტეხე ახლა?! შენ ნაი და უხელმძღვანელე, გოუძეხი საქმეს და რა ცოდნა უნდა მაგას? მთელი გამგეობა და რაიონის ინტელიგენცია გთხოვს, მე მაგის..!

– ცოდნა თუ არ უნდა და გამოცდილება, ჩემი სახლის გვერძეა სამშობიარო! გამიშვით მაშინ იქანა გინეკოლოგების უფროსათ! იგი ქე ვიცი, საცხაა და დანარჩენს

ადგილზე გავარკვევ...

ასე მხიარულად, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა ორპირის საზოგადოების გაფართოებული კრება. განხეთქილება იმჯერადაც ვერ აღმოიფხვრა. მეორე დილით ვაროჟანა-პარიკმახერმა გასაპარსად შესულ გამგებელს სამართებლით ხელში მიუგო: „მაი იმიტო არ შეგირიგდენ თქვენ, რომე ცხენის ზამენა მუთელი არ მოუყვანეთ. ვინროს გარეშე კიდო არ გამოვა საქმე პარმენიჩთან. Вот такая катавасия“. „ჯორდანო“-დათომ მრავალმნიშვნელოვნად – Shershe la fam“-ო, თქვა და საკითხის განზოგადებისთვის, ბარემ ნიცშეს ციტატაც მიაყოლა: „მამაკაცებს ყველაფერზე მეტად თამაშები და საფრთხე უყვართ. ამიტომ მოსწონთ მათ ასე ქალები – ყველაზე საშიში სათამაშო მსოფლიოში“.

თავი III. ხელ - ფეხი, იგივე ხალხი

1. სექსი პატარა ორპირში

ორპირელ მოძღვრებზე გულაცრუებულმა დათომ ეკლესიიდან წამოსვლამდე ბერობა დააპირა. წვერი კიდეც მეტად მოუშვა და სანამ მონასტერში განმარტოვდებოდა, ასკეტურ ღვანლს ორპირშივე შეუდგა. სატანამაც არ დააყოვნა და განსაკუთრებული სისასტიკით – სიძვა-მრუშობის ეშმაკით შეუტია! იმხანად დავით ვაშაკიძე ქალებს არათუ ცოცხალი თავით არ უცქერდა, არამედ გარყვნილ ზრახვებსაც კი ჩანასახშივე იკლავდა. მაგალითისთვის მამაკაცის სიძვის ეშმასთან დიადი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდიც გამოდგება: დავითი ორპირის ბაზრიდან გამოვიდა. მომავალი ბერის გამოცდილმა თვალმა მისგან დამოუკიდებლად ვნების ობიექტი უცებ დაიჭირა – მაგარი ნაშა მოდის! დაზმანულია, ქუჩა მოაქვს – ტანადია, „ფეხები კისრიდან ეწყება“. ერთი სიტყვით, ორპირის პირობაზე მონიკა ბელუჩია. წესისამებრ – გვერდით მახინჯი დაქალი. დათოს უახლოვდებიან. თავი დახარა. ასფალტს მიაშტერდა. ცალი თვალი ლტოლვის ობიექტს მაინც არ ტოვებდა... შარვალი, ფეხები, საკაიფო ფეხსაცმელი... „ვაა! – გაიფიქრა დათომ და შეფხიზლებულმა მყისიერად მიაყოლა: – სახელითა მამისათა, ძისათა და

სულისა წმინდისათა, განვედ ჩემგან სატანავ!“ . ამასობაში ქალიშვილები გაუსწორდნენ:

– ეკაია, მეგეწონა მაყრები? რა ბიჭები იყვენენ!

– მეისპე საცხა! ბიჭები კი არა, გოჭი-ი-ე იყო იმფერი, თითებს ჩეიკვნიტავდი!

შემდეგ, როდესაც ეკლესიას საბოლოოდ განერიდა და თბილისში ჩამოვიდა, დათო სიცილით მიყვებოდა: „ლოცვამ იმოქმედა – ღმერთმა ბაბილონელ ქალებს „ენები აურივნა“! – „ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა, ეკოუუ?! მე კიდევ ისე შემეყვარდი, ჩემო ეკუნა! ეს რა ჰქმენ, ეკატერინევ?! შენგან ყველაფერს ავიტანდი, ნებისმიერ გოიმობას შევურიგდებოდი. თავს გავიგიჟებდი, შენ „ლხ“-საც შევიყვარებდი! ეს „გო-ჭი-ი-ე“ რალა იყო, შე ქალო?!“. დათოს ბერული ბრძოლების ჩანახატი კი ასე სრულდებოდა: „ასე სამუდამოდ დავშორდით მე და ეკა. რა მექნა როო? ერთი დიდი მწერლის მიერ, თავისი მეძავების გახსენების არ იყოს, დელგადინა-სავით მძინარეს ხომ არ შევიყვარებდი?“.

...ერთ-ორ წელიწადში ბერობაზე ოცნებაც დასრულდა. დათომ წვერი დაიმოკლა, ლოცვას უკლო და სიგარეტს უმატა. ის საკუთარი მინიერი ცხოვრების მონესრიგებას შეუდგა და ჩვეულებრივი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით დაინტერესდა. გამგეობაში მივიდა, სამსახური მოიძია...

2008 წელი. ორპირის რაიონული ცენტრი, გამგეობის შენობა. დერეფნების კატაკომბები. ყველა კაბინეტში, სადაც კი დათომ შეიხედა, სამარისებული სიჩუმე იდგა, კომპიუტერის მონიტორს მიშტერებული ქალები და მამაკაცები, უძრავი სახეებით, გაფართოებული, წყლიანი თვალებით, კონცენტრაციისგან გამახვილებული ცხვირებით, ინტენსიურად უკაკუნებდნენ კლავიშებზე დაახლოებით ერთსა და იმავე ვნებიან ტექსტს:

მამაკაცი: „საყვარელო M, გილოცავ თავისკვეთას პატი-
ოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცე-
მელისა იოანესი! შენ გენაცვალე მე ციმციმა თვალეში!
გკოცნი კისერში, ყურში და ყველგან... გეფერები მუხლებზე,
მუცელზე... :) მიყ-ვარ-ხაარ, პატარაავ!“;

ქალი: „შენც აგრეთვე, N, უფალი გფარავდეს! მადლობა
ამდენი ქათინაურისთვის, თბილო და ცელქო :) მეც ძალიან
მიყ...“.

სამსახური დამთავრდა. ოთახებიდან გამოდინდენ
დეიდები, დაღლილი და გაოფლილი, ოდნავ ანითლებული
და ნეტარი სახეებით, მათი გული ჯერ კიდევ ვირტუალურ
ოცნებათა სამყაროში ნანაობდა. დავითი იდგა და ქალებს
სიბრაღულით აცილებდა: სხვა რა აკეთოს რაიონის მონ-
ყენილობაში ამომწყვედელმა დედაკაცმა? საუკეთესო
შემთხვევაში ის მუშაობს, შესვენებაზე გარბის ბაზარში,
6-ზე მიდის სახლში. მძიმე ჩანთები, პარკები. შესვლისთანავე
უნდა შეუდგეს სადილს, დააპუროს შვილები, შემდეგ – გვიან
მოზრძანებული გამომთვრალი ქმარი, რომელიც გასკ-
დომისთანავე დაიძინებს, გაზეთსაც არ გადახედავს (თბილ,
ოჯახურ საუბარზე ოცნებაც კი ზედმეცია) და ამოუშვებს
ხვრინვას. ამ ქალბატონების უმრავლესობა მოკლებულია
პირად კომპიუტერს. გამოსავალი? სერიალები, რომლებმაც
ბოლო დროს მეტად ეროტიკული ხასიათი მიიღეს. ტკბობა
გრძელდება, ამჯერად სხვისი სასიყვარულო განცდებით,
რაც რეალურ ცხოვრებაში მათ ასე აკლიათ. საზოგადოების
მხრიდან მკაცრი მეთვალყურეობის პირობებში ეს ქალები
იძულებულნი არიან, დაკმაყოფილდნენ სიყვარულის სურო-
გატით, უსიტყვოდ გააგძელონ „ტრადიციებით“ გაჟღენ-
თილი ფარისევლური ცხოვრება და გარეგნულად მაინც
შეინარჩუნონ უმანკობა. აბა, ღმერთმა ნუ ჰქნას, ქართველი

ქალია, ხომ არ „იბოზებს“, ვააა!

მხოლოდ დიდხნიანი დაკვირვებებით ამ ტიპის ქალებზე, მათთან ვირტუალური თუ რეალური ურთიერთობის შედეგად დავით ვაშაკიძე ნაწილობრივ მაინც ჩანვდა ამ მოვლენის არსს. ეს „კდემამოსილი“, 35-50 წლის, ხშირად ლამაზი ქალები, რომლებიც დათო-„ჯვორდანომ“, ყველაზე მრავალრიცხოვან, „ქართული უბინო სექსის მოყვარულთა ჯგუფს“ მიაკუთვნა, აწარმოებენ ხანგრძლივ, დაუსრულებელ და ვრცელ მიმოწერას ინტერნეტით, გამუდმებით ახსენებენ „უფალს“, თავიანთ გვერდზე განათავსებენ ბანალურ ტექსტებსა თუ ციტატებს სასიყვარულო ურთიერთობებზე, ყოველდღიურად და საქვეყნოდ აღწერენ „პირად“, „იდუმალ“ განცდებს, დებენ სექსუალური ფანტაზიების ამსახველ სურათებსა თუ ეროტიკული შეფერილობის აუდიო-ვიდეომასალებს, არცთუ იშვიათად გულის ან წითელი ვარდის გამოსახულებით, რომლის ფონზე აუცილებლად ფიგურირებს სიტყვა LOVE. „უბინოდ“ მეოცნებე ქალბატონები, მამაკაცისგან ითხოვენ რომანტიკულობას, „სიგიჟემდე“ უყვართ პოეზია და თავადაც წერენ „ლექსებს“; კეკლუცი, მრავალრიცხოვანი პირადი ფოტოებით, ისინი, როგორც თავლი ფუტკარს, ისე იზიდავენ უამრავ თაყვანისმცემელს, აბამენ სასიყვარულო მიმოწერას ერთდოულად მრავალ მამრთან, ხშირად – გაცილებით ახალგაზრდასთანაც. პოლიგამიური ფლირტი გაჩაღებულია ყოველდღიურად, ფაქტობრივად 24 საათის განმავლობაში, ის ამ ქალების მთელი ცხოვრების აზრს შეადგენს! ფაქტია – ამგვარ ურთიერთობებს ახლავს ნარკოტიკულის მსგავსი დამოკიდებულება სიყვარულით ტკბობისადმი და შეუძლებელია, მას არ ახლდეს სექსუალური დაკმაყოფილების ფსიქიკური ფორმა – „ფსიქიკური ორგაზმი“. როგორც

დავით ვაშაკიძემ დაადგინა, ამასვე ადასტურებს მეცნიერული კვლევებიც – ქალებმა შეიძლება წარმოსახვითაც კი, ყოველგვარი შეხების გარეშე, განიცადონ ორგაზმი.

მივუბრუნდეთ ორპირელ დეიდებს, ჩვენ ისინი სერი-ალებზე მიჯაჭვული დავტოვეთ. ლამისკენ, ღონემიხდილი, სასონარკვეთილი დიასახლისი ან დაიძინებს, ან, გააჩნია ფანტაზიის გაქანებას, ველარ გაუძლებს ცდუნებას და აღგზნების კულმინაციას მექანიკური სტიმულიაციით მიაღწევს, ანუ მაგრად „გაათავებს“. ორპირულ ფარისევლურ ენაზე ამას „ტანის დაბანა“ ჰქვია. როგორც დათომ შეამჩნია, ამგვარ მრავალსაათიან „აბაზანებს“ მამრებთან საუბრის შემდეგ ნაირნაირი „ბადიუზანების“ სურნელოვან ქაფში ლივლივით, მრავალი გაცილებით თანამედროვე, ქალაქელი და ნატიფი ქართველი ქალიც ხშირად მიმართავს.

ცხადია, დავით ვაშაკიძეში წლების განმავლობაში მიძინებულმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გაიღვიძა. მეცნიერის მაძიებელმა ტვინმა ორპირის საზოგადოების შესწავლის შედეგად დაასკვნა: „ადამიანები უხმოდ შეთანხმდნენ ტყუილზე, ფსიქიკური ორგაზმით დაკმაყოფილება გრძელდება! ის ხომ ფარულია, ამიტომ მის დამკვებაზე საზოგადოება თვალს ხუჭავს, მითოლოგიური უბინოება გრძელდება – დიდება შენ ფარისევლობავ, ჩვენო, დიდება შენდა!“.

სწორედ ფარისევლობისა და ქართველი ქალების სექსუალური ყოფაქცევის თავისებურებების აღწერა გახდება მომავალში დავითის ცხოვრების დასკვნითი ეტაპის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა. „ორპირული ქრონიკების“ ამ ნაწილსაც შესაბამისი ეპიგრაფი ექნება წამძღვარებული:

„ქართველი ქალებისთვის გაცხადებულად ანუ საზოგადოებისგან დაუფარავად, ქორწინებამდე სექსი არ არსე-

ბოხს, ამაზე საუბარიც კი სამარცხვინოდ ითვლება. ქალის და კაცის სასიყვარულო ურთიერთობის ძირითადი მიღებული ფორმაა სქესობრივი აქტი ბავშვის გაჩენის მიზნით, ისიც ერთადერთი და სამუდამო სამოქალაქო ქორწინებისა და ჯვრისწერის შემდეგ. ნაადრევი გათხოვების ნეტარი წუთის დადგომამდე მღედრების უმრავლესობა დამაჯერებლად ქადაგებს მითს, თითქოს არც კი უნდა, დაკავდეს სექსით, რადგან სრულიად გულგრილია ასეთი სიამოვნებისადმი, ხოლო სამჯერ განათხოვარი შვილებიანი ქალი ქალიშვილივით იქცევა და თვალში ნაცარს გაყრის ძველი ზღაპრით, რომელშიც ბავშვებს ბოსტანში პოულობენ.“.

დათო ვაშაკიძის, ჯერ კიდევ ორპირში შესრულებული სექსუალური კვლევები მეტად საინტერესო შინაარსის დასკვნით სრულდებოდა, რამაც შემდგომში უდავოდ განსაზღვრა მისი ცხოვრებისა და კვლევა-ძიების მიმართულება:

„აღსანიშნავია და დიდად სასიხარულოც ის ფაქტი, რომ „უბიწო სექსის მოყვარულთა“ არმიაში დღეს უკვე გაჩნდა მონინავე ქალთა ბატალიონები! სექსუალური ფრონტის ეს მებრძოლები მოქმედებენ გაბედულად, ახერხებენ საზოგადოების მიერ დაწესებული ჩარჩოების დარღვევას და ვირტუალური გაცნობის შემდეგ თამამად იწყებენ რეალურ სასიყვარულო ურთიერთობებს“. „ორპირულ ქრონიკებში“ დათო- ექიმი წერდა: „დამახინჯებული, სუროგატული, მაგრამ მაინც სექსუალური რევოლუცია ბობოქრობს ჩვენ თვალწინ, უბრალოდ, ჩვენ არ ვიმჩნევთ ამას“.

2. მამა აკაკი და ჭემო

თუ ტყუილს სიმართლის მარცვალს არ ახლავს, რაიმე რეალურით არ არის გაზავებული, მას არავინ ირწმუნებს. ზღაპარს აკლია დამაჯერებლობა, მითს კი – პირიქით. ზღაპარი უყვარს ადამიანს, მითი კი მოქმედებისკენ უბიძგებს. ჩვენც შესაბამისად ვმოქმედებთ, რადგან არა კრიტიკული აზროვნებით, არამედ მითოლოგიური ანუ მიკერძობული ცნობიერებით ვხელმძღვანელობთ. ტენდენცია ხომ უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ობიექტური სიმართლე.

რაც მართალია – მართალია! ქეიფი უყვარდა მამა აკაკის, კარგი მოლხენა, სუფრის წაყვანა. პოპულარობამ, დიდმა მრევლმა, გაუთავებელმა ბანკეტებმა თავისი ქნა – გადათრობაც უწევდა და დილით „პახმელიაზე“ ტაძარში წირვაც. პერიოდულად ითმენდა, ოფლი სდიოდა და კვლავ ჩვეულ, ფხიზელ ცხოვრებას უბრუნდებოდა. თუმცა, იმხანად თითქმის ერთადერთ მოძღვარს მთელ ეპარქიაში, წამონოლისა და კარგად გამოშუშების დრო სად ექნებოდა? მღვდლის რეპუტაციაზე მთავარი დარტყმაც სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა. მამა კანდელის მტკიცებით, აკაკი საკურთხეველშიც კი უნახავთ, ტრაპეზზე წმიდა ბარძიმთან ერთად სამლიტრიანიდან ღვინოს როგორ ყლუნწავდა და ქათმის ბარკალსაც ივლებდა პირში. ერთ-ერთი ვერსია კი ასე ჟღერდა: ქრისტესსისხლიან ბარძიმში მისაყოლებლად გოჭის ხორციც კი იღებოდაო... შემდეგ „ნასაუზმევი“ მღვდელი, იქვე წამონოლილი, კვერექსებს გაიძახოდაო: „შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, კაცთმოყვარე, გვევდრებით, ისმინე და

შეგვინწყალენ... მერმეცა გვეედრებით ღვთივ დაცულისა ერისა ჩვენისა, მთავრობისა მისისა და მხედრობისა მისისათვის... მერმეცა გვეედრებით ყოველთა ძმათა და ყოველთა ქრისტიანეთათვის... რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ, და შენდა დიდებასა აღვაველენთ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისათა, ან და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

დათომ, რაღა თქმა უნდა, როგორც მორჩილი უმრავლესობის წევრმა, ყოველივე ღვთის განგებად აღიქვა და მამა კანდელის მონათხრობში ეჭვი ოდნავაც არ შეჰპარვია. „რა უნდა მრუშსა და ლოთს მღვდლად, რა?!“, ხშირად იმეორებდა ის. პირველი დაეჭვება მამა კანდელის ახალმოსახლეობის აღნიშვნისას განუცდია. დათო ამ სუფრის შემდეგ კარგა ხანს შოკში ყოფილა, როდესაც დაუნახავს, რომ მის თვალწინ ადამიანის დამცირების სცენა დაიდგა, ხოლო მაყურებლები ამ დაცემით ტკბებოდნენ და ხარობდნენ კიდევ!

...საქეიფოდ ეპარქიის ყველა მღვდელმსახური და, რაღა თქმა უნდა, მეუფე, მონაზონთა ამალით იყო დაპატიჟებული. სუფრა მამა კანდელის სახლში, ქვემოთ, ავტოფარეხში, ასე, 50 კაცზე გაეშალათ, მოწვეული მგალობლებითა და დამკვრელებით. სუფრას თავს ეპისკოპოსის საჯდომელი უმშვენებდა. იქვე, კედელზე – იესოს, ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ხატები, ზუსტად მეუფის საჯდომლის უკან – თეთრი ნაქარგი ფარდაგი. მის ზემოთ, ვერცხლისფერ, ბრჭყვიალა ქალღმერთი გახვეული მართკუთხა დაფა წითელასოებიანი წარწერით – ქრისტი აღდგა! იქვე მიმაგრებული ხის წითელი, გიგანტური კვერცხი.

ფუსფუსი, ნერვიულობა, განცდების ზღვა – დღეს მეუფე მოდის! გაუთავებელი ლოდინი... სამი საათის დაგვი-

ანებით მობრძანდა, როგორც იქნა, 8-9 საათისთვის სტუმრები სუფრას მიუსხდნენ. მეუფის გვერდით ადგილები არა მღვდლებმა და ბერებმა, არამედ ორპირის წამყვანმა „ფულის ტომრებმა“ და ადგილობრივი მთავრობის წევრებმა დაიკავეს. ამ სულ რაღაც ხუთ თუ ექვსკაციან სუფრაზე ყველაფერი გამორჩეულია – სერვირებაც, საჭმელიც. თავიდან ამგვარი ფეოდალური პრივილეგიები დათოს ძლიერ აბრკოლებდა, შემდეგ კი არა მარტო შეეჩვია, არამედ დამსახურებულადაც ჩათვალა – ეპისკოპოსია, რაც უნდა იყოს!

თამადას ირჩევენ, დასახელებული კანდიდატურის ვარგისიანობას პეხოს რეაქციის მიხედვით საზღვრავენ... დეპუტატი სერგო გალდავა უარობს. გამგებელი ვალერი შენგელია გაციებულია... „ბენზობაზის“ დირექტორს წნევა აქვს... სუფრის საპატიო წევრთაგან კიდევ ვინ დარჩა?.. მეუფე ჩაერია და ბრძანა:

– შენ იქნები! – საუბარია მამა აკაკიზე. ორმეტრიანი მამაკაცი ყოყმანობს, სიტყვებს ეძებს... თავს დამნაშავესავით ხრის, ქვემოთ იყურება, ოფლი ასხამს:

– მე მეუფეო... აღარ ვსვამ... ორი თვეა, არა სამი... გული... წამლებს ვიღებ...

– რაა?! ახლა არ სვამ?! როდის მერეა?! აბა ჩქარა! მიდი, მიდი...

– რახან მაკურთხეთ მეუფეო, რაღა თქმა უნდა, ვიქნები, აბა, როგორ?.. ვიქნები!

დათოს გაკვირვებას საზღვარი არ აქვს „კი მაგრამ, პეხოს მიერ წაყენებულ ბრალდებათაგან ძირითადი ხომ ლოთობაა, რატომღა აძალებენ?!“ ... მამა აკაკი მეუფისგან მოშორებით ზის, მღვდლებთან. ცარიელ ჭიქას ხელში იღებს. არავინ უვსებს...

იმ დროისთვის მოძღვრის ბედი, როგორც შემდეგ

გაირკვა, უკვე გადანწყვეტილი ყოფილა. თუმცა, მამა აკაკი, როგორც მერე თვითონ გამოტყდა, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პეხოს ლმობიერებისა და პატრიარქის ქომაგობის იმედს. „წყალნალებული ხავს ეჭიდებოდაო“ – ასე გახლდათ მამა აკაკის საქმე.

...სადღეგრძელოები გაჩაღდა. მამა აკაკის არავინ უსმენს – მის გარდა ყველამ იცის, რომ ეპარქიიდან მალე გაუშვებენ. მთავარ სიტყვებს – მთავარი წარმოთქვამს! მამა აკაკის სადღეგრძელოს დასრულებას არც აცლის, მეუფე პეხო ფეხზე დგება, დანა-ჩანგალს იღებს, ბროლის ჭიქას უკაკუნებს, შეზარხოშებული საზოგადოება ჩუმდება... აუჩქარებლად, დაკვირვებით, დაბალი ხმით, თანმიმდევრობით წარმოთქვამს: რა მაგარი და ყველასგან გამორჩეული ვართ ქართველები, როგორ გვებრძვის მხოლოდ ჩვენ ეშმაკი და სხვა დანარჩენი მსოფლიო; დასკვნის სახით, ცნობილი სახარებისეული სიბრძნე. ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ მაგალობელ-მომღერალ-დამკვრელები ასრულებენ მეუფის საყვარელ „სხვა სა-ქა-რთვე-ლო სად არიი-ის...“ და „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება-ა-ა, ჩიტივით, ჩი-იტივით...“. პერიოდულად, ამ ორ სიმღერას შორის „აფენენ მეგრულებს“. ათი საათისთვის ხალხი თრობას იწყებს, მამა კანდელისა და მისი მეუღლის თვალების ქაჩვის მიუხედავად, პეხოს ქადაგებას აღარავინ უსმენს. ის დგება და ყოველგვარი მობოდიშების გარეშე სუფრას ტოვებს. მამა აკაკი ადღეგრძელებს სუფრის ნევრებს. განსხვავებულები, ერთი-ორი ყანწი... თვრება, მაინც სვამს... მძიმე მისია დასრულებულია, ნებდება, მაგიდაზე დებს თავს და იძინებს... დამსწრე საზოგადოება აშკარად, თითქმის დაუფარავად, დასცინის მოძღვარს... მამა კანდელის დახმარებით მობარბაცე მღვდელი სახლში მიჰყავთ. საყოველ-

თაო მსჯავრი ასეთია: „აი, თუ არ ყოფილა მეუფე მართალი – აკაკი ლოთია... ვერცხლის მოყვარე... და გარყვნილიც!“.

ერთ-ერთი ძირითადი ადგილი მამა აკაკისადმი წაყენებულ ბრალდებათა „ოფიციალურ“ ნუსხაში მომხვეჭელობას ეჭირა. საგაზეთო პუბლიკაციაში სიტყვასიტყვით ასე ეწერა, – „ჩემზე ისიც კი თქვეს, მამა აკაკის ძალიან უყვარს ფულიო“. არადა, საკმარისი იყო გენახათ მამა აკაკის ოროთახნახევრიანი „ხრუშჩოვკა“, სადაც ცოლთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა, მოძღვრის დანგრეული, გაცრეცილი მანქანა, რომელსაც მუდამ მრევლის ბიჭები აწვებოდნენ, რათა ყოველგვარი ეჭვი მის მომხვეჭელობაში უცებ გაქარწყლებულიყო. ამ ჩამონათვალის გარეშეც, პირადი შეხვედრისას ყოველივე ნათელი გახდებოდა! მშრომელი ქართველი გლეხის ტიპი – მაღალი ტანის (იქნებ პეხოს ათვალწუნების მიზეზი სწორედ ეს გახდა?) მოსული მამაკაცი, გულუბრყვილო ბავშვის გამომეტყველებით, დაკოჟრილი ხელებითა და გაცვენილი თმით. ყოველივეს მისი გულღია, მორცხვი ღიმილი, მორჩილად ქვემოთ დახრილი მზერა და აწითლებული ლოყები აგვირგვინებდა... და ეს კაცი იყო მომხვეჭელი, ამპარტავეანი და მრუში?! დაუჯერებელია!

... ერთხელ, გვიან ღამით, ჩაძინებული დათო ვილაცის მთვრალმა ყვირილმა შეაღვიძა. ყოფილ ამფსონებთან დიდი ხნის დაშორებულს არ ესიამოვნა, წინასწარ გაღიზიანდა კიდეც – ნეტავ, ვინ მობრძანდა? რა უნდა ამ შუალამეს?! წამოდგა, გაიხედა... ჯემოა. ამ უდროო დროს, რამ მოიყვანა? ეზოში გავიდა, მიუახლოვდა, გადაკოცნა... ჯემო ქვითინებს:

– დათოია, ახლა რაფერ ვიცხოვრო მე მამის გარეშე?! ვინ დამიბრუნებს მე მამას?!
დათომ იფიქრა – ჯემოს მამას რალაც მოუვიდა...

– ბიჭო, აი რა გვიქნეს ათას კაცს? ვის ჩევეხუტო ანი, ვის მოუყვე, დათოია, აღსარება?! რაი ვქნა, ბიჭო, დავთვერი?... გაგვიგდეს, ბიჭო, მამაო, ქურდივით გადაასახლეს მაგ... უნამუსო პეხომ და მამა კანდელმა! ვიცი, არ შეიძლება განკითხვა, მარა ამფერი კაი კაცი, დათოია, მთელ რაიონში არაა, ხო იცი შენაც...

არც ერთ კითხვაზე დათოს პასუხი არ ჰქონდა. ეზოში სკამზე ჩამოსხდნენ, გათენებამდე ისაუბრეს. ჯემო სულ მოთქვამდა, ვინ დამიბრუნებს ახლა მე მამასო, ვინო?! სიგარეტი, რომელსაც სხვებს უშლიდა, ორი ყუთი ედო ერთად. დავითს საგაზეთო პუბლიკაციიდან მამა აკაკის გულჩამწვარი სიტყვები გაახსენდა: „...მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული, ორპირში ისე არ მიცხოვრია, რომ ასეთი „დაფასების“ ღირსი ვყოფილიყავი. თუ რამე გამოსასწორებელი მაქვს, რალა ხაშურში უნდა გამოვსწორდე მეუფე იობთან, რა, აქ არ შეიძლებოდა გამოსწორება?..“.

დათო დილით წირვაზე წავიდა, ფეხები უკან რჩებოდა – როგორც მამა კანდელის „პირადი“ მედავითნე, თვლიდა, რომ მომხდარ უსამართლობაში მისი წილიც საკმარისადაა... სულ ერთი დღე იდარდა. მალევე, როგორც ყველას, მათ შორის ჯემოსაც, მომხდარი საერთოდაც გადაავიწყდა. მთელი ერთი ადამიანი, თავისი განცდებით, ბედ-იღბლით, სინდისით, 50 წელს მიღწეული, ეპარქიიდან გაგდებული, ცოლით, ორი შვილით, ღვთის ანაბარა მიტოვებული... ისე, მართალი რომ ვთქვათ, დათოს გულში რალაც კვალი, მწარე ნალექი კი დარჩა... სულ ოდნავ.

მამა აკაკის თავგადასავლები კი მხოლოდ მეუფისთვის გასაგები ლოგიკით განვითარდა. ჯერ იყო და, გრაკალის წმ. გიორგის ეკლესიიდან გადაიყვანეს სხვა, ნახევრად დანგრეულ ტაძარში, რომელსაც მრევლი არ ენახა. ეკლე-

სიიდან ეკლესიამდე მოგზაურობა გაგრძელდა. მამა აკაკიმ სმას უმატა. ორჯერ ჩამოხსნეს ჯვარი. მამა აკაკის მეუღლე მამა კანდელს ფეხებში ჩაუვარდა და ჯვარი დაუბრუნეს. უკანასკნელად, გაშვებამდე, ორპირის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში მსახურობდა. აქ ყველაზე უარესი მოხდა:

მამა აკაკისთან ეკლესიაში ვიღაც ცნობილი აფერისტი მისულა და დაჰპირებია, შენ 1500 დოლარი მომეცი და ბიზნესის აწყობა მე ვიციო. დახარბდა გაჭირვებული მღვდელი, რა ექნა – ორ მოზრდილ ბიჭს ხომ უნდოდა რჩენა?! სხვა შემოსავალი კი არსაიდან ჩანდა. მეუფეს ხომ ის ერთი ეკლესიიდან მეორეში ელვის სისწრაფით გადაჰყავდა და ამიტომ ფეხი ვერსად მოიკიდა.

...ბანკიდან სესხი აიღო და ახლად მოვლენილ გაიძვერას მისცა, იმანაც არ დააყოვნა და გადააგდო. დარჩა მამა აკაკი უფულოდ, ბანკის ამხელა ვალით. ორპირში ახლაც არაფერია, მაშინ რა იქნებოდა – სამოქალაქო ომი ახალი დასრულებული იყო. აქეთ ეცა, იქეთ ეცა – უშედეგოდ. თავისივე ძველი მრევლის მიპატიჟებით, გადანყვიტა, მოსკოვს გამგზავრებულიყო. ჩამო მამაო, ბიჭები რომ დაგინახავენ, ფულს ყველა დადებსო. გამგზავრებაზე ზრუნვა დაიწყო. პირველად ეპისკოპოსს ეახლა მოსკოვში წასვლაზე კურთხევის მისაღებად. პეხომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ეგ სადაური კურთხევაა, ჯერ გადანყვიტე, ფულის საშოვნელად მოსკოვში გაქცეულიყავი და მერე მოდიხარ ჩემთან კურთხევის ასაღებადო?! არადა, ფორმალურად მართალი გახლდათ, ალბათ, ასე ეწერა „რუის-ურბნისის კრების“ დადგენილების იმ ნაწილში, სადაც აფერისტებისგან დაზარალებული უნიათო მღვდელ-ბიზნესმენები არიან მოხსენიებულნი. მეორე მხრივ, ბანკი არად აგდებდა 1105 წელს გამართული საეკლე-

სიო კრების დადგენილებას, გადაგდებული მღვდლების და მათი მოსკოვში გაშვება-არგაშვების საკითხის შესახებ. რა ექნა სასონარკვეთაში ჩავარდნილ მამა აკაკის?! თუ ერთი ადამიანი მაინც ამოხსნის ამ დილემას, ისე, რომ არც პეხოს ეწყინოს და მამა აკაკიმაც მოსკოვში ფულის სამათხოვროდ ჩასვლა მოახერხოს, ნობელის პრემია მას, ჰალალი იყოს! საცოდავმა იფიქრა, იფიქრა და ასე გადანყვიტა – „მეუფე პეხო კია ეპისკოპოსი, მარა ადამიანია მაინც, რაც უნდა იყოს, მაპატიებს... ბანკს კიდევ არაფერი სცხია კაცობის და დაგირავებულ ერთადერთ ბინასაც წამართმევს“. თქვა და გააკეთა. მოსკოვში ფულიც შეუგროვეს, ჩამოსულმა ვალიც გაისტუმრა და ეს ზღაპარიც კეთილად დასრულდებოდა, რომ არა პეხოს ყოვლისშემძლე გავლენა და ყოვლისგამგონი ყური. უკან დაბრუნებული მამა აკაკი აეროპორტში ტრაპიდან რომ ჩამოდიოდა, „აგენტი იოვან-ss-23“ ზადენში პეხოსთან მოსკოვიდან რეკავდა სასწრაფო შეტყობინებით... მეუფემ შეიტყო, მამა აკაკიმ პეხოს მოსკოვურ ლატიფუნდიებში, ფეოდალის ყამირ, სათუთად მოვლილ მინებში მთელი 1500 დოლარისა იბალახა! მღვდლის ეპარქიიდან გაგდების მიზეხთა შორის, ეს უკანასკნელი წვეთი შეიქნა ეპისკოპოსის სათნოებით სავსე გულში. ვულკანმაც იფეთქა!

ყველაზე ავტორიტეტული მოძღვრის სამაგალითო დასჯა და ორპირზე სრული ძალაუფლების მოპოვების ოპერაცია უკანასკნელ ფაზაში შევიდა. მამა აკაკის რამდენიმე სულიერმა შვილმა და მონასტრის ორმა მორჩილმა მას დედა ტატიანასთან განმარტოებაში დასდეს ბრალი...

...საინტერესოა, ამ დროს სად იყო „მამის დაბრუნებაზე გარდარეული“ ჯემო?.. ვერავინ იტყოდა დანამდვილებით, რა მეტად იყო ჯემალის, იმავე ჯემოს მყისიერი გაქრის-

ტიანების მიზეზი – ღვთის რწმენა, გულთბილი მოძღვარი მამა აკაკი თუ ორპირის საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების სურვილი. ფაქტი ფაქტად რჩება – ქუჩის ბიჭმა წამალს თავი დაანება, გრძელი წვერი მოიხდინა და ქრისტეს შეუდგა. საკმაოდ მოკლე ხანში ჯემოს „ღრმად მორწმუნედ“ ტრანსფორმაციის პროცესი დასრულდა – ის მშობლიური რაიონის სოფელ გრაკალის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლს სულიერ ძმად, ხშირად კი თვითნასწავლ დამრიგებლადაც მოეწვინა. ასე შეიძინა ჯემომ ფუნქცია და მნიშვნელოვნება.

ადამიანის სულიერი განვითარების საწყის ეტაპზე მხოლოდ მკაცრი დოგმების დაცვაზე დაფუძნებული რელიგიურობა შეიძლება გამართლებულიც იყოს. ხოლო თუ შემდეგაც ახლადმოქცეული განაგრძობს მარტო მშრალი კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესრულებაზე ყურადღების გამახვილებას, მისი სულიერი განვითარება წყდება. ამ შემთხვევაში რწმენა საკუთარ კარიკატურად – გაქვავებულ დოგმებზე დაფუძნებულ კერპთაყვანისმცემლობად იქცევა, ხოლო თვით მორწმუნე – სიამაყისგან გაბერილ, ფარისეველ არსებად.

წინათ, სანამ მორწმუნე გახდებოდა, ჯემო ნორმალური ბიჭი იყო, აღნიშნავდა, უკვე ეკლესიას განრიდებული ყოფილი ექიმი დავითი. ნაექიმარს, იმხანად ჯერ კიდევ მრევლის წევრს „პაციენტის გაჯანსაღების“ იმედი მხოლოდ მაშინ გადაუწურავს, როდესაც ეკლესიიდან გამოსულ ჯემოს ფეხსაცმლის ძირი აუწევია და აღშფოთებით, ლანჩაზე ქარხნული წესით ჯვარედინად დასმულ რეზინის ხაზებზე მიუთითებია: „დათოია, ხედავ, მასონები რას გვიშობენ?! გვაიძულებენ, ჯვარს დავაბიჯოთ ფეხი და დავგმოთ სულიწმიდა!“.

ილუმინატი მწარმოებლის მიერ შემოცურებული მკრეხელური ხრიკის ლიკვიდაციისთვის ჯემოს შვიდი დღე და ღამე უღვანია: გვიან იძინებდა, დილით ადრე დგებოდა; დილის ლოცვის, სახარების თავისა და „ღვთისმშობლის დაუჯდომელის“ დასრულების შემდეგ ფეხსაცმლის ძირზე გამოსახულ ასობით ჯვარს სამართებლით თითო მხარს ათლიდა და „იესოს ლოცვას“ ჩურჩულებდა – „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, მიწყალე მე ცოდვილსა ამას“; ჯვარი ავტომატურად ქრებოდა და ჯემოც სამკლავიან ნახატს ფეხს თამამად აბიჯებდა. ასე დატოვა გამჭრიახმა „მართალმა“, გაიძვერა სექტანტები პირში ჩალაგამოვლებულნი.

ამჟამად ჯემალი ლენინგრაღშია, ბევრს შრომობს, ოჯახს ინახავს, ეკლესიაში დადის, ლოცულობს და ახლად მოქცეულებსაც არიგებს – მართლმადიდებლობაში მთავარია მორჩილება და მოძღვრების არ განკითხვაო! ჩვენ, ქართველები და რუსები ერთმორწუნე ძმები ვართ და, როგორც სერაფიმ საროველმა თქვა, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ამიტომ მას არ ეომოთო... გულში კი ხშირად იმეორებს, საქართველო აუცილებლად გაბრწყინდებაო.

3. აღამიანთა განვითარების, განახლებისა და ცვალებადობის თეორია ერთან და ბერთან მიმართებით

შესავლისთვის გთავაზობთ დათოს მიერ გაზეთ „მზერის“ რედაქციაში დეა ჩხარტიშვილისთვის მონათხრობს, რომელიც ჟურნალისტმა ჩაინერა და იგავის სახით გადმოგვცა. მაშ ასე, დავინყოთ – „მთავარეპისკოპოსი სახელად „მელნისფერი შიში“:

„სავანის მოსალოცად და დედების მოსაკითხად ერთხელ მონასტერში ასულებს ოდნავ შეგვაგვიანდა – ადგილობრივ სინმინდეებზე საუბრით გავერთეთ. თან, მამა კანდელის მეუღლე, ქალბატონი ფოტინია და რამდენიმე მორწმუნე ქალი მახლდა. ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა, სამუდამო ტკბილ მოგონებად დარჩებოდა, რომ არა დედა ბარბარეს მობილურზე უეცრად მოსული მესიჯი – „პეხო მოდის!“

ამგვარი შეტყობინება მეუფის ხილვით გამოწვეული სიხარული როდია, არამედ ამ მოვლენას შეიძლება უწოდო – „მელნისფერი შიში“! ამ თავზარდამცემი შიშის იქეთ სიკვდილია, ანუ შავი ფერი, ხოლო პეხოს მობრძანება ოდნავ ღია ფერისაა და ამიტომაა ის მელნისფერი“, – ჯიუტად მიმტკიცებდა ნაეჭიარი დავით ვაშაკიძე.

„მოახლოებულმა ვიზიტმა სავანის მრავალჭირნახულ დედებს შორისაც კი დროებითი გაქვავება გამოიწვია. ჩვენ რაღა გვეთქმოდან?! მოძღვრის ცოლი დაპატარავდა და აშკარად გაქრობას ლამობდა. დამთრგუნველი გრძნობა ყველას მოგვედო და გულზე დაგვანვა. მე კანკალმა ამიტანა,

ხელები გამოიფლიანდა და ოდნავ მიცახცახებდა, მუცელში გამჭრა. მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი მონასტრიდან გამოსული ეპისკოპოსის „ჯიპის“ მარშრუტს იმავე სავანის დედები მობილური ტელეფონით გამუდმებით გვატყობინებდნენ, შიში იზრდებოდა და ყოვლისმომცველი ხდებოდა. უღმობელი განაჩენის მოლოდინში ყველანი პარალიზებულნი ვიდექით. განსაკუთრებით დიდი დანაშაული მე მიმიძლოდა, რადგან ქალთა მონასტერში მამაკაცის ყოფნა აკრძალული იყო და თანაც, მოკლემკლავიანი პერანგი მეცვა!

მრისხანე კერპის ახალთახალი, შავი „პრადო“ ეზოში „შემოჭიხვინდა“ და ოდნავ მოშორებით გაჩერდა. მონასტრის წინამძღვარი, დედა ბარბარე ვაიმე, ვაიმეს მოთქმით მეუფესთან შესახვედრად გაქანდა. პეხომ ცალი თვალით აგვხედ-დაგვხედა და განრისხებული დედა ბარბარეს კელიაში შებრძანდა... სანამ მონაზონს დახურულ კარს მიღმა უბლაოდა, ჩვენ ჩვენი დაგვემართა. პირველი გონს მოეგო ფოტინია! მან, როგორც დეკანოზის მეუღლემ და მომლოცველების ჭეშმარიტმა წინამძღვარმა, „მამაო ჩვენოს“ სასწრაფოდ წარმოთქმა და „უფალო შეგვიწყალებს“ 100-ჯერ გამეორება ბრძანა. გაოგნებულნი ლოცვად დავდექით, რათა კერპის მრისხანება ღმერთის შუამდგომლობით ოდნავ მაინც დაგვეცხრო. სამ-სამი მცირე მეტანიაც იქვე შევასრულეთ. დაუჯდომელი ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ შენ ნაიკითხეო, მთხოვეს. ფოტინიამ მეუფის შეხვედრის რიტუალის თაობაზე სახელდახელო ინსტრუქტაჟიც ჩამიტარა. მასში ცენტრალური ადგილი, რალა თქმა უნდა, ხელზე გულმხურვალედ, მონინებით მთხვევას ეთმობოდა. ცნობილი იყო, რომ ეპისკოპოსი ხელზე მთხვევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ღმერთმა ნუ ქნას

და, თუ ვინმეს უნებლიეთ პეხოს მტევანზე ამბორი დაავინყდებოდა, ეს კერპის სასტიკ გულისწყრომას იმსახურებდა. მრევლიც მომდევნო ერთი წლის განმავლობაში გაუგონარ კადნიერებას დიდად განიცდიდა და ბჭობდა, როგორ არ ემთხვია ესა თუ ის მორწმუნე პეხოს ბანჯგვლიან, ქათქათა ხელს. მამაოებს ცალკე სასჯელი ელოდათ.

ამბორის რიტუალი კარგად გადავიმეორეთ და გავიყურსეთ... გამობრძანებულ მთავარეპისკოპოსთან, როგორც მამაკაცს, პირველს მე მიწევდა დახვრეტაზე გასვლა... ახლად ამოსულ „მზეს“ თვალებს ვერ ვუსწორებდი. თავი დავხარე და ულმოებელ ბედინერასთან შესახვედრად დავეშვი... მიახლოებისას, ყოველივე მაინც ამერია! ჯერ ვეცი და იმით გახარებულმა, რომ ცეცხლით არ დამწვა (ხოლო გულწრფელად თუ ვაღიარებ, მონური შიშით ნაკარნახევი მლიქვნელობის გამო), გოცებულ პეხოს კაცურად გადავხვით და ჩავკოცნე. ძლივს მომიშორა! მერე იყო და რიტუალი გამახსენდა, ოღონდ ახლა თანამიმდევრობა დამავინყდა – ჯერ მცირე მეტანია მოდიოდა თუ ხელზე ამბორი?.. დაბნეულმა, ყოველივე პირიქით გავაკეთე. მონდომებული არარაობა, ჯერ ვნებიანი ამბორით ხელს ვგლეჯდი, ხოლო შემდეგ დიდი მეტანია შევასრულე და პეხოს მუხლებში ვეცი. „მზეს“ რა დაემართა?! „დისკო“ ჯერ გავარვარდა, შემდეგ გალურჯდა, მუქი რადიაციული ლაქები დაედო... და იფეთქა, რა იფეთქა – სულ ცეცხლები ყარა!..

როგორც იქნა, მონასტრიდან გამოვევტიეთ. გზად პეხოს წინაშე განცდილმა ყოვლისმომცველმა შიშმა ბავშვობა გამახსენა. დანყებითი კლასის მოსწავლე შესვენებაზე მორიგი ჩხუბის შემდეგ ქათქათა პერანგზე მელანგადასხმული და შარვალშემოხეული, სახლში ვბრუნდებოდი. ჩანთაში ყოფაქცევაში მიღებული უზარმაზარი ნითელი ორიანით

დამშვენებული დღიური იდო. ჩემს ოთახში შევდიოდი და გულამოსკენით ტირილს ვინყებდი. დედას დაბრუნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა... თერმომეტრს ვიღებდი და მონდომებით შალის გადასაფარებელს ვუსვამდი, ვერცხლისწყლის სვეტი 38 გრადუსამდე აღიოდა. სამსახურიდან დაბრუნებულ დედას, ჩემი ავადმყოფობით შენუხებულს, ცრემლი ერეოდა. ნახევარი საათით დედის ალერსისა და უკიდევანო სიყვარულის ობიექტად ვიქცეოდი. სიცხიანს თავს მევლებოდნენ, თბილად მფუთავდნენ და შუბლზე ნაზი კოცნით მაძინებდნენ. გამოუთქმელი ნეტარების ამ უკანასკნელ წუთებს ხარბად ვისრუტავდი. ოდნავ დამშვიდებული დედა ჩემს ჩანთას ხსნიდა და... ყვირილი, ცემა, კუთხეში დაყენება! კედლისკენ მიტრიალებულს, სლუკუნისგან მხრები მითრთოდა...

ორპირის მუქი, მწვანეში ჩაფლული მთები, ლურჯი უღრუბლო ცა, კაშკაშა მზე, ქვემოთ ცივი მდინარე... პატარა პეხომ უამრავი ცხელი მაგმა ამოაფრქვია, მისით დაიფარა და დიდ ქვის ქანდაკებად გადაიქცა! ამჟამადაც იქ დგას, დედათა სავანის ეზოში, მორჩილი უმრავლესობისთვის უხილავი და მაინც საშიში. მეც აქამდე მახსოვს პეხოს ბანჯგვლიანი, თოვლივით თეთრი ფუმფულა ხელი... გაციებული ლავით გაუვნებლებულ „შიშს“, გულში ქალები უყვარს, კაცები კი უზომოდ სძულს – მჩაგვრელ წინამძღვარს აგონებენ.

ლავა მაგარია, მაგრამ მაინც მსხვრევადი. დაიჭი – კერპი არ ამოხტეს, საშიშია!“

* * *

ახლა კი განვიხილოთ უშუალოდ „ადამიანთა განვითარების, განახლებისა და ცვალებადობის თეორია – ერთან

და ბერთან მიმართებით“, რომელიც დავით („ჯორდანო“) ვაშაკიძემ ჩამოაყალიბა თავის ნაშრომ „ორპირულ ქრონიკებში“.

ადამიანის მთავარ ნიჭს განვითარება და საკუთარი „მეს“ განახლება წარმოადგენს. ამ გზისკენ კი პიროვნებას, განსაკუთრებით მამაკაცს, ორი მიზეზი უბიძგებს – მნიშვნელოვნების განცდა და სექსუალური ლტოლვა, ანუ სანინალმდეგო სქესთან წარმატება. შეგვიძლია დავასკვნათ – სწორედ წარმატება და ქალი არის ის ორი მზიდი ლოკომოტივი, რომელიც მამაკაცის ცხოვრების მისწრაფებასა და აზრს განსაზღვრავს.

განვითარების პროცესი, რალა თქმა უნდა, პიროვნების მუდმივ განახლებას მოითხოვს. ამ ცვალებადობის მექანიზმი ასეთია: ადამიანი იღებს განათლებას, ითვისებს ახალ ინფორმაციას და პიროვნულად იხვეწება; შედეგად, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, თუ მას განვითარება სწყურია, ის იძულებულია, საკუთარი „მე“ დათმოს და ამ მორიგი „მეს“ მოკვდინებით მორიგი კერპი დაამსხვრიოს; ამას კი გარდაუვალად მორიგი უახლოესი წრისა თუ კოლექტივის დატოვება მოჰყვება. ასე თავისუფლდება და ვითარდება ადამიანი – ის თანდათან გამოდის ძველი „მეს“ მონობის წნეხიდან, „მედან“, რომელიც გვზღუდავს კონკრეტული გარემოებებით და თავს გვახვევს კოლექტივში მიღებულ ტაბუირებულ შეხედულებებსა თუ წესებს.

აღნიშნულ კონტექსტში განვიხილოთ ერისკაცისა (მაგალითისთვის, დავით-„ჯორდანო“ ვაშაკიძე) და რელიგიური დოგმებით მკაცრად შეზღუდული ბერის (მაგალითისთვის, მთავარეპისკოპოსი პეხო) მომავალი. ბერი მკაცრი რელიგიური დოგმებითაა შემოფარგლული, ხოლო დოგმა-

ტიზმი განვითარებას, ცვალებადობას არ ექვემდებარება, ის განახლებას, როგორც წინსვლის აუცილებელ იმპულსს, არ აღიარებს. ამიტომ დოგმატიკოსის განვითარება წარმოუდგენელია. ის ახალს ვერაფერს დაიტევს, ნოვატორულს არც იტყვის და ვერც შექმნის. დავუშვათ, პეხო პატრიარქიც რომ გახდეს, იმავე დოგმებს იქადაგებს, რადგან დასაწყისშივე საკუთარი თავი ამ დოგმებით შეიზღუდა და „მეს“ განახლების თვალსაზრისით ის წინ ვერ წავა, ცვლილებებისთვის სიცოცხლეშივე მკვდარია.

შეგვიძლია დავასკვნათ: პიროვნების თვითშეფასების ამაღლება, თუნდაც დაქვეითებულის, შეიძლება, ორი გზით წარიმართოს: 1. დადებითი – ინდივიდუალური – ა) პიროვნული დახვეწა, სწავლა, განათლება, წინსვლა და ბ) საწინააღმდეგო სქესთან წარმატება; 2. უარყოფითი – ტოტალიტარული – გარშემომყოფების ჩაგვრა და ლაფში ამოსვრა, წარმოსახვითი უპირატესობის მითებითა და მტრის ხატებით სხვებზე ამაღლება – უშრომელი გზა.

თეორიის შედეგი: პეხოს მომავალი არ აქვს, ის არ ვითარდება და ამიტომ, მისი მხოლოდ ბავშვობა თუ ყმანვილკაცობა შეიძლება იყოს მკითხველისთვის საინტერესო. ესეც იმიტომ, რომ დავადგინოთ მიზეზი, როგორ ყალიბდება ამპარტავენების მრისხანე კერპი, მივაკვლიოთ პეხოს ლავაში გაქვავების მიზეზს და მსგავსი ხვედრისგან მომავალი თაობები ვიხსნათ.

ნაწილი II.

პეხო და დავითი

თავი I. პეხო

1. ბავშვობა, ყრმობა და ბერობა

ადამიანს სარკეში ჩახედვისას ეჩვენება, რომ ის გაცილებით უკეთესი გარეგნობისა თუ ფიზიკური მონაცემების ღირსია, ვიდრე არეკლილი გამოსახულება. იშვიათად თუ ვინმე უჩივის სულიერი ან ინტელექტუალური თვისებების ნაკლებობას.

მაკრინე დიდიამ თავის ერთადერთ ვაჟს დიდი წმინდანის პატივსაცემად ნიკოლოზი უწოდა. ბავშვი მცირე ზომა-წონის დაიბადა. წლები გადიოდა, ნიკოლოზს ასაკი ემატებოდა და სულ უფრო თვალნათელი ხდებოდა, რომ თანატოლებს სიმაღლეში საგრძნობლად ჩამორჩა. ზედმეტსახელი პეხო, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, მეზობლის ბიჭებმა შეარქვეს და უფროსებმაც უცებ აიტაცეს. დაცინვა ნიკოლოზის ბავშვობის თანამგზავრი გახდა. გამოსავალი არსაიდან ჩანდა. მასში შიშმა დაისადგურა, დიდმა შიშმა: „ვაითუ ასეთი დავრჩე და მთელი ცხოვრება ამათ უნდა მამცირონ?!“. შიში პეხოსთან ერთად იზრდებოდა და მძაფრდებოდა, დროდადრო ის კონკრეტული ადამიანისა ან სიზმარიდან გადმოსული საშინელი ზმანების იერს იღებ-

და... დადგა ყრმობა – შიში და ზიზღი გაძლიერდა, საშველი ისევ არ ჩანდა შემდეგ იყო თბილისი, ГПИ... დაცინვა, არად ჩაგდება გაგრძელდა. ნიკოლოზმა სწავლითა და გარჯით სცადა ბუნებრივი ნაკლის დაძლევა, მაგრამ ეს გზა რთულ და გაურკვეველ პერსპექტივას სთავაზობდა. ამ დროისთვის ნიკოლოზის გულს ქალიშვილების ირონიის ეკალიც ჩაესო, ახლა სტუდენტური ცხოვრების ამ მხარემ გაუჩინა განსაკუთრებული განცდის საბაზი. ყველამ შეამჩნია, როგორ მორცხვობდა და იბლუზებოდა ნიკოლოზი გოგონებთან ურთიერთობისას. პეხოს უკვე ამკარად, შეუნიღბავად დასცინოდნენ და რაც უფრო შესამჩნევი ხდებოდა პეხოს თითქმის ავადმყოფური თავმოყვარეობა, მით მეტად ცდილობდა ყველა მის დამცირებას. ასეთია ახალგაზრდული თანაცხოვრების დაუნდობელი წესი, რომელსაც განსაკუთრებულ სიმძაფრეს სანინაალმდეგო სქესთან წარუმატებლობა სძენს.

მე-2 კურსზე ნიკოლოზი მეგობრებთან ერთად საზაფხულო სტუდენტურ შრომით სემესტრში საფარის მონასტერში მოხვდა... აქ ტანმორჩილმა ბიჭმა თითქოს უკეთ იგრძნო თავი, ცხოვრება ოდნავ გაიოლდა. გარშემო მასავით სოფლელი, მწირი განათლებისა და მრავალი ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები ტრიალებდნენ. დაცინვა და საერთოდ, ბევრი საუბარი თუ სხვისი „განკითხვა“, ოფიციალურად მაინც აკრძალული იყო. რაც მთავარია, არ იყვნენ ლამაზი გოგონები, თამრიკოსავით თაფლისფერთვალება, ასე ირონიულად რომ უცქერდა მას ГПИ-ს პირველ კორპუსში. ნიკოლოზი ოდნავ დაწყნარდა. სიმშვიდის საბაზს კიდევ ერთი რამ აძლევდა: ცხოვრების უმწვავეს კითხვებზე, პეხოს ასე რომ უშფოთებდა სულს და უბნევდა თავგზას, გარშემომყოფთ გამზადებული, უბრალო, ადვილად

გასაგები პასუხები ჰქონდათ. ის, რის გამოც სტუდენტები კამათობდნენ, ღამეებს ათენებდნენ, სრულიად ფუჭი ლაქლაქი აღმოჩნდა. მონასტრის ბინადარი ყოფიერების სვლას ისე გულგრილად ადევნებდნენ თვალს, როგორც ჭიანჭველების ფუსფუსს და გარეთ მიმდინარე ნებისმიერ მოვლენას წმიდა მამათა გამონათქვამებით განმარტავდნენ. თან ასეთი „ახსნები“ სულ ერთ თხელ რვეულს მოიცავდა, რომელიც ნიკოლოზმა მალევე გადმოიწერა და შეისწავლა. ამ ჯადოსნურ, იოლად დასამახსოვრებელ მცირე მოთხრობებს მონასტრის საძმოში „პატერიკებს“ და „წმიდა მამათა გამონათქვამებს“ უწოდებდნენ. თავსდამტყდარი რაიმე უბედურება, გასაჭირი თუ სნეულება ცოდვების სიმძიმით ან ღვთისაგან მოვლენილი განსაცდელით იხსნებოდა, გააჩნია, ვინ შეიქნებოდა დაზარალებული. შენზე ანუ ნიკოლოზზე, ღვთის მცნებებით ცხოვრების გარდა არაფერი იყო დამოკიდებული, ყოველივეს ზეციური ძალები წარმართავდნენ. ადამიანის პიროვნული თვისებები, ინდივიდუალობა სრულიად უსარგებლო შეიქნა, მავნეც კი. ბერებთან სანდო საუბრიდან გაირკვა, რომ პეხოს ტანმორჩილება ღვთისაგან ნაბოძები, სპეციალურად ნიკოლოზის გასაძლიერებლად მოვლენილი განსაცდელი გახლდათ. პეხოს, ავად თუ კარგად, ზეცა ყურადღებას აქცევდა, სწორედ ის განაგებდა მის ბედ-იღბალს! ვინლა არიან „თამრიკო მახინჯი“ ან სხვა კურსელი გოგონები?! დაცინვაში დაოსტატებული სტუდენტების ბანაკში ყველა ამპარტავნების, შეფარული სიძვა-მრუშობისა და ვერცხლისმოყვარეობის ვნებით შეპყრობილი აღმოჩნდა. პეხო მიხვდა, რომ მისი მონასტერში დამკვიდრება შეიძლება ის ერთადერთი გამოსავალი ყოფილიყო, რომელიც ბუნების (ღმერთის) მიერ დაშვებულ უსამართლობას (განსაცდელს) გამოასწორებდა, მას უმაღ-

ლესი კასტის ადამიანებთან მიუჩენდა ადგილს და პეხოს საზოგადოებრივი სტატუსიც, შესაძლოა, ძლიერ ამალ-ლებულიყო. როგორც იქნა, გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს! ცხოვრება ასატანი გახდა და გაიოლდა! ყველაფერ-თან ერთად, ნიკოლოზი გრძნობდა, რომ „ერში“, ასე ეძახდა ახლა ГПИ-ს სტუდენტებს, პატერიკებიანი რვეულით და წმიდა მამათა ციტატებით ვერაფერს გახდებოდა. თუ შეეცდებოდა რაიმე საკითხის განმარტებას ამ ფანტასტიკური, ერის ხალხისთვის გაუგონარი ისტორიებით, მას ისევ დასცინებდნენ და არც მოუსმენდნენ. საუბარი იმაზე, რომ რაიმე მომხდარი უბედურება ღვთის ბრძნული განგებით განხორციელდა და არა შემთხვევით, მონასტრის გარეთ სასაცილოდ ჩანდა.

გაცილებით ღრმა, უდიდეს გადატრიალებას კი ნიკოლოზ-პეხოს ცნობიერებაში ედებოდა საფუძველი – საბჭოური იდეოლოგიით გაჟღენთილ გონებაში ღვთაებრივმა სიტყვამ იწყო შეღწევა. ახლა ნიკოლოზის უმნიფარ ტვინში ორი დოქტრინა ებრძოდა ერთმანეთს – ტოტალიტარული და სახარებისეული. მცირე განათლებამ, შესაბამისმა ინტელექტმა, შერწყმულმა პეხოს უზომო ამპარტავნებასთან, ამ სწავლებათა შეთავსება იოლად მოახერხა. ახლად წარმოქმნილი ნაზავის იდეოლოგიური არსი იგივე დარჩა – მთავარი კვლავ „ნათელი მომავლის“ მოლოდინი და ჭეშმარიტების ფლობის ექსკლუზიური უფლება იყო, მხოლოდ დასახელება „კომუნისტური“ „მართლმადიდებლობამ“ ჩაანაცვლა. რჩეულობის განცდა მონასტრის „ქურუმების“ ქადაგების ნყალობით ყოველდღიურად მყარდებოდა: „უძველესი გადმოცემების“ თანახმად, ხდებოდა ისტორიის თვითნებური გადაკეთება, წარსულის ზღაპრულად გაზვიადება და ჰეროიზაცია, ხოლო არასა-

სურველის მიჩუმათება. ნიკოლოზის უკრიტიკო გონებაც დანარჩენ მსოფლიოზე აღმატებულობის განცდის დამათრობელი სურნელით ტკბებოდა. ასე აშენდა პეხოს ცნობიერებაში „ეროვნული სიამაყის“ მთავარი საყრდენი – „ჩვენ, ქართველები, დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი ისტორიისა და მართალი სარწმუნოების ერი ვართ!“. მისგან გამოიჩეკა მრავალი შვილობილი მითი – „ყველაზე ძველი, გმირული წარსულის მქონე!“, „ყველაზე სტუმართმოყვარე და ტოლერანტული!“, „ყველაზე კულტურული და განათლებული!“, „ყველაზე უმანკო, კდემამოსილი ქალებით!“, „ყველაზე ინდივიდუალურნი!“ და სხვა უამრავი „ყველაზე!“ მითი, რომელთა საერთო პათოსია „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“. ამ ზემოდან მოწოდებული წარმოსახვითი უპირატესობის მითების საფუძველზე კი ახალ სწავლებაში ცივილიზებულმა დასავლეთმა, ცხადია, მტრის იერი შეიძინა – ის გარყვნილების ბუდედ და ანტიქრისტეს საყდრად გამოცხადდა. შემდეგ, ბერობისას, საბოლოოდ ჩამოყალიბდა რალაც მახინჯი შენაერთი. მთავარი ამ შენადნობში, პიროვნების, მისი თავისუფალი ნების უგულებელყოფა იყო და ზემოდან მოწოდებული ნებისმიერი ბრძანების განუხრელი შესრულება. კოლექტივიზმი და ბელადომანია ქრისტეს სწავლებით შეიმოსნენ. წარმოიშვა გაქვავებულ დოგმებსა და წეს-ჩვეულებებზე დამყარებული „ახალი ქრისტიანობა“ – რელიგია სიყვარულისა და თავგანწირვის გარეშე: ავტორიტეტებისადმი უკრიტიკო, მონური მორჩილებითა და ორმაგი ფარისევლური მორალით – ერთის აღიარებით ეკლესიაში და მეორის კეთებით ყოველდღიურ, რეალურ ცხოვრებაში.

...რალა თქმა უნდა, ახალგაზრდას ამდენი არც უფიქრია, გადამწყვეტი ხომ ცხოვრების გაიოლება და სოციალური

სტატუსის საგრძნობლად ამაღლების პერსპექტივა გახლდათ. ნიკოლოზ-პეხომ სავანეში დარჩენა გადაწყვიტა. რამდენიმე თვის თავზე მეგობრებთან განშორებისას ორი ჭიქა ღვინის შემდეგ იმავე ცნობილი ფრაზით, ასე თუ შევეწვევი სამშობლოსო, საბოლოოდ დატოვა ერი და საფარის მონასტერში დამკვიდრდა.

ზეციურ მეუფეს ჩვენი თავისუფლების არ ეშინია, პირიქით, მასში ხედავს ჩვენს განვითარებას. მიწიერი ბელადისთვის კი ქვეშევრდომების თავისუფლება მომაკვდინებელია. მბრძანებელი ერთ არჩევანს უტოვებს მონას – უპირობო მორჩილებას. ამიტომ მონას მხოლოდ ერთი გამოსავალი, ერთი მიზანი და ნება აქვს – როგორმე თვით გახდეს მონათმფლობელი, ჩაგროს სხვა და, იმავდროულად, მას ფარისევლურად „მოყვასი“ ეძახოს.

მონასტერში, გარე სამყაროსგან განსხვავებით, მჩაგვრელიც და დამამცირებელიც ერთი იყო – საძმოს წინამძღვარი. ბატონთან დაახლოების გზები პეხომ საკმარისად მალე გამონახა, მას ხომ ცხოვრებამ ასწავლა მსგავსი საკითხების წარმატებით მოგვარება. ნიკოლოზმა უცებ გააბა კავშირები ადგილობრივ, ერში მცხოვრებ „საჭირო“ ადამიანებთან და სამოქალაქო ომის გაჭირვებული ყოფის დროსაც კი ახერხებდა „პეპსი-კოლას“, მაკარონის, „ტუმონკის“, „გრეჩიხის“ ყუთებით შოვნას.

თანდათან პეხო საჩვენებელ, უფროსისგან გამორჩეულ მორჩილად იქცა. ჩაგვრა-დაცინვა თითქმის შეწყდა, სამაგიეროდ, ძმების ფარულმა ბოლმამ იმატა. ნიკოლოზი ირონიის ობიექტიდან „საჭირო“ ადამიანად იქცა – მისი გაამაყებული გულის „ბაბილონის გოდოლს“ მორიგი სართული დაემატა.

ჩაგვრა და დაცინვა მაშინაა განსაკუთრებით ძნელად

ასატანი, როდესაც ის საზოგადოა, ყველას წინაშე ხორციელდება. თუ მტარვალ ერთია, ისიც წინამძღვარი, და ჩაგვრა სიყვარულის, მორჩილების, შენთვის სარგებლის მოტანის ნილაბსაა ამოფარებული, ის არა მხოლოდ მისაღებია, არამედ შეიძლება სასურველიც გახდეს. ყოველ შემთხვევაში, პეხოს ასე მიაჩნდა. ამ „ქრისტიანული ჩაგვრის“ მოძღვრების განმარტება ასეთია: ადამიანი თავნება არსებაა, რომელიც ცოდვისკენაა მიდრეკილი, ამიტომ მისი ფიქრები, მოქმედება უცილობლად ღვთის რისხვას იმსახურებს; რაც მეტს გირტყამენ თავში, მით უფრო იზრდება შენში მორჩილება, რადგან შენ სრულიად უარყოფ საკუთარ ნებას და საკუთარ „მეს“ წარიკვეთ; ყოველი შემდგომი მუჯღუგუნი ავტომატურად ინვევს შენში („შე უგუნურო!“) ისეთი დიდი სათნოებების პროპორციულ ზრდას, როგორებიცაა – რწმენა, სასოება და სიყვარული; შენ ხომ „ქრისტეს მოძღვრების“ თანახმად გჩაგრავენ, გამცირებენ – ეს კი სულ სხვაა და მთლიანად ცვლის, ერთი შეხედვით, მიუღებელი მეთოდის აზრს; ასე მოენახა უსიყვარულობასა და უსამართლობას „ქრისტიანული“ ახსნა.

ნიკოლოზიც ძალადობის გამართლების ასეთსავე პროცესში ჩაება, მისთვის ხომ ეს იყო ხელსაყრელი. ერთი მხრივ, „წინამძღვრისგან წიხლი რა საწყენია? – იფიქრა ნიკოლოზმა და, მეორე მხრივ, – მეც ხომ გავხდები როდისმე უფროსი“. რაც მეტად მიიწევდა იერარქიულ კიბეზე ნიკოლოზი, მით უფრო არ ასვენებდა ტკბილი ოცნება მომავალ განდიდებაზე. წირვის დროს, მაღალი იერარქის დანახვისას, პეხო ფიქრებში იზომებდა მის შესამოსელს და წარმოსახვით მრევლს ამბიონიდან უქადაგებდა. მორწმუნეთა კრებულში დედოფლის სამოსში გამონწყობილი თაფლისფერთვალება თამრიკო იდგა, თანაკურსელები, დედა მაკრინე, მეზობლე-

ბი, იოანე ოქროპირიც კი ცრემლმომდგარი უსმენდა პეხოს ქადაგებას... დიდი, მრავალრიცხოვანი მრევლი, ძვირფასად გამოწყობილი და უცნაური არამიწიერი ნათლით შემოსილი ეკლესია...

რაც უფრო იზრდებოდა ბერის ეკლესიური ნოდება, მით მეტად რწმუნდებოდა ის საკუთარ გამორჩეულობაში. საფარის შემდეგ – არქიმანდრიტის ნოდება „ტიმოთესუბანში“ და ბოლოს – ეპისკოპოსად ზადენ- ორპირში – ამ წუთს ელოდა, მისით ცოცხლობდა და ითმენდა ბერულ განსაცდელს! ამ დროისთვის პეხო უკვე ჩამოყალიბდა, როგორც მუდამ მოქმედი ვულკანი, რომელიც ნებისმიერ წუთს მზად იყო ამოფრქვევისთვის, რათა გარშემო მიწისძვრა და ნგრევა გამოენვია! მისთვის გაცხარების ლავის ამოფრქვევა ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილება გახდა, როგორც სუნთქვა. უმიზეზოდ, არაფრის გამო, სპონტანურად – უბრალოდ, ვულკანი ამოივსო ზიზლით ადუღებული მაგმით და მას გამოთავისუფლება სჭირდებოდა!

გარშემომყოფ ადამიანებთან შეჯიბრებაში დამარცხების შიში პეხოს აიძულებდა, მუდმივად „ზეცაში“ ელივიგა. „უცდომელობის“ განცდა იმდენად დაუფულა, რომ ის ვერც შეკამათებას იტანდა და, საერთოდაც, დაუშვებლად მიაჩნდა საკუთარ პიროვნებაზე კრიტიკის მოსმენა. ამგვარი არსება, თუ ვინმეს არ უყვირის და არ ასწავლის, მუდმივად კერპივით პირქუშად დუმს. კერპს მხოლოდ მლიქვნელებთან ურთიერთობის ძალა შესწევს. სწორედ მარტოობაშია კერპის საცოდაობა. მარტოსულობა ხდის მას უბედურს.

2. სასიყვარულო სამკუთხედი – მორჩილი ტატიანა და ორი ეჭვიანი ბერი

ზადენი-ორპირის სულთანი – მთვარეპისკოპოსი პეხო გარშემორტყმული იყო ქალების მრავალრიცხოვანი ამალით. მიუხედავად ორპირში გაჩაღებული ეკლესია-მონასტრების დიდი აღმშენებლობისა, მთელ ეპარქიაში მხოლოდ ერთი ბერთა სავანე იყო, ისიც პეხოს ჩამობრძანებამდე დაარსებული. ეპარქიის ოთხ მონასტერში 70-ზე მეტი მონაზონი და მორჩილი გადიოდა მსახურებას. უშუალოდ ზადენის რეზიდენცია კი სხვა არაფერი იყო, თუ არა პეხოს სულიერი ჰარამხანა. ოცდაათზე მეტი მონაზონი ქალი მთელი დღე დაულალავად იღვწოდა და გარინდული ელოდა – დადგება მეუფე ხალისიან გუნებაზე, თუ გააგრძელებს ბღვერას? შიში იმდენად დიდი იყო, რომ გათენებიდან ჩამონოლილ სამარისებულ სიჩუმეში ვერავინ ბედავდა კრინტის დაძვრას, თავდახრილი აჩრდილები ვირთხებივით დაძვრებოდნენ თავ-თავიანთ კელია-სოროებში. სტუმარს დაბალ ხმაზე რეზიდენციის კართანვე აფრთხილებდნენ: „ჩუუ!.. ცუდ ხასიათზეა, ყვირის! მთელი დღეა ჩხუბობს, დედა (ან მორჩილმა) – ქეთევანმა, თამარმა, ნინომ, სოფიომ, ტატიანამ, იოვანამ, საბიანამ, ბარბარემ... გააბრაზა. დროზე თქვი, რა გინდა და წადი, არ დაგვინახოს!“. მობრძანებულს ნაჩქარევად აცილებდნენ. სალამოსკენ პეხო კარგ გუნებაზე დგებოდა და იქვე, თავისი რეზიდენციის ეზოში ჩამომჯდარი, მონაზვნებს გულითადად ებაასებოდა. იმდენად დიდი იყო ამ მოვლენით გამონვეული შვება და გულაჩუყებული სიხარული, რომ ეს მოვლენა რეზიდენციის საყოველთაო ზეიმად

იქცეოდა ხოლმე. ყველა ქალი ერთხმად, აღფრთოვანებით და თვალების ნაბვით აღნიშნავდა: აი, როგორ ვუყვარვართ მეუფეს, ნამდვილი სიყვარულით სავსე ჭურჭელიაო. გუშინ, ორპირიდან წამოსულს, ბაზარში შეუვლია და ჩვენთვის მარწყვიც კი წამოუღიაო.

თავიდან, როდესაც პეხო ტიმოტესუბნის წინამძღვრად დანიშნეს, თვითონვე უთქვამს: „მიტროპოლიტი ფელიქსი მეჩხუბება, რალა ქალების მონასტერი გახსენი, პირველად ხარ წინამძღვარი და, რატომ მაინდამაინც ქალებისო. იმიტომ მეჩხუბება, რომ ჩემი დანიანაურება შურს. არადა, მიტროპოლიტმა ფელიქსმა თვითონ დამასხა ხელი ბერად, მისი სკოლა მაქვს გავლილი...“. რატომღაც სხვებიც ამ ქალებთან დაკავშირებულ, უცნაურ მიდრეკილებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. „დედაჩემიც იმავეს მეუბნება, თუ ამდენ ქალთან უნდა გეცხოვრა, მაშინ ცოლი მოგეყვანა, ბერობა რად გინდოდაო? ვერ გავაგებინე ამ ხალხს – კაცს შეიძლება ცოლი საერთოდ არ უნდოდეს“.

„... რა დროს ეს წყეული „ვარდები“ იყო – ძლივს დანყნარდა ხალხი!.. ეს ტატიანაც ახლა გამოეკვება! რას მოგცემს აყლაყუდა ბულია კარგს?! თვითონ მოიშორა და მე შემომტენა ეს კახპა. ისე, თავიდან თითქოს არა უშავდა რა, მონაზვნად, რა თქმა უნდა... მერე აუვარდა თავში, აქაოდა, მეუფესთან ახლოს ვარო...“

ტატიანა ლამაზი, თეთრი, 35 წლის ქალი იყო, მრავალი ნიჭით დაჯილდოებული: კარგად გალობდა, ქარგავდა, სეფისკვერს აცხოვდა, ხატწერასაც მისდევდა. წესით, „დედაოს“ წოდება კარგა ხნის მიღებული უნდა ჰქონოდა, მაგრამ, მიუხედავად მონაზვნობის საკმარისზე მეტი სტაჟისა, რატომღაც მხოლოდ სამორჩილედ რჩებოდა. ბოროტი ენები ყვებოდნენ, მეზობელი ეპარქიის ეპისკოპოსმა, ფეო-

ფილაქტე ბულიამ ტატიანა მონასტრიდან გამოაგდო, ხოლო პეხომ თავისი დანგრეული „მოსკვიჩით“ ორპირში ჩამოაბრძანა და შეიფარაო. აქ ჭორიკნები მრავალმნიშვნელოვნად ჩუმდებოდნენ და პეხოს მზრუნველობითი აღტკინების მიზეზის დასახელებას თავს არიდებდნენ.

ნმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძარში მოწყობილ ახალ სავანეში ტატიანა მიუხედავად „სამორჩილეს“ წოდებისა, მეუფის კურთხევით ერთპიროვნულად, მტკიცე ხელით წინამძღვრობდა თავისსავე ეკლესიური წოდების ორ სამონაზვნო ქალიშვილს.

იმხანად პეხოსთან ორპირელი, ბერობის სურვილით ანთებული 40 წლის მამაკაცი, არნოლდი მივიდა. რაიონში ის წესიერი, განათლებული ადამიანის რეპუტაციით სარგებლობდა. მეუფე პეხომ არნოლდი ორპირის ქალთა სავანეში სამორჩილედ დაადგინა. მომავალი ბერი მთელ დღეებს მონასტერში ატარებდა ტატიანასთან ერთად. მსახურება, გალობა, სეფისკვერი, ეკლესიის მილაგება და, როგორც მამა კანდელი ამბობდა, შემთხვევით შემობარბაცებული ლოთებისგან მონაზონი ქალების დაცვაც საბერო მორჩილს ჰქონდა დავალებული. „ბევრს იღვწის, მონდომებულია, ოღონდ საჭიროზე მეტ უადგილო კითხვას სვამს, დათოქქიმივით მუდამ რალაცას იძიებს და მასავით „უმნიკიო“, ასე ახასიათებდა არნოლდს გრაკალელი დეკანოზი.

სალამოთი ტაძარი ცარიელდებოდა, ორი სამორჩილე გოგო, მომავალი ბერი და ტატიანა ერთად გალობის ტიპიკონს ამუშავებდნენ. შემდეგ, ტატიანას ბრძანებით, ორივე „ზედმეტი“ ქალიშვილი, ზემოთა სართულის კელიებში იგზავნებოდა, ხოლო განმარტოებული წყვილი ქვემოთ, ჩაკეტილ კარს მიღმა სეფისკვერს აცხობდა. ის იყო, ჯერ ტატიანა აკურთხეს მორჩილად, და მალე არნოლდსაც იგივე

– საბერო მორჩილის წოდება უნდა მიეღო, რომ დაირხა უცნაური, გაუგონარი ხმა: არნოლდი და ტატიანა რალაც საექვო კავშირში არიანო!

ყველაზე გასაკვირი მაინც ამ ისტორიის დასასრული შეიქნა: ერთ დღეს გაბრაზებული მამა კანდელი ტაძარში მანქანით მივარდა და მორჩილი ტატიანა თავის ბარგი-ბარხანით სადღაც გააქრო. „ფაქტი კი მოტეხეს“, მაგრამ ზადენი-ორპირის ეპარქიის მრევლი არ ცხრებოდა. ქალები დაჟინებით იმეორებდნენ ერთსა და იმავე ამბავს „სასი-ყვარულო სამკუთხედის“ შესახებ. ბავშვიც კი დაიბადაო, ქუთაისში გადამალესო. მხოლოდ მშობელი მამის ვინაობა რჩებოდა გაურკვეველი... მრევლის კომპეტენტური აზრით, არც მეუფე პეხო უნდა ყოფილიყო ამ ისტორიაში მთლად სუფთა.

დავით ვაშაკიძის გადმოცემით, საბერე მორჩილი არნოლდი დააშინეს. მას, მეუფის ბრძანებით, ეკლესიასთან ახლოს გავლაც კი აუკრძალეს. არადა, ტატიანა თურმე მოსიყვარულე მორჩილს მუდმივად არიგებდა: არნოლდ, რას ხტუნაობ, ჩუმად იყავი, ბერი გახდები, მეუფე მანქანას ჩაგაბარებს ჩვენი მონასტრის წინამძღოლობასთან ერთად, და ცხოვრებაც აგეწყობაო. ჭირი – იქა, ლხინი – აქაო, როგორც იტყვიან. მომხდარი ამბავი, სრულიად ორპირის მრევლში, რალა თქმა უნდა, მეუფისვე კურთხევით, დავინყებას მიეცა. მხოლოდ დათო-ექიმის ცნობისმოყვარე გონება არ დაკმაყოფილებულა მიღებული პასუხით, ის ინცინდენტის გამოძიებას შეუდგა. აი, ამონარიდი მისი კვლევიდან, რომელიც გადმოცემულია „ორპირულ ქრონიკებში“:

„ეკლესიის საბოლოოდ დატოვებამდე, 2007 წლის დიდ მარხვაში ავედი გერგეთის წმ. სამების სახელობის მონასტერში, სადაც დამხვდა არნოლდი. მთელი ერთი თვე გას-

აქანს არ ვაძლევდი, მუდმივად დაკითხვის რეჟიმში მყავდა და სასიყვარულო ისტორიის საკუთარ ვერსიას ვაყოლებდი.

ის უარყოფდა თავის ბრალეულობას და მუდმივად მირჩევდა, ძირითადად იმაზე გამემახვილებინა ყურადღება, რა უცნაურად დიდი ზეგავლენა ჰქონდა მორჩილ ტატიანას მთავარეპისკოპოსს პეხოზე: „ერთხელ მეუფემ ზადენის რეზიდენციაში ტელეფონის შეკეთება დამავალა. სამუშაოს ვასრულებდი, როდესაც გავიგონე – პარალელური აპარატით პეხო ვილაცას ესაუბრებოდა. ყურმილი ავიღე – ტატიანას ხმა! მეუფე გაბრაზებული უყვირის:

„რა ამბავია ამდენი თბილისში რეკვა, სანამ ვიხადო თქვენი ანგარიშები?!“

„მეუფეო, დანყნარდი, აბა რად მინდა ტელეფონი, თბილისში თუ არ დავრეკე?!“ – უცხო ყურისთვის დიდი არაფერი მომხდარაო, თითქოს ჩვეულებრივი პასუხია, ხოლო ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ეკლესიურ იერარქიაში, ის მიხვდება, რა რიგის მოვლენაა ეპისკოპოსისთვის სიტყვის შებრუნება და თანაც მორჩილის მხრიდან – გაუგონარი, წარმოუდგენელი თავხედობა!

დათოს „ქრონიკებიდან“, რატომღაც არნოლდის ტატიანაზე დადევნების ამაღელვებელი სცენა განსაკუთრებით ჩამებეჭდა გონებაში. ალბათ თავისი იდუმალი შინაარსის გამო: „გვიან ღამეა, სახლში წასვლას ვაპირებ... უნდა დავტოვო მონასტერი და მოულოდნელად მეუფე ურეკავს ტატიანას. რა უნდოდა-თქო, ტატიანას ვკითხე. სასწრაფოდ ორი ათასი მჭირდება, სასანთლიდან აიღე და ამა და ამ ადგილას გამომიტანეო, მიპასუხა. დავეჭვდი – მონაზონი, მარტო, მთვრალეობით სავსე ღამის ორპირში, ამხელა თანხა... პირადად რატომ არ მოდის მონასტერში, ვის ემალება, რა მოხდა – მეუფეა?! გაცილება შევთავაზე, სასტიკად იუარა.

ექვი გამიძლიერდა! მონაზვნის გასვლისთანავე ჩავიცვი და შეუმჩნევლად გავეყვი. სადგურთან პეხოს მანქანა იდგა, ტატიანამ მიიხედა-მოიხედა და შიგ ჩაჯდა. ავტომობილი დაიძრა. რა ვქნა?! კარგა ბევრი ვირბინე, რას დაენევი პეხოს – მიკი ლაუდასავით დაქრის! იქვე, გაჩერებაზე ნაცნობი შევნიშნე, მანქანასთან იდგა. მივესალმე, დავინახე, გასაღები სტარტერშია გარჭობილი. ჩავხტი, დავქოქე და ხიზნებს დავედევნე. ბევრი ვეძებე. სპორტულ მაღაზიასთან წამოვეწიე, ბნელ მოსახვევში იდგნენ. ვცადე თვალთვალი, სიბნელეში ვერ ვხედავდი რა ხდებოდა სალონში... გაზს ბოლომდე მივაჭირე, სიჩქარე ავკრიფე და წუილით ჩაუქროლე პეხოს და ტატიანას! წარმომიდგენია, როგორ დაფრთხნენ!..“ აქვე დათოს მიუწერია: „ბოლომდე მაინც ვერ მიხვდი, რას მიმანიშნებდა არნოლდი ამ თავბრუდამხვევი დეენის მოყოლით. აბნეულად, გამოტოვებებით და პაუზებით კი საუბრობდა, თითქოს მთავარს არ ამბობდა. ეტყობა ღელავდა ძველი სიყვარულის გახსენებაზე? მე კი ჩემთვის მონათხრობს – „ერთ ნაშაზე ასქესებული ორი ეჭვიანი ბერის ისტორია“ ვუნოდე. რომ არა სასულიერო წოდება, ჩვეულებრივი ამბავია – ერთ ძუკნას ორი ხვადი დასდევს...“.

დათოს მიერ ჩატარებული კვლევები ასე სრულდებოდა: „მიუხედავად ჩატარებული გამოძიებისა, მთავარი კითხვა, – ვინ იყო ახალშობილის მამა და საერთოდ, არსებობდა კი ის..? – მაინც პასუხგაუცემელი დარჩა. ასე რომ, მარცხს ვალდარებ, რადგან კონკრეტული ვერაფერი გავარკვიე. მრევლმაც ასე ჩათვალა, რა მოხდა ისეთიო? იოანე ოქროპირსაც ჰყავდა საყვარელი მორჩილი და სულიერი შვილი, დიდი წმინდანი დედა ოლიმპიადაო. მეც შევინარჩუნებ მიუკერძოებლობას, არ მსურს ვინმემ ტენდენციურობაში დამდოს ბრალი... თუმცა მაინც იტყვიან, ამეტებსო, ამიტომ

ერთ საეჭვო გარემოებასაც გავიხსენებ: როგორც გაირკვა, ტატიანა ეკლესიიდან საბოლოოდ კი არ მოკვეთეს, არამედ დაანინაურეს (მოქრთამეს?) და ამჟამად ის ერთ ცნობილ ქალთა სავანეში „დედაოს“ წოდებით მოღვაწეობს. მოკლედ, ტატიანას სრული ძალაუფლება პეხოზე აუხსნელი დამრჩა, ვერც მეუფის უსაფრთხოების სადარაჯოზე მდგომი, ზეციდან შტატიტ დაშვებული 70 ანგელოზი ვერ შევნიშნე – რას-რას და მაგათ ნამდვილად დავინახავდი. ერთი მონყენილი მფარველი ანგელოზი იდგა მოშორებით, ვულკანური ლავის ქანდაკებასთან და თავისთვის ქვითინებდა. იმასაც სლუკუნისგან მხრები ბავშვივით უთრთოდა...“.

3. უკანასკნელი მსახურება

სოფელ გრაკალის წმ. გიორგის ეკლესიას, მის მრევლს, როგორც იქნა, ზეციური ნიშანი მიეცა – ნიკოლოზობას მოდისო! წინა დღეა, ბოლო მზადებაა. ტაძარი ლაგდება, კანკელი ინმინდება, ნოხები იფერთხება. მრევლის ქალები გოჭებზე, ქათმებზე, ხაჭაპურებზე, ნამცხვრებზე არიან გადართულნი. ორი კაცი ფოთში კეფალზეა გამწესებული. სოკო?! – სოკოს მურმანი აგზავნის თბილისიდან, ხიზილალასთან ერთად. სტიქაროსნები საკურთხეველში არიან, მამა კანდელიც, აქაც იგივე ფუსფუსია. ერთი ახალი სტიქაროსანია – ჩვენი ძველი ნაცნობი, ორპირის საკრებულოს თავმჯდომარე, ნეიტრალური და საკმაოდ „გაალკაშ-

ებული“ სოკრატ გულდედავა. უფროსობს, დგას, არაფერს აკეთებს, განკარგულებებს გასცემს. მამაო გარეთ გავიდა. სოკრატი ტრაპეზს უტრიალებს, სანთლის ალებას ფიქრობს. მასზე ბევრად უმცროსი სტიქაროსნები ფხიზლად არიან, თვითონ კედელზე აკრულნი უვლიან გვერდს ტრაპეზს:

– არ შეიძლება, სოკრატი ბიძია, ტრაპეზია! მამაოს გარდა არავის აქვს უფლება, ტრაპეზს შეეხოს, ხომ იცით?!

– თქვენ საქმეს მიხედეთ, მე ვიცი, რა შეიძლება და რა არა!

ტრაპეზიდან იღებს სანთელს! ანთებს, ფსალმუნს კითხულობს სამკვეთლოზე...

– არც მანდ შეიძლება, სოკრატი ბიძია...

– „...ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!“

– არც „დიდება შენდა“ უნდა პირველი დიდების შემდეგ!

– „აქებდით ყრმანი უფალსა, აქებდით სახელსა უფლისა-სა...“

კანონის დამთავრების შემდეგ სოკრატ გულდედავა იკიდებს მამა კანდელის დეკანოზის ჯვარს და კმაყოფილი სახით აკმევს. მოულოდნელად შემოდის „მამაო“...

– კარგი რა, სოკრატ, არ შეიძლება ასე... ნუ... მე კი არ მენანება, არ შეიძლება და... რა სანყენია?

სოკრატი იხსნის ჯვარს, სასაკმევლეს ადგილზე დებს და საკურთხევლიდან გადის. ნორჩი სტიქაროსნები გაკვირვებით უცქერენ მოძღვარს... გაუგონარი რამ მოხდა – სამღვდლო პირის გარდა, ვიღაც სხვა შეეხო სამსხვერპლოს – „სამეუფეო ტახტს“, იესო ქრისტეს საფლავს! წარმოუდგენელი მკრეხელობაა!

„ბიჭო, მე კი ვიცი, ეს რისი ღირსიცაა, მაგრამ რა გინდა უთხრა?! მეუფესთან ჩამიშვებს... ახლობელია, ხომ იცით,–

„ქურდულად“ იმართლებს მამა კანდელი თავს.

გათენდა, მედავითნეები კათედრასთან იმეორებენ მომავალი მსახურების „პარტიტურას“. 9 საათისთვის ზადენიდან ჩამოდიან მგალობლები... და აი, დგება ნანატრი და, იმავდროულად, საშინელი წამი – მთავარეპისკოპოსის შავი „ჯიპი“ მოადგა გრაკალის წმიდა გიორგის ეკლესიას! მზეს ჩრდილი დაადგა, დისკო ღრუბლებში მიიმალა... მანქანის კარი გაიღო და... გადმოვიდა ტანმორჩილი მამაკაცი შავ ბერულ სამოსში. გასაოცარი სახე! მიტკალივით თეთრი შუბლი... ხშირი წარბებიდან პეხო-ღმერთი გვიცქერს – ფართოდ გახეილი, მრგვალი თვალები, პირდაპირ ყვრიმალეზიდან იწყება მუცლამდე წვერი. დათრგუნული, რალაციით დაქანცული კაცის გამომეტყველება. მზერა – მიმართული სადღაც შორს, თავს ზემოთ, მოიცავს ყველას და, კერძოდ, არავის. ამ ადამიანში აშკარად ჩაბუდებულია ქვეყნიერი სევდა... ეკლესიის ყველა მსახური ორ რიგად ჩამწკრივებულია და მას შესცივინებს, მათ შორის, სამასწლოვანი ჭადრებიც. ეკლესიის გარშემო საფლავებიდან მკვდრები აღმდგარან – ბევრს ეჩვენენო თურმე იმ დღეს გრაკალსა და მის შემოგარენში. წმ. გიორგიც სადღაც აქაა, თეთრ ცხენზე ამხედრებული! „ქერუბიმთას“ გალობა, კმევა, ფუსფუსი. ღვთაება მიწას ოდნავაც არ ეხება, იგი ნარნარი, მეფური სვლით ეკლესიის ნავთსაყუდლისკენ მიცურავს. ტლინკებს ისვრის წინ, უცნაურად, სირაქლემასავით. ამისგან მთელი ტანით ირხევა. თოჯინასავით განვდენილი მოკლე ხელები, თმიანი თეთრი მტევნები, სამეუფეო კვართი... ეთერში მოლივლივე ფიგურა გახევებული, უსასრულობისკენ მიმართული მზერით შემოედინება ეკლესიაში. ქალბატონები შიშნარევი აღტაცებით უცქერენ შავ სამოსში გამოწყობილ ბუდას პატარა ქანდაკებას, „უფალო, შეგვინყალე, უფალო,

შეგვიწყალე, უფა-ლო, შეგ-ვინ-ყა-ლეე...“. ეკლესიაში ტევა არაა. ჟამნები რახანია დასრულდა, სამეუფეო წირვა იწყება.

სამოციქულოს წაკითხვა დათოს აქვს დავალებული, ძლიერ ღელავს! ასჯერ გააფრთხილეს, ჩვეულებრივი ლიტურგიისგან განსხვავებით, სამეუფეო წირვის დროს, სამოციქულოს დამთავრების შემდეგ, მედავითნე შედის საკურთხეველში არა სამხრეთის, არამედ ჩრდილოეთის კარიდან. ამგვარი ცვლილება განპირობებულია მღვდელმთავრის დგომით მედავითნისთვის განკუთვნილ გზაზე. კითხვა დაასრულა... რა არის შიში – მაინც შეცდა! საკურთხეველში შევიდა, მის წინ მთავარეპისკოპოსია, ტრაპეზსა და უკანა კედელს შორის ვინრო გასასვლელია, თავზე ხომ არ გადაუვლის?... დგანან ერთმანეთს უცქერენ, პეხო – გამანადგურებელი მრისხანე მზერით, ვულკანი სადაცაა მაგმას ამოაფრქვევს, დავითმა არ იცის, რა ქნას, უნდა თავკვივით დაპატარავდეს და სადღაც გაქრეს. პაუზა გაინელა, ყველა მათ მიშტერებია... პეხოს მრისხანება ქედმაღლური ზიზლით იცვლება, სახე ეჭმუხნება, „უთხარით გავიდეს!“... დამფრთხალი მღვდლები დათოს ჩურჩულით ეძახიან: „გადი, გადი!“ . დათო გამოვიდა, სამოციქულო მამაოს გადასცა, შვეებით ამოისუნთქა. კათედრასთან როგორ დაბრუნდა, არ ახსოვდა. მეორე მედავითნეს, ლაშას, გადაულაპარაკა: „წირვა კი არა, მიწისძვრაა, ტაიფუნი და ომი, ერთად!“ . როგორც იქნა, სტიქიური უბედურება დამთავრდა, მეუფე იწყებს ქადაგებას:

– სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. ამინ. ...მიწა გითხრათ, რომ ჩემამდე მოდის ჭორები მამა აკაკის ჩვენს ეპარქიაში შესაძლო დაბრუნების შესახებ. მე ვიცი, ვინც ავრცელებს ამგვარ სისულელეს და სრული კატეგორიულობით ვაცხადებ – მამა აკაკიმ, მისმა დამხმა-

რეებმა, საერთოდ ამოიგდონ თავიდან ამგვარი აზრი და... სჯობს, ჭკვიანად იყვნენ! კიდევ ერთელ ვიმეორებ – მამა აკაკიმ ორპირში ჩამოსვლაზე აღარც უნდა იოცნებოს!

შემდეგ მოდიოდა ახსნა, რატომ არ ეპატიება მამა აკაკის „საშინელი ლალატი“ ჩადენილი ღვთისა და ერის წინაშე. გამოსვლის შემდეგი ნაწილი „ეგეთ წოდებულ თავისუფალ პრესას“ შეეხებოდა:

– ...ახლა რაც შეეხება მის გულშემმატკივრებს... ამ ბოლო დროს მომრავლდნენ ჩვენი ერის ძირეული ფასეულობისა და მართლმადიდებლობის მტრები – მასონები, სოროსელები, დასავლეთიდან შემოგდებული ათასგვარი სექტები. აქ მათ ნოყიერი ნიადაგი დაახვედრეს ადგილობრივმა დემოკრატებმა და ლიბერალებმა, რომელთაც ჰომოსექსუალიზმის, მრუშობისა და ჰარი პოტერის პროპაგანდა დაუსახავთ მიზნად.

ამ მკრეხელებმა ისიც კი გაბედეს, სიგარეტის აქციზზე ჯვრები გამოესახათ და არც კი ანაღვლებდათ ამ ღვთის პირიდან გავარდნილებს, რომ იმ ყუთს ვინმე ფეხს დაადგამდა ან ჯვარი, წარმოთქმაც კი მზარავს – ნაგავში აღმოჩნდება!

მასონების მთავარი დარტყმა მაინც ჩვენი რწმენის ერთიანობისკენაა მიმართული! მათ სწადიათ ჩვენი წაჩხუბება ერთმორწმუნე რუს ხალხთან და ეგრეთ წოდებული დასავლური ფასეულობების დანერგვით ჩვენი ეროვნული ცნობიერების განადგურება... ამ კამპანიის გაგრძელებაა ორპირის პრესაში გამოქვეყნებული სტატია. უვიცი, ქართული ენის არმცოდნე ჟურნალისტები თავს უფლებას აძლევენ, ცხვირი ჩაყონ ეკლესიის საქმეებში და გააკრიტიკონ ის... მე არ მინდა მათი მკრეხელური, მტრული ნაჯღაბნის გამეორება, მხოლოდ შევახსენებ, რა სასჯელი

ელით ასეთებს „რჯულის კანონის“ თანახმად – წყევლა და ანათემა, საზოგადოებისგან გარიყვა... ასე რომ, ჯობია გონს მოეგონ და დროზე მოინანიონ ჩადენილი – დროზე! სანამ გვიან არ არის...

სრულიად გრაკალის მრევლი და ჩამოსული სტუმრები ტაძარში მდგომ გაზეთ „მზერის“ ჟურნალისტთა 3-4-კაციან ჯგუფს ზიზლით მიაშტერდნენ. მართლმადიდებლობისა და საქართველოს „მტრებმა“, ჯორჯ სოროსის ახლად გამომცხვარმა აგენტებმა ეკლესია თავჩაქინდრულმა დატოვეს და გარეთ გავიდნენ. ქადაგება გაგრძელდა:

– ახლა კი ერთ რამეს გთხოვთ. მოგეხსენებათ, როგორი სოდომისა და გომორის ბუდე მოანყო ზადენის ხელისუფლებამ ჩვენს მეზობლად. ჩემს რეზიდენციას და მასში განთავსებულ ქალთა სავანეს ფეხბურთის მოედნისგან ერთი ღობე ჰყოფს! სტადიონი მართალია ჩვენს ჩამოსვლამდე აშენდა, მაგრამ იქ სრული გარყვნილება სუფევს – იმართება საფეხბურთო მატჩები, დარბიან ტრუსებიანი მამაკაცები, ისმის უხამსი სიტყვები და როკმუსიკა, რომელსაც მე „ჯოჯოხეთის ხმას“ ვუნოდებდი, იფურთხებიან მზესუმზირას, ლუდით შეზარხომებული უგუნური ადამიანები სჩადიან ათასგვარ უნმინდურობას! ჩემს არაერთგზის თხოვნას, გადაეტანათ სტადიონი, ხელისუფლება არად აგდებს. პასუხი ასეთია: ამხელა, ძლივს აშენებული ტრიბუნები და გასახდელები სად გადავიტანოთ? თქვენც აგელოთ და რეზიდენცია სხვაგან აგეშენებინათო, ასე განმიცხადა ზადენის უგუნურმა გამგებელმა ა. ბუბუხაძემ. ყველამ იცით, რა დიდი ძალა აქვს ერთობლივ ლოცვას. ამიტომ ჩემი თხოვნა იქნება: დავინყოთ გაძლიერებული ლოცვა სტადიონის გადატანისთვის თუ არა, ზადენის „იმერეთის“ გუნდის პირველი ლიგიდან გაგდებისთვის მაინც! კურთ-

ხევა გედღევათ, წაიკითხოთ ყოველდღიურ კანონებთან და შვიდგზის ლოცვებთან ერთად ფსალმუნი 136 – „მდინარესა ზედა ბაბილოვნისათა მუნ დავსხედით და ვტიროდეთ...“ და 139-ე ფსალმუნი – „განმარინე მე, უფალო, კაცისაგან უკეთურისა და კაცისა ცრუისაგან მიხსენ მე...“, სათანადო ვედრებით: „უფალო, შენ მოაქციე ზადენის გამგებელი ა. ბუბუხაძე და შთააგონე, რათა მიხვდეს და გადაიტანოს სტადიონი. ხოლო, თუ იგი არ ისმენს შენს ხმას, უფალო, შენ აურივნე თავგზა ზადენის „იმერეთის“ გუნდს და გამოაგდე იგი ფეხბურთის ჩემპიონატის პირველი ლიგიდან, რათა სტადიონი დაცარიელდეს გულშემატკივრებისგან და ეს ადგილი სამუდამოდ გამოიწვას სოდომისა და გომორის ცეცხლში! უფალო შეგვიწყალებ – ასგზის.

... ახლა კი სასიამოვნო სიახლეს მოგახსენებთ! სანამ ბერობას გადავწყვეტიდი, ბევრი მიფიქრია, – რა შემიძლია გავუკეთო ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს? საკუთარი ძალებით, ალბათ, დიდს ვერაფერს გავხდებოდი. ადამიანი ხომ სუსტი და უძლურია, როცა იგი თავის ნებასა და შესაძლებლობებსაა მინდობილი. დროთა განმავლობაში მივხვდი – ყველაზე მეტი, რითიც შევწეოდი ჩემს ქვეყანას, ლოცვა და მარხვა იქნებოდა. ასე აღმოვჩნდი მორჩილად საფარის მონასტერში, შემდეგ, ბერობისას, იქ გავიცანი თქვენი მოძღვარი მამა კანდელი. როდესაც თქვენთან ეპისკოპოსად გამომიშვეს, ჩამოვიყვანე და ხელი დავასხი მღვდლად. ვგონებ, არ შევმცდარვარ, არა?! (მრევლის შეძახილები: „არა, მეუფეო, არა!“). დღეს მამა კანდელი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და დიდმრევლიანი მოძღვარია ორპირში. საკმარისად ვიფიქრე, ყოველივე გავითვალისწინე... მსურს, გახაროთ – მამა კანდელი წარჩინებული მსახურებისთვის ჯილდოვდება მიტრის ტარების უფლებით!

მეუფე პეხო იღებს თავსაბურავს და ოქროსფერ მიტრას მამა კანდელს გადასცემს... ტაძარში ისმის „მხურვალე ტაში, გარდამავალი ხანგრძლივ აპლოდისმენტებში, ოვაციებით“! სოფელ გრაკალის წმ. გიორგის ეკლესიის მრავალჭირნახულ მრევლს თვალზე სიხარულის ცრემლი ადგება...

ასეთ მაჟორული აკორდით დამთავრებულ მსახურებას, რალა თქმა უნდა, მოსდევს საზეიმო ბანკეტი. მანამ კი მორწმუნენი იშლებიან, სახლებში მიდიან, ხოლო რჩეულნი საქეიფოდ ემზადებიან. თუმცა ჯერ სამღვდლო დასს ტაძარი არ დაუტოვებია, საკურთხეველის კარი შეღებულია, იქ მიმდინარე მოვლენებს მედავითნენი კათედრიდან აკვირდებიან. პეხო სავარძელში ზის, წინ არ იხრება. მღვდლები სათითაოდ უახლოვდებიან მეუფეს და მუხლებზე დამხობილნი ესაუბრებიან... ამგვარი მუხლმოდრეკით ბაასი „მოყვასთან“ დათოს აქამდე არასოდეს უნახავს. გაკვირვებით უცქერს, სხვის მაგივრად უხერხულ მდგომარეობაშია... ბოლოს ყველა მანქანებში ჩასხდა და გაეშურა საქეიფო ადგილისკენ...

სუფრაზე არაფერია ღირსშესანიშნავი: როგორც ყოველთვის – „თეთკანიანები“ ერთად, „მულატები“ და „მეტიები“ – ცალკე, ხოლო „ზანგები“ – თავიანთ სახლებში. ჰო, „ზანგების“ მსგავსად, სუფრაზე არც „მასონი“ ჟურნალისტები დაუშვეს, ისინიც სახლში! „თავისუფალი პრესა“ უბრალოდ არც კი მიიპატიჟეს... ერთი დაუშვებელი ინციდენტი მაინც მოხდა! ინციდენტს, ვერც უწოდებ, უფრო – უბედურებას! უკვე მეორედ, სამეუფეო ტრაპეზების მათიანეში გაჩნდება ჩანანერი: „ამჯერადაც სოკო მიაკლდა პეხოს მაგიდას! არადა, მშვენივრად უწყოდნენ – ძალიან უყვარს! ეჰ, დასანანია, დიდად გულდასაწყვეტი, თითქოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა და გრაკალელებმა

ისევ სოკოზე წაიფორხილეს!“.

მედავითნებმა – დავითმა და ლაშამ იქაურობა მია-
ლაგეს და უკანასკნელებმა დატოვეს ტაძარი. დავითის „07“
ჩასხდნენ და დაიძრნენ:

– დათოია, მამა რაფაელ კარელინის ახალი წიგნი ნახე?

– ისე რა...

– შენ ხო ხარ ექიმი და სასწრაფოზე რა წერია, თუ იცი?

– რაო, რა წერია?

– მე არ წამიკითხავს, მარა მამა კანდელმა მითხრა, ეშმა-
კისგანააო...

– რაა, სასწრაფო?! სულ გააფრინეთ თქვენ?!

– მეიცა, მისმინე და მერე... უყურე! ასე წერია, თურმე:
ძველად, სასწრაფო რო არ იყო, კაცი რო კვდებოდა, რას
შობოდა პატრონი? რას და, უძახდა მღვდელს! მომაკვ-
დავი ამბობდა აღსარებას, ეზიარებოდა და კვდებოდა
განსპეტაკებული! ახლა რაფერაა, თუ იცი? ვის ახსოვს
მამაო, გამოუძახებენ სასწრაფოს და სანამდე დაასობენ
წეფსებს, ქე მოკვდება... ნავა უზიარებელი ჯოჯოხეთში,
აბაა! ასეთია ეშმაკის ხრიკები, ვერ გოუგებ ვერაფერს,
გეიგე?

– მე კი „გევიგე“, ლაშაია, მარა, შენ რომ გამოთაყვანდი
ამათ ხელში, მაგას თუ ატყობ?

– რავა, არაა მართალი?! კიდო წერია, თურმე, მაცი-
ვარიც ეშმაკისააო. ადრე, მორჩენილ საჭმელს მათხოვრებს
ურიგებდნენ, ახლა მაცივარში ინახავენ და სათნოებები არ
ეწერებათ!

– სად, ლაშაია, ზეციურ სათნოებათა ტაბელში?

– ნუ იცი შენ, დათოია, მაგფერი ლაპარაკები...

დათოს შინდისფერი „ჟიგული“ მასპინძლის სახლთან
ჩერდება. ეზოში ხალხი ირევა, კიბეზე შამფურებით ხელში

ვილაც არბის. უკანა ეზოში ცეცხლზე დიდი ქვაბი დგას, ორთქლი ასდის... დათოს უკიდევანო სევდა და სასტიკი დაღლილობა მოაწვა. ლაშამ მანქანის კარი შეაღო:

– სად დააყენეფ?

– ... ნავედი, ლაშა, სამუდამოდ ნავედი... სახლში მივალ, ეშმაკის მაცივარს გამოვალე და ვითოხლავებ – სათნოების ტაბელში ამჯერადაც ვერ ჩავიწერ პლუსებს...

– რაი? წამოი, ბიჭო, ვიქეიფოთ... მეუფეა!

– ლაშა, მამაოს გადაეცი, ახალი მედავითნე მონახოს... და კიდევ – თქვენდა თავად, რო დაგენძრევათ, ვინც სასწრაფო გამოიძახოს, მე იმის...! ნავედი, აბა, კარგად!

თავი II. დათო

1. 2008 წელი, აგვისტო

დავითი თავიდანვე ალაფრთოვანა „ვარდების რევოლუციამ“, მისმა ახალგაზრდა ლიდერებმა. როგორც იქნა, ქართული სახელმწიფოს უზენაეს ამოცანად რუსეთის იმპერიის მარნუხებიდან გათავისუფლება და დასავლეთისკენ სწრაფვა გამოცხადდა – დათო ხომ ასეთ დროებაზე ჯერ კიდევ სამოციანი წლების საბჭოეთში ჩახშობილი, აშიშინებული, ხან სრულიად გამქრალი, ოდნავ გასაგონი „ღვთაებრივი“ „ამერიკის ხმის“ მოსმენისას ოცნებობდა! თუმცა, როგორც ეს ნაჩქარევ, რევოლუციურ გარდაქმნებს სჩვევია, დროთა განმავლობაში განვითარდა მოვლენები, რომლებზეც დავითს თვალის დახუჭვა მოუხდა. ბევრი არც უფიქრია – დაშვებულ შეცდომებს მთავრობის გამოუცდელობითა და მტრულ გარემოცვაში მოქმედებით ხსნიდა. საერთოდაც, მმართველი ძალის შეფასებისას „მთავარი წყალგამყოფის ცნებით“ სარგებლობდა და პირველ ყოვლისა, სწორედ „ბოროტების იმპერიისადმი“ დამოკიდებულებით აფასებდა ამა თუ იმ პარტიისა თუ პოლიტიკოსის ავკარგიანობას. ხელისუფლება კი ხალხთან ურთიერთ-

ბისას სულ უფრო ხშირად მიმართავდა „ჯოხს“. ამასთან ერთად, ახალი მმართველი ძალაც დროთა განმავლობაში გაირყვნა და დახურული ელიტური კლანების ჩამოყალიბებას შეუდგა. მოკლედ, დათოს აზრით, მიუხედავად ფუნდამენტური ცვლილებებისა, საბჭოური ცნობიერებისა და ფეოდალურ-კრიმინალური ურთიერთობების ბოლომდე დაძლევა ვერ მოხერდა – მმართველიცა და ხალხიც, დიდნილად, ჯერ კიდევ ტოტალიტარული წარსულით სულდგმულობდა...

ორპირის გადასასვლელ ხიდთან საკმაოდ მოძველებული შინდისფერი „07“ იდგა. მანქანაში მჯდომი მამაკაცი გზას გაჰყურებდა. ის ტანკების კოლონას ელოდებოდა. რუსები რატომღაც აგვიანებდნენ...

ქართული ჯარის წარმატებაში დარწმუნებული დათო 10 აგვისტოს ცისკარს „მარსელიოზის“ სიმღერით შეხვდა. შვიდამდე ძლივს მოითმინა, ახალ ამბებს აღარც დაელოდა, აფხაზეთიდან დევნილ მეზობელთან ავარდა, ბინის კარი ბრახუნით შეუხვრია და ახარა: „როკი ჩვენიააა! „უძლეველი“ რუსული არმია დავადუღეთ!“. შემდეგ „ვაროჟანასომეხთან“ ჩავიდა, საზეიმოდ გაიპარსა და იქ შეკრებილ საზოგადოებას ნიშნისმოგებით განუცხადა: „დავიხიეთ რუსები – მორჩა!“. ამასობაში კი ორი მხრიდან შემოჭრილი რუსული არმია თბილისისკენ მიიწევდა. დათომ ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა. მხოლოდ 10 საათისთვის შეიტყო – ქართველები უკან იხევენ, საჯარისო შენაერთებმა დატოვეს ცხინვალი, გორი. ტელევიზორთან მიწოლილმა სიმწრით წამოიძახა: „ისევ დაგვამცირეს ამ არამზადებმა!“. დათოს ცრემლი მოადგა და ჭერს მიაშტერდა. აქამდე ომს ძლევა-მოსილი ქართული ჯარის ელვისებურ შეტევად აღიქვამდა. წარმოსახვით ბრძოლაში მხოლოდ ქართველების გამარ-

ჯვებით სვლას და მტრის გაქცევას წარმოიდგენდა. ომის ტრაგედია რეალობად მხოლოდ დამარცხების სიმწარემ აქცია. პატრიოტული აღტკინების ბურანი განქარდა. დათოს უმოქმედობისა შერცხვა. უხერხულობა ძლივს დაძლია, გამგეობაში ავიდა, მოხალისედ ჩაენერა და დაიბარა: „ასაკს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, სამაგიეროდ, მაგარი ექიმი ვარ!“. მოზილურის ნომერი ჩაინერეს, დაგირეკავთო. მოეჩვენა, თითქოს დასცინოდნენ – იმ დროისთვის ხომ სატელეფონო ქსელი გათიშული იყო. სალამოსკენ, 5-6 საათზე, გაიგო – რუსეთის ჯარი საქართველოს ფართომასშტაბიან ოკუპაციას იწყებდა. იბომბება ქალაქები. ზუგდიდში, სენაკში, ფოთში, გორში ტანკები შედიან. თბილისი შეტევის, ავიაჭურვების, საარტილერიო ცეცხლის მოლოდინშია. მთელი საქართველო მიჩუმებულიყო...

ისევ ტელევიზორს მიაშტერდა. Euronews-ი ყოველ ნახევარ საათში იმეორებდა: „ქართველი მეომრები ხოცავენ დაჭრილ რუს სამშვიდობოებს და ოს მეომრებს, ანიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, არ ინდობენ მოხუცებს და ორსულ ქალებს“. თავში ერთი ფრაზა უტრიალებდა – „Грузины добивают раненных!“ ... „უჰ, თქვენი..!“ – უძღურებისგან გაცოფებული უკანასკნელი სიტყვებით ავინებდა ტელევიზორს, კედლებს. რუსულ არხებზე ოკუპაციისთვის შესაბამისი სახელიც გამოუგონიათ – „საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაცია“. HTB-ზე მანქანაში ჩამწვარი ქართველი პოლიციელების კადრები: „დანახშირებული გვამები მცხუნვარებისთვის დამახასიათებელ „ბოქსიორის პოზაში“. დახრუკულ პოლიციელებს უახლოვდება მოხუცი ქალი... აფურთხებს! კისერში მოუჭირა. აქვითინდა.

შუადღისთვის გამოდის პატრიარქი: „... დასანანია, რომ

პირველად ისტორიაში მართლმადიდებელი ერი გვბომბავს...“. ამ სიტყვების გაგონებაზე დათო საწოლიდან წამოვარდნილა და, როგორც შემდეგ მიყვებოდა, დაუნყია დღიურის შედგენა.

თბილისში ჩამოსული ჩემთან მოვარდა. წესიერად არც მომესალმა, შემოსვლისთანავე გაცხარებით დაიწყო: „რა მოხდა, ბიჭო, „პირველად“ – მე-11 არმიის წითელ კომისრებს კასეტური ბომბები არ ჰქონიათ, არა?! არც ტანკები ეყოლებოდათ მაგ ნაბოზვრებს! არ ყოფილაო – გესმის შეენ?! ესენი ვინ არიან, ვინ?!“..

11 აგვისტო, ორშაბათი. დილიდან დეპრესია, ცრემლები... დღის 4-5 საათი, შეტყობინება თბილისიდან – „ორპირისკენ დაიძრნენ“. იგივე ესმოდა ეზოში ჩამომსხდარი ჭორიკანა ქალებისგან. „რუსული ტანკები მოდიან, ტან-კე-ბიი!“ – იმეორებდა დავითის ადუღებული გონება. უმოქმედობა, უმწეობა აუტანელი შეიქნა, სულ გადაირია! ეზოში ჩავიდა. თავში ათასგვარი სისულელე უტრიალებდა: „რა ვქნა, რაა?!“... სულ მოკლე ხანში სასოწარკვეთა გაცოფებით, შემდეგ კი გაბედულებით შეიცვალა: „ჩემი ოცნების აღსრულების დრო დადგა! ტანკებს გადავუდგები!“ . უჩვეულო ეიფორია დაეუფლა. „ჰო, გავალ და ტანკების კოლონას მანქანით გავაჩერებ... დიახ, ასე! მაგათი..! ავტოც არაა დასანანი – 07-ა, თანაც ძველი... გადმოვხტე მანქანიდან თუ გმირულად შევწირო თავი? მეყოფა გამბედაობა? კარგი, ადგილზე გავარკვევ“. სახლში შემობრუნდა და მზადებას შეუდგა.

წყალი გადაივლო. პარკებიდან უხმარი მაისური და საცვალი ამოიღო, საზეიმოდ გამოეწყო. Hugo Boss-ის ყუთი გახსნა და უხვად დაისხა. შემდეგ, ჩვენი ღამის საუბრებისას ამ ფრიად საინტერესო დეტალს ღიმილით განმარტავდა:

„მორგში ჭირისუფლი გოგონების დასანახავად „ტანკგა-დავლილი გმირი“ ხომ უნდა ვყოფილიყავი სათანადოდ დაზმანული, არც სასიამოვნო სურნელი იქნებოდა უმნიშვნელო“.

საკუთარი გამბედაობით შეშინებული დათო ცახცახმა აიტანა. ეზოდან კვლავ რუსების მოლოდინით აღელვებული მეზობლების ხმები მოესმა. ფანჯრები დაალო, კომპიუტერთან მივიდა, საქართველოს ჰიმნი ბოლო ხმაზე დააგუგუნა! როგორც იქნა, გაეტია. მანქანა დაქოქა, გამგეობის შენობასთან მივიდა. დგას ორპირის მთავრობა და „ბიზნეს-ელიტა“, ასე, ოცი კაცი. რატომღაც საზეიმოდ გამონყობილან... დადგა:

– რა ისმის, მოდიან?

– ახლა გამოვასწარით სენაკიდან, იქანა არიენ ჯერე... შეიძლება დეიდრენ! – უპასუხა ორპირის საკრებულოს საკმაროდ „გაალკაშებულმა“ თავმჯდომარემ, სოკრატ გულდედავამ.

– ბიჭებო, ასე ხომ არ ვიდგებით?! მოდი, ტრასაზე გავიდეთ და თავჩაქინდრულები მაინც დავდგეთ... არ შევაფურთხოთ მტერს?!

თავისდაუნებურად ადვილად შეცვალა ადრე მიღებული თავგანწირვის გეგმა – გმირობა, პატრიოტიზმი ხომ თითქოს სასირცხვილოცაა. უხერხული პაუზა ორპირის გამგებელმა, ვალერიან შენგელიამ, დაარღვია:

– ბატონო დავით, როგორ გეკადრებათ? ახლა მაგის დროა?! არ გაგივიათ – „დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო?“

თავისთვის გაიფიქრა: ოხ, შენი „ბაბაია“ დედას შ...ო!, ხმამაღლა კი ვერ შეჰკადრა – გამგებელია, რაც არ უნდა იყოს. ჯერ გაჩუმდა... და მაინც აფეთქდა:

– კი მაგრამ, გუშინ ჩვენს ძმებსა და შვილებს რომ უშვებ-
დი სასაკლაოზე, ეგ როგორაა?! ისინი დაგეტოვებინა „ბაბა-
იას“ დასაძახად და შენ წასულიყავი ფრონტზე!

გარშემო სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. საპატიო
საზოგადოება დაიშალა, მოშორებით, მანქანებთან ჩამოსხ-
და. დათო მიყვებოდა: „ელიტა“ ფიქრობდა – ტო, ამას შიგა
აქვსო! დამცინავ, სმა-ჭამისგან დასიებული როჟებზე ეწერათ
ქონიანი აზრები!“ . სულ სამნი დარჩენილან: დავითი, გამგე-
ბელი და გამგეობის პატარა, თავმოტვლეპილი ბუღალტერი.
ეს უკანასკნელი მიჰბრუნებია დათოს და ყბამოქცევით ჩაუ-
ლაპარაკია: „დათოია, მეც სიამოვნებით შევაფურთხებდი
რუსებს, მაგენის დედა მ...ყან!“ . ჩუმად უთქვამს, ვერ გაუბე-
დავს გენერალური ხაზიდან გადახვევა. პაუზა გაგრძელდა.
გამგებელმა სცადა, განემუხტა მდგომარეობა:

– მაგათი დაგეგმილი ოპერაცია აბა რა იქნებოდა?!
ტყუილად ჩახოცეს ამდენი ხალხი!

– ახლა გახდნენ „მაგენი“?! ამდენი წელია მთავრობაში
ხარ და „მაგათიო“?!

„ჩაისვარეთ, თქვე ნაძირლებო და „მაგათიო?!“, ეს
უკანასკნელი კვლავ არ უთქვამს, მხოლოდ გაიფიქრა და
ვალერიან შენგელიას მაგივრად შერცხვა.

– კაი. დანყნარდი, დათოია, რაია ბიჭო...

ამ სიტყვებით მიუახლოვდა ბენზინგასამართი სადგურის
მფლობელი და ყურში ნდობით ჩასჩურჩულა:

– ნადი დათოია, ბენზინი ჩაასხი დროზე, ამგენს ყ...ზე
კიდიენ და შენ დარჩები ცარიელი!

„ფუი, თქვენი დედებს შ...ი!“ – ამ გინებამაც მხოლოდ
გონებაში გაუელვა. სანვავის შესავსებად მაინც გაიქ-
ცა. მისულს, ბენზინგასამართი ტუმბოებიდან რეზინის
„შლანგები“ წამძვრალი დახვდა. „უხ, თქვენი მშიშარაა...!“

თქვე განდონებო!“ – შესძახა ამჯერად ხმაამომდგარმა დათომ და მარტომ გადანყვიტა ჩაფიქრებულის განხორციელება. გაქანდა ცენტრალური გზისკენ. მანქანა გააჩერა. ხედი ზედმეტად მოშიშვლებული მოეჩვენა და ახალ ადგილზე გადავიდა.

დავით ვაშაკიზე ორპირის გადასასვლელ ხიდთან საკმაოდ მოძველებულ, შინდისფერ „07“-ში იჯდა და ტანკების კოლონას ელოდებოდა. მტრის ტანკები ჯერ არ ჩანდა...

ამასობაში კვლავ საკუთარი თავგანწირვით აღფრთოვანება მოეძალა. შეეცოდა კიდეც გარდაცვლილი დათო – „კალაშნიკოვის“ ტყვიებით განგმირული, ტანკის მუხლუხებით დამახინჯებული, მაგრამ ქალებისთვის მაინც სასურველი, ჯინსებსა და ახალ ტრუსებში გამონყობილი, Hugo Boss-ის სურნელით. კანში ველარ ეტეოდა. ახლობლებთან შენიღბული შინაარსის ჰეროიკული SMS-ების დაგზავნას მორიდებულად შეუდგა. დათოს ხომ საკუთარი გამბედაობისაც კი რცხვენოდა. რამდენიმე პასუხის ან სულაც დუმილის მიხედვით მიხვდა – მისი ბუნდოვანი აზრები ან არავის ესმოდა, ან მის გზავნილებს სერიოზულად არავინ აღიქვამდა. „არაფერია, მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა მტრის დახვედრა! ცოტაც მოიცადეთ და ნახავთ, ვინ ვარ მე!“ – ფიქრობდა მარტოობისგან მოწყენილი დავითი. გავიდა საათი, ორი... რუსული ტანკები კვლავ არსად ჩანდა. ძილი ერეოდა, სმენაც მოუდუნდა, ველარც გრუხუნს ელოდებოდა უწინდელი გაფაციცებით.

ღამეა. ერთი აზრი აეკვიატა, თითქოს ვილაც ჩასძახოდა ყურში: „ნადი რა, ნაეთრიე სახლში, შე ჩემისა. დაილაღე, თან ავად ხარ. ეს ბოზებიც არ მოდიან, როდემდე გინდა, ელოდო? ხომ ხედავ, მარტო დარჩი...“. მართლაც, მოსწყინდა, მოშივდა, დაღლილობაც მოეძალა. გამირულმა აღტკინებამ

იკლო, ეიფორიამ გაუარა და დათოც საბოლოოდ დანებდა. სახლში დაბრუნდა. მანქანა ფარეხში აღარ შეაყენა, გარეთ, აივანთან გააჩერა. თუ დაიძრნენ ტანკები, ეგებ ღამე მომიწიოს გასვლაო. ძველი გამოცდილებით ნაკარნახევი ფიქრი დაეუფლა: „ახლა მარადიურობა დაინყება, საბურავებს მომპარავენ“. საკმაოდ მოძველებული შინდისფერი „07“ ეზოში აღარ დატოვა და ფარეხში შეაყენა.

„არადა, რა დროს საბურავები იყო, ბიჭო? ფუ, რა განდონი ვარ! – გაბრაზებით იმეორებდა ჩვენი „ღამის საუბრებისას“ დათო, – აზრზე ხარ, ტო, მაინც მეშინია სიკვდილის?! ამდენი განსაცდელის შემდეგ, მაინც?! ისე, არც ასაფეთქებელი მქონდა რაიმე – „ლიმონკა“, „პლასტიდი“... ეჰ, რაც არ უნდა ვთქვა, მხდალობამ იცის ეგ და... მარტოობის განცდამ. ადამიანს მხარი სჭირდება, მეგობრის, ისე ძნელია გმირობა. შენ რომ ყოფილიყავი, დედას ვუტირებდით, ზუგდიდში ჩავაკითხავდით მაგ ნაბოზვრებს, არა?!“.

თბილისში საღამოს გამართულმა საპროტესტო მანიფესტაციამ და ხუთი ქვეყნის პრეზიდენტის ჩამოსვლამ დავითი ოდნავ დაანყნარა. ტელევიზორთან მიმჯდარი, დემონსტრანტებთან ერთად გულაჩუყებული ტიროდა. გადმოსცეს ამერიკელი სენატორის, ჯონ მაკკეინის განცხადება: „დღეს ყველანი ქართველები ვართ!“ . „ჯიგარი ხარ მაკკეინი, ჯი-გა-რი!“ – შესძახა დათომ და მალევე ჩაეძინა.

გამთენიისას, ძილშივე კვლავ საპროტესტო აზრი გაუჩნდა. ნამოხტა, წყალი გადაივლო და გაქანდა სამხატვრო სალონში. შენობის წინ, გაუკაცრიელებულ ტროტუარზე, დალაქი და მენალე მშვიდად აგორებდნენ ნარდს. „ამათვის არაფერი მომხდარა?!“ – გაიფიქრა დავითმა. კამათელი ჩაუჭრა, მრისხანედ შეხედა, ნარდი დაუხურა და უსიტყვოდ თავისკენ იხმო. აცახცახებული სალონში

შევარდა. მხატვარი, ჩამწვარი „ზვიადისტი“, მაკკეინივით ჯიგარი აღმოჩნდა! სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე – მენალის, დალაქის, მხატვრის, დამლაგებელ ოლიას, მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი გოგოს და რამდენიმე შემობოდიანებული ლოთის თანდასწრებით დათომ წარმოთქვა მხურვალე სიტყვა:

„ძვირფასო თანამემამულენო!

სამშობლო განსაცდელშია! საქართველოს ჩრდილოელი ურდოები შემოესია!

ჩვენს ღირსებას თელავს რუსული ჩექმა! დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია, ჩვენი შეიარაღებული ძალები და პოლიცია ხალხთან ერთად განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას პირსისხლიან მხეცთან! ჩვენთან არის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე – ამერიკის შეერთებული შტატები!

...ახლახან შევიტყვე, ორპირელი სამშობლოს მტრის, „კაგებეშნიკ“ იგორ გიორგაძის „ნახალოვკელი“ და რიონისპირელი თანამოაზრები ღამღამობით გადარბიან მეზობლებთან ცხელი ხაჭაპურებით და შემწვარი გოჭით... ნაძირლები ჭიქით ხელში ულოცავენ ერთმანეთს რუსული საოკუპაციო რეჟიმის მოახლოებას! მოგინოდებთ, არ აჰყვეთ მტრის და ადგილობრივი მოღალატეების პროპაგანდას! იყავით მხნედ და იმედიანად!

ჩვენთან არს ღმერთი. ჩვენს მხარესაა სიმაღლე და ამიტომ აუცილებლად გავიმარჯვებთ! ძალა ერთობაშია! „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და ყოველივე, რაც გულში არ ეტეოდა, ამოანთხია:

„ყოველი კოლაბორაციონისტი პირადად ჩემგან მიიღებს

შუბლში ტყვიას! ოჰ, მე რუსების დედას შევეცი!". ოლიას მცირეწლოვანი შვილიშვილი ატირდა. დამსწრე საზოგადოება უხმოდ დაიშალა. მაგრად გასწორებია მხოლოდ „ზვიადისტ!“ დავითის ცეცხლოვანი გამოსვლის შემდეგ ძლივს ამოუდგამს ენა – უუხ, ამათი ღორიო..! კიდე კაი, შენ გამოჩნდი, თორე ამ ორპირელმა „პუტჩისტებმა“ ხომ შემჭამესო! რუსებო, თქვენი დედა მ...ნო! – იმასაც ასე დაუსრულებია. მანქანაზე საპროტესტო წარწერის გასაკეთებლად დათოს მისასხურებელი საღებავები ამოუღია. „ნუ გააფუჭებ ამ კუკლასავით „ნოლემს“, აგერ მისანებებელი ქალაღი მაქვსო – უთქვამს ზვიადისტს და გაჩაღებულა დიდი მუშაობა. ფერი შეურჩევიათ – ხასხასა ყვითელი. წინ „კაპოტზე“, უკან საბარგულზე და მანქანის ორივე გვერდზე დიდი, ყვითელი ასოებით ამაყად მიუწერიათ – STOP RUSSIA! ძველმა რევოლუციონერმა – „შენ მიტკალი მომიტანე, საღებავი და დიდი პლაკატის დახატვა ჩემზე იყოსო! ხელში დავიჭიროთ და გადასასვლელ ხიდთან, ტრასაზე, გავიდეთ, მე არაფრის მეშინიაო! ამათი მოღალატე, შევარდნაძის ლაქია დედაცო!". „საღოლ, ჯიგარი ხარ, ჯემალია-ზვიადისტო!“ – შეუქია დავითს და წამოსულა.

ქალაქში გაქანდა, სააგიტაციო ავტომობილით ორპირს ერთი-ორი წრე დაარტყა. მართალია, ზედმეტი ყურადღების მიქცევის ძლიერ ერიდებოდა, მაგრამ მოსახლეობის საბრძოლო სულს ხომ უნდოდა გაღვივება?! ისიც თითქმის ჩამქრალ ნაკვერჩხალს უბერავდა. ხალხი ცხოველი ინტერესით უცქერდა დავითსა და მის ავტოს – აი, გიჟიო, ფიქრობდა. საკვების შესაძენად მაღაზიასთან შეაჩერა, ორი დღეა მხოლოდ სიგარეტს ეწეოდა და ყავას აყოლებდა. დახლებზე სიცარიელე დახვდა. მონებში მშიერი კუჭის შიშს უფეთქავს! ორპირელებს ძეხვი, სოსისი, სარდელი და

შპროტის კონსერვები დახლებიდან დაუტაციათ. ნაცნობმა გამყიდველმა გოგომ, რომელიც დათოს ეპრანჭებოდა, სამი სოსისი ძლივს გაიმეტა. ორპირიდან ჩამოსულმა თავისი ნუხილი ასე გადმომცა: „მაღაზიიდან გამოსვლისას წარმოვიდგინე: „მაგიდასთან ზის ოჯახი. მამა, დედა, შვილი. მსუქნები. ჩქარ-ჩქარა იტენიან პირში ძეხვეულს. ცხიმიანი ტუჩები. კბილებში გაჩხერილი ვარდისფერი ნანილაკები. ნახორცალი მაგიდაზე ცვივა. მთელი დღეა ჭამენ და ჭამენ!.. შიში აღორებს ადამიანს თუ გაღორებული ადამიანია მშიშარა? არ ვიცი, ალბათ ორივე.“

მომდევნო დღეებში ტელევიზიით გავრცელდა საშინლად დამამცირებელი კადრები: „ქართველი მამაკაცები გზაზე დაყრილი ჰყავთ, ავტომატიანი რუსები შეშინებულ გლეხებს ჩხრეკენ. ყაჩაღები წაწოლილთ ფეხსაცმლის წვერით მიუთითებენ, რომელი ბრძანება შეასრულონ. ნივთებს უყრიან. ბოლოს ზედა სამოსს ხდიან და შიშვლებს უშვებენ. დათო ისე გამწარდა, ისე! რა ექნა?! მერამდენედ: ოხ, თქვენი დე-დეებს შ...ცი მეო! – თუ იტყოდა. ასეც მოიქცა... ომის ქრონიკა გრძელდება: „რუს „მეომარს“ ჩანთაში მონადირეული ოქროს ჩანგალი უდევს; საგუმბაგოზე რუსულ სატვირთო მანქანას აჩერებენ – ნაძარცვი სარეცხი ფხვნილი, ქვაბების სახეხი ჟელე; ყაზარმის კედლებიდან „შტეკსელებს“ აძრობენ, „ბომუებს“ უნიტაზები, ნახმარი „ბოტასები“, სამხედრო ფორმა გააქვთ!“. „ფუი, თქვენი!“ – კვლავ და კვლავ იმეორებდა დავითი. „მერე გეტყვიან – აბა, ტოლსტოიო? და დოსტოვსკის რას უშვრებო?! არა, ძმაო, ჩემი ზიზლიც ირაციონალურ ხარისხში ავიდა – მორჩა მაგათზე ბაზარი!.. ნუ, ერთი... ორასი წლით მაინც! მერე ვნახოთ...“.

იმხანად დათო ხშირად იმეორებდა: კაცი ბუნებით

მონადირეა და მეომარიო. „ორპირულ ქრონიკებში“ ცხოვრების აზრსაც შესაბამისად აყალიბებდა: „პირადი – „ოცნების გოგოს“ პოვნა; საზოგადო – გმირობა, სასურველია – რუსული ტანკის ქვეშ შევარდნა. პირველი – ძნელია, მეორე – უპირატესიო“ – ასე აფასებდა მიზნების მნიშვნელოვნებას. „სხვა ღირსეული საქმე არ ჩანს, სამშობლოსათვის მაინც შევწირავ თავს. ვალიარებ, გმირი არ ვარ, უბრალოდ, უაზრო ყოფამ ისე დამლალა, მიჯობს, დროზე მოვკვდე და თანაც სასარგებლო საქმე გავაკეთო, ცხოვრებაში რაღაც კვალი მაინც დავტოვო. ძმაკაცები შემაქებენ, შვილები იამაყებენ – მამაჩვენი მაგარი კაცი იყოო! ქალები ხომ სულ გადაირევიან და დადნებიან – რა ბიჭი იყო დათო, ნაღდი კაცი და გმირიო! სულ ეგაა ცხოვრების აზრი რა...“.

შემდეგ, როდესაც დავითი თბილისში გადმოვიდა, მის „ორპირულ ქრონიკებში“ ასეთი ჩანერი გაჩნდა:

„ყველა რევოლუცია თითქოს გარდაუვალია, საჭიროც, აუცილებელიც. ხოლო მისი შედეგების გადაჭარბებული მოლოდინი არასოდეს ამართლებს, რადგან ადამიანების ცნობიერება ისეთივე რჩება, როგორც მანამ იყო. რევოლუცია მხოლოდ ნახტომია, რომელიც იძლევა შანსს – ჰქმნის პირობებს ამ გონებრივი ინერტულობის დასაძლევად. რევოლუციას ხანგრძლივი, შრომატევადი, მოულოდნელი წინალობებით აღსავსე – ევოლუციის ხანგრძლივი გზა მოჰყვება.

...ავვისტოს ომი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციით დასრულდა. თითქოს, ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მისი მიზეზი სწორედ აგრესიული რუსეთის „ვარდების რევოლუციით“ გაღიზიანებასა და საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვაშია. მიუხედავად ამისა, საქართველოში ომის დაწყებამ დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ

თვალსაზრისით, „ორპირულ ქრონიკებში“ გადმოცემული შემდეგი შემთხვევაა ყურადსაღები:

„ერთ ლამაზ ებრაელ გოგოსთან, ვიკასთან ერთად ვიყავი „მარდენზე“. ავყევი ცდუნებას და ქათინაურების მაგიერ მასთან პოლიტიკურ დებატებში ჩავერთე. საქმე ჩხუბისკენ მიდიოდა. ასეთი მაგარი ქალის დაკარგვა არ მინდოდა. შერიგების მიზნით გადავწყვიტე, უკან დამეხია და უმშვენიერეს ვიკას ასეთი კომპრომისული წინადადება შევთავაზე: „ვიკა, საყვარელო, ებრაელი ხარ, ბიბლია იცი. ხომ გახსოვს მოსეს და ებრაელი ხალხის უდაბნოში ხეტიალის 40 წელი? ჩვენ, ქართველებსაც, ასე გვჭირდება, დრო უნდა ადამიანის გარდაქმნას...“. მან სხარტად მიპასუხა: „Давид, да это нам, умным евреям хватило 40 лет, а вам при такой ходьбе, хуй 100 лет хватит“.

ვნახოთ, ყოველივე წინაა...“.

2. პოლიგამიური 2009 წელი – დავითის შესაქმე“

როგორც ზემოთ ითქვა, ორპირშივე, დავით ვაშაკიძის ცხოვრებაში უდიდეს გადატრიალებას ჩაეყარა საფუძველი – მამაკაცმა და, იმავდროულად, ყოფილმა მეცნიერმა კომპიუტერი შეიძინა და „მსოფლიო აბლაბუდაში“ ჩაერთო. იმხანადვე, დავითი „ორპირული ქრონიკების“ ცალკეული ნაწილების ვირტუალურ სივრცეში განთავსებას შეუდგა. პირველი პუბლიკაციებისთვის გამოხმაურება საკმარისზე მეტიც მიიღო, თუმცა სასურველ პოპულარობას კიდევ

ბევრი რამ აშორებდა. თანაც, თბილისში დაბრუნებაზე ფიქრიც დაიწყო, მაგრამ ამდენი ხნის წამოსულს ხომ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევდა. დავითი უფულობამაც დაღალა და თავისი წუხილი მაღალჩინოსანი სამხედრო მეგობრის მეუღლეს მობილურით საუბრისას გაუმხილა. მალევე თბილისიდან იგივე მეგობარი დაუკავშირდა და დათო ვაშაკიძე „ოკუპაციასთან წარუმატებელი ბრძოლის სამინისტროში“ მიიწვია:

– ბიჭო, რა გაატრაკე შენ, ჰა?!

დავითი შეკრთა, იფიქრა, ნუთუ ამხელა კაცს ძმობაში რაიმე შემეშალაო?

– რა ვიცი, ისე, არაფერი...

– მე ამის დედას შე...ი! ექიმი იყავი, კანდიდატი გახდი – მედიცინაში ჩააჯვი! ეკლესიაში მიხვედი, ბერობა გინდოდა, მერე ის „ბაბილონი“ დაწერე – იქაც ჩააჯვი! ახლა ვიფიქრე – მოდი, ეგებ ორპირის გამგეობაში შევაკვებებ, მაგრამ ამ „ორპირულ ქრონიკებში“ ისეთები დაგინერია – მოკლედ, ხელისუფლებაშიც ჩააჯვი! დარჩა ჯარი და პოლიცია. პოლიციაში ადრე გაქვს ჩაჯმული, დღეში სამჯერ რომ გიჭერდნენ, მაშინ... და ჯარში იმუშავებ?!

– ჰო, რა ვიცი, კი...

– ამ დღეებში დავადგენ და დაგირეკავ. იცოდე, ჯარზე არაფრის დაწერა არ გაბედო! ფალარათი გაქვს, შე ჩემა, თუ რა გაატრაკე ამ შენი კრიტიკით?!

ტუუ...

დათო თბილისს გაემგზავრა და სამსახურს შეუდგა. დედაქალაქიდან ლამის თხუთმეტწლიანი გაუჩინარება, სოციალური კიბის ბოლო საფეხურზე მტკივნეული დანარცხება, ხოლო, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, სრული „გაალკაშება-გაბომჟება“, რაც ალკოჰოლის მიღები-

სთანავე „კოლიას მარკეტთან“ ნაქცევებაში გამოიხატებოდა და, ბოლოს, სასიკვდილო სარეცელზე მიგდება, ფენიქსივით აღმდგარი მამაკაცისგან გადაუდებელ აქტივობას ითხოვდა. თბილისში „დიდებით დაბრუნება“, პრესტიჟული სამსახური, მაღალი ხელფასი – ამის შესახებ ხალხს უნდა გაეგო! დათო ვაშაკიძე უჩუმრად ცხოვრების უწონადობასა და უცნობლობაში სიკვდილსგან თავის დაღწევას შეუდგა.

სწორედ ამ აღმავლობის ჟამს მოულოდნელად მეხი გავარდა – ნახევარ საუკუნეს გადაცილებულმა დავით ვაშაკიძემ, ერთწლიანი თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად, სამსახური დაკარგა! „ოკუპაციასთან წარუმატებელი ბრძოლის სამინისტროში“ მორიგი ახალი მინისტრი დაინიშნა, რომელმაც საკუთარი თანაშემწის თანამდებობიდან დავითი გაათავისუფლა. არადა, ის მოწინავე მუშაკად ითვლებოდა და ყველა, როგორც თავქუდმოგლეჯილ პატრიოტს, ისე იცნობდა. თავიდან ძლიერ განანყენდა, მაგრამ მალევე, სულ ერთ-ორ კვირაში თქვა, „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“, და გულისტკენამაც უკლო. ცხოვრების ქრონიკულმა უსამართლობამ შორეულ პერსპექტივებზე დარდს ისედაც კარგა ხნის წინ გადააჩვია, ამჯერად კი კომპენსაციის სახით აღებულმა ორი თვის ხელფასმა უახლოესი მომავალი ნათელი იმედებით აავსო.

დათომ შეიღვიძა. „ავდგე?“ ... აბაზანისკენ გაქანდა, გზად კომპიუტერს ჩაურბინა, ჩართო. სამზარეულოში ლიმონიანი ჩაი დაისხა და სანოლში დაბრუნდა. სიგარეტს მოუკიდა და ჯერ კიდევ საბჭოური ბავშვობისას დაქვეითებული თვითშეფასების ამალლებას შეუდგა – თბილი და ვნებიანი „სმს“-ბით ქალებს მიესალმა: „ახლებს“ – ნაზად, რომანტიულად: „Sayvarelo Lalo (Mana, Nata, Gvanca), dila mshvidobisa da ai, shen chemi sachukari: Mze amosula, axali dge daiwyo! Ezoshi

chitebi jgurtuleben... Fanjridan mzis sxivi Lalkas (Manchos, Natkas, Gvancunas...) loyaze efereba da patara yurshi chaschurchulebs: „Lalushkaa (Manchushkaa, Natushka, Gvancushka...), kargo gogo, es Me var, shentan movedi! Gaigvidze, kargo gogo... mpua shen da gaigime patara!

P.S. Mze – me var, mzis sxivi – chemi xelia. Dilamshvidobisaa da Gk***; „ძველებს“ – ვნებიანად: „Sayvarelo gogo, Ekaska(Deikuna, Nonucika da a.S...), dilamshvidobisaaa! Sashinlad gkocni da amazrenad geferebiii! Momenatreee, Mindixaaar!!! **“.

მაღევე საპასუხო გზავნილებმა იწყო შემოსვლა. ყოფილ-მა სატრფომ, ქეთრინმა, რომელსაც გრძნობით დამთვრალმა იმხანად „ოცნების გოგო“ უწოდა, რომში გაცილების შემდეგ, უყურადღებობით გალიზიანებულმა (გუშინ Skype-ში „იგნორი“ გაუკეთა) უპასუხა: „დილამშვიდობის! როგორ გყავს შენი „ოცნების ჯოგი“?!“ დათოს სევდიანად გაელიმა. ქეთრინი ხომ ჯერ კიდევ ორი-სამი თვის წინ ერთადერთი „ციმციმთვალეა ანგელოზი“ იყო. ნამდვილად უყვარდა, მის გამო აბოდებდა კიდევ! ერთი სიტყვით, იმ დროისთვის „ოცნების გოგო“! ქეთი თბილისში ჩამოფრინდა. ერთი თვე ერთად გაატარეს. რომის რეისზე გააცილა და... ეჰ, დრონი მეფობენ...

გული გაუთბო უაღრესად მართლმადიდებელი თიკა-მცხეთას დაგვიანებულმა პასუხმა: „დედას სიხა :))) ანგარიშზე არ მქონდა. thanks! სად დაიკარგე, ხომ კარგად ხარ? მადლობა, რომ გაგახსენდი!“. დათომ გაიფიქრა, რა იცი, მომავალში რა ხდებაო და მისწერა: „კი, საყვარელო, თიკა! დღე არ გადის, რომ არ გაგიხსენო! გკოცნი შენ ყურში და კისერში, ძალიან გამახარე, ძალიან!“. ქართველ მამრებს მონყურებულმა მოსკოველმა დეიკუშკამ საბოლოოდ დაარწმუნა საკუთარ მნიშვნელოვნობაში: „Сад дамекарге Дааат?! M...Ш...Мкврхр! Шемогвле! Kiissss!“.

ასაკში შესულ დავით ვაშაკიძეს თვითონაც ძლიერ ახარებდა სიყვარულის თავიდან აღმოჩენა და ქალებისადმი ესოდენ ცხოველი ინტერესის გაჩენა. მიზეზი? ნარკოტიკულ თრობაში უქმად გაცდენილი ახალგაზრდობა, არასრულფასოვნების კომპლექსი და მოუკვლელი ჟინი... შეიძლება ითქვას, რომ ახალი სასიყვარულო გამარჯვებებით დათო დაბალ თვითშეფასებას ყოველდღიურად იმაღლებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმიანი, წარმატებული ქალი ახლაც ძლიერ იზიდავდა, სურდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, „დაება“ ის, მაშინ ჩამოთვლილ მიზეზებს, შეიძლება, დიქტატორი დედის დაძლევის კომპლექსიც დავუმატოთ. ასეთი ახსნა უნდა ჰქონოდა დავითის დაგვიანებულ გატაცებას – ორმოცდაათ წელს გადაცილებული „ჩვილის“ საბჭოური ინფანტილიზმის მარწუხებიდან გათავისუფლება და დამოუკიდებელ მამაკაცად ჩამოყალიბება. იმავდროულად, მან სამსახურიც დაკარგა, რის გამოც დავით ვაშაკიძის თვითდამკვიდრების მთელი სიმძიმე ქალებს დააწვავთ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მრავალი სასიყვარულო ძაფის გაბმა მხოლოდ სპორტული ჟინით შეპყრობილი დათოს გამარჯვების ნყურვილს როდი ემსახურებოდა; მას ყველა ქალი სათითაოდ, ცალ-ცალკე, მართალია თავისებურად, მაგრამ გულწრფელად და ერთნაირად უყვარდა; განსაკუთრებულ ვნებას კი იმ ქალის მიმართ განიცდიდა, რომელთანაც იმ მომენტში იყო.

ეს პოლიგამიური სიყვარულის ზეიმი 2009 წლის ქრისტეშობას დაიწყო, როდესაც მანამდე ბერობის მოსურნე დავით ვაშაკიძემ ჯერ გერგეთის სამების მონასტრის კედლები დატოვა და ყაზბეგის მთიდან „დედამინაზე დაეშვა“, ხოლო შემდეგ, ერთი-ორი წელი ზადენი-ორპირის ეკლესიებში ხელმეორედ „იმოგზაურა“ და ბოლოს, 2008 წლის 31 დეკემ-

ბერს თბილისში ჩამოვიდა... ახალი წლის დადგომის შემდეგ დედას, დას და სიძეს დღესასწაული მიულოცა და მალევე დაიძინა. უცებ, ასე ღამის 3-4 საათი იქნებოდა, მობილურის ხმოვანმა სიგნალმა შეაღვიძა. ხელი გადაყო, ტელეფონი აიღო და მოსული „მესიჯი“ წაიკითხა: „ბატონო დავით, თქვენ და სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს! გისურვებთ წინსვლას და წარმატებას! ორპირის რაიონის დეპუტატი სერგო გალდავა“ – ორპირის ელიტას საიდანლაც მისი მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შეუტყვია! „თქვენ და სრულიად საქართველო...“ – მაგარია! არადა, ეს „ბაბაია“-არამზადა წესიერად არც მესალმებოდა, მე ამის...“ – გაიფიქრა დავითმა, „სმს“-ნაშალა და ძილს მიუბრუნდა.

დავით ვაშაკიძემ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, წარმატებისთვის მიეღწია, ამიტომ ორი რამ დაისახა მიზნად: თავისი პუბლიცისტური თუ ლიტერატურული ტექსტების ინტერნეტში განთავსება და ქალებთან მრავალმხრივი ურთიერთობების გაბმა. მან დის ოჯახი დატოვა და თბილისის ცენტრალურ უბანში ბინა იქირავა.

ასე იყო თუ ისე, დათო ვირტუალურ სამყაროში გადასახლდა და საკუთარი თავის წარმოჩენას მიჰყო ხელი. თავის იმჟამინდელ ღვანლს ნახევრად ხუმრობით ღვთაებრივს ადარებდა: „ღმერთმა ადამიანი მიწისგან შექმნა, ხოლო მე ვირტუალური სამყაროდან ვასხეულებ ქალებს და „შარდენის“ თუ „პეროვსკაიას“ გავლით, რეალურ სამყაროში გადმომყავსო. ასეთია ჩემი „შესაქმეო“, – ტრაბახობდა დათო სულ ერთ-ორ, ჯერ კიდევ ცოცხალ მეგობართან, რომლებიც მასავით სასწაულებრივად გადაურჩნენ განვლილ მძიმე ცხოვრებას.

...აბაზანიდან გამოსულმა ფენით თმები შეიშრო, ყავა

დაისხა, ფანჯრის რაფაზე მონყობილ სანერ მაგიდას მიუ-
ჯდა და სიგარეტს მოუკიდა. კომპიუტერის დინამიკებიდან
ბოლო ხმაზე მოედინებოდა შუბერტის ღვთაებრივი Ave
Maria №5, მას მოჰყვებოდა პაგანინის II Carnivale Di Venezia
და პანჩოს „არც ყვავი ვარ, არც არწივი“. რვეულიდან ამო-
ხეულ ფურცელზე სახაზავით ორმაგი ჩარჩო გულდასმით
შემოხაზა, ფურცელი აკურატულად შემოჭრა და შეუდგა
დღის გეგმის ჩამონერას:

1. მალაზია სიგარეტი – „პარლამენტი“ (გადასვლა წვრილ
„მარლბოროზე“) – 7ლ
– მობილ. ჩარიცხვა: მე – 5; შვილებს: სანდრო – 3, ვახო
– 3; თამა, ნონუცა – 10 + 10;
– შამპუნი, დეზოდორი, „გერკულესი“, სოსისი, ნათურა
– 15ლ
2. თმები – არტურა – 10ლ
3. სტატია – დასრულება, გადაგზავნა
4. ბანკის სესხი 17-ში!!!
5. პიჯაკი – ჩისტკა
6. მანქანა მოიკა – 10ლ, ბენზინი – 30ლ
7. 30 აპრილი – გათამაშება „რედისონ ბლუ“ – BMW – 10
000\$
8. 5 ლატარეა – ჯეკ-პოტი
9. ვალები: Mari – 50\$. ბანკი – 164\$. Ira-ira – 100ლ. მალა-
ზია – 137ლ

ყოველი პუნქტი შემდგომისგან სახაზავით გავლებული
სწორი ხაზით გამოყო. მეორე ფურცელი ამოხია, დაფიქრ-
და და წინა დღე-ღამის საუბრების შედეგების გათვალ-
ისწინებით, დღის „ტოპ-ოცეული“ ჩამონერა:

თბილისი: USA : Moskow: საბერძნეთი:

1. თამა-თამუნია 2. ლანა-ლანუშკები 3. ნონუციკა-ქუთა-
- ისი 4. ციცი- ვირტუალ-?!5. მაკა-მაკუნია 6. ქეთი-ქეთი
7. სოფკა 8. დეკა თურქეთი. 9. Webgirl-nia 10. დეიკუნა
11. გვანცუშკა

ახლები: + ნაშები:

12. Vika-likunia 16. Sex Angel +
13. Mipove-mipove 17. Aniulamazesia +
14. Sexminda 18. Mila-milashka +
15. Sexurtiobta 19. Lamborghini +
20. Chemi Pirobebia +

„ტოპ-ოცეულის“ უკანასკნელ სვეტში, პლუსით ასდო-ლარიან „პუტანებს“ აღნიშნავდა. ქალბატონების მთელ ამ კრებულს კი, ყოველგვარი ირონიის გარეშე, დიდი სიყვარულითა და გულის აჩუყებით, ჩემი ერთმორწმუნე მრევლიო, ეძახდა.

გეგმის შედგენას დავით ვაშაკიძე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ჩამონერისთანავე ყოველივე თითქოს თავისით იწყებდა აღსრულებას, – საქმე კეთებას, ვალები დნობას, მილიონ-ნახევრიანი ჯეკ-პოტის ღმერთი დათოს რიცხვების გათვალისწინებას და, ზოგადად, ყოფიერება სვლას. შემდეგ, დალამებისკენ, გაკეთებულ, მაგრამ ნუსხაში არშესულ საქმეებსაც ამატებდა და იქვე სქელი ფლომასტრით გულმოდგინედ შლიდა, რაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. მხოლოდ გადახაზვის შემდეგ ითვლებოდა საქმე დასრულებულად. იგივე ჩანერა-ამოშლის პრინციპი ვრცელდებოდა ქალებისა და ვალების ჩამონათვალზე.

შედეგად, კვირის ბოლოსთვის სია მთლიანად იცვლიდა სახეს, მხოლოდ უკანასკნელი, მე-9 – ვალების პუნქტი, დიდხანს გადადიოდა გეგმიდან გეგმამდე უცვლელად.

მაშ ასე, დღე დაიწყო. ყველამ, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფებმაც და „პლუს-ნაშებმაც“, დილის გამამხნეველი სასიყვარულო და, როგორც დათო თვლიდა, სექსუალური ენერჯის მატარებელი მესიჯები მიიღეს. საგანგებოდ დაურეკა დღის ყველაზე რეალურ პრეტენდენს „ოცნების გოგოს“ ნოდებაზე – 30 წლის თამა-თამუნას, რომელმაც გუშინლამინდელი გულმხურვალე ვირტუალური ფლირტის შედეგად სიაში მთელი ორი პუნქტით აიწია და გაუსწრო არა მხოლოდ 35 წლის ულამაზეს ნონუციკა-ქუთაისს, არამედ წინა ჩატების უპირობო ლიდერს, მაღალკისრიან ლანა-ლანუშკებსაც. გულთბილად, დაბალი, მოსიყვარულე ხმით მოიკითხა, თამუნია, გკოცნი ლოყაზეო, უთხრა და საღამოს შეხვედრაზე თითქმის დაითანხმა. ქუთაისელი ნონუციკას ჩამორჩენის და ზედიზედ ორი პუნქტით ჩამოქვეითების მიზეზი ქალის ბოლოდროინდელ პასიურობაში იმალებოდა, რამაც მამაკაცს გული გაუცია. დავითისთვის გაუგებარმა და ამიტომ ძლიერ გამაღიზიანებელმა, ნონუციკა-ქუთაისის მანიაკალურმა შიშმა რეალური სამყაროსადმი, ქალის გაჯინიანებამ „განსხეულების“ აქტის წინაშე, პაემანი, სავარაუდოდ, შაბათამდე გადადო. ეცლებოდა კი შაბათს და ექნებოდა კი „შარდენზე“ ნონუციკას წასაყვანი ფული?! ულამაზესი, მაგრამ დროებით დაკარგული 35 წლის ლანა-ლანუშკები, მიუხედავად მომხიბვლელი გარეგნობისა და საკმარისი გამბედაობისა, დროებით გამოეთიშა შეჯიბრებს. სავარაუდოდ, ის ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ უნდა გამგზავრებულიყო შვილთან ერთად რაიონში და აღარ პასუხობდა მამაკაცის სასიყვარულო მესიჯებს.

3. დიდი ფიასკო წითელ ბუდუარში

„პუტანების“ („ლამის პეპლების“) ასარჩევად ყველაზე ხშირად რუსულ საკომუნიკაციო ქსელს – Знакомства@Mail.ru-ს იყენებენ. აქ გემოვნებისა და გადამხდელუნარიანობის მიხედვით, ყველას შეუძლია აირჩიოს „გოგო ერთი ლამისთვის“ და მითითებული მობილურის ნომრით დაუკავშირდეს მას.

დავით ვაშაკიძის კვლევა-ძიების არეალს „ლამის პეპლების“ მიმართულებით დასაწყისში მაინც, არ წარმოადგენდა ქურა. ის, შეიძლება ითქვას, „ნაკრძალში ნადირობდა“ და, შესაბამისად, გურმანებისთვის განკუთვნილ „საკვებს“ ირჩევდა, ანუ „ელიტარულ პუტანებს“. ამგვარი სერვისი – „გოგონა გამოძახებით“, გულისხმობს მაღალი კლასის მომსახურეობას სახლში მორთმევით და, შესაბამისად, უფრო ძვირიც ღირს – 100-150 დოლარი. ასე გაიცნო და დაუმეგობრდა დათო: დაუვინყარ ვირტუოზულ დუეტს – „Anastasia and Violetta“-ს, ინდივიდუალურ მოთამაშებებს ფილიგრანული ტექნიკით – Ninka-ს, Mipove Mipove-ს, Vivulamazesia-ს, Sex Angel-ს, Sexminda Axlave-ს, Mila Milashka-ს, Sexurtiertoba-ს, Lamborghini-ს, Chemi Pirobebia-ს და სხვებს...

აღნიშნულ „მაღალი კატეგორიის“ ჯგუფში შეიძლება გამოვყოთ ორი ქვეჯგუფი: 1. ძვირიანი - „Ищу Спонсора“ – 100-150 დოლარი და შედარებით იაფი - „Предлагаю Интим за Деньги“ – 100-150 ლარი. პირველნი – მამაკაცის მიერ გაგზავნილი გაცნობის შეთავაზების შემდეგ, თვით ირჩევენ მამრს: ურთიერთობა გრძელდება Skype-ში, სადაც წარ-

მოებს საკმაოდ ვრცელი გასაუბრება; ვიდეო-კამერის მეშვეობით მამრის Face control-ი; მხოლოდ ამ ორ-სამდღიანი პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ „მონადირეს“ ეძლევა შანსი, შეხვდეს ლტოლვის ობიექტს და წაიყვანოს ის რომელიმე პრესტიჟულ კაფე-ბარ-რესტორანში; ბოლოს დგება სანუკვარი ხანაც. მეორენი – შედარებით დაბალი კლასის ქალები არიან და მობილური ტელეფონით ხანმოკლე გასაუბრებისა და ფასზე შეთანხმების შემდეგ მამაკაცი პირდაპირ ხვდება „პუტანას“ და ნარნარად მიაბრძანებს პირდაპირ სანოლში.

...დავით ვაშაკიძის „მდიდრული“ ცხოვრება სამსახურის დაკარგვასთან ერთად, მალევე დასრულდა. დადგა მეგობარ-„სპონსორების“ მიერ გამოჩენილი ქველმოქმედებისა და მოწყალების საკმაოდ უთავმოყვარეო ხანა. დავითის რომანტიკულ „ლამის პეპლებს“ „ბანალური ბოზები“ ჩაენაცვლნენ.

ცნობილია – სექსიც ისეთივე, ნარკოტიკულის მსგავსი დამოკიდებულებით ხასიათდება, როგორც ალკოჰოლი თუ ოპიუმი. ამას გარდა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, უთქვამთ ორპირელ წინაპრებს. დავითსაც „ოცნების გოგოსთან“ „რომანტიულ-პლატონური“ პაემნების შემდეგ ინტერნეტში უნებლიეთ შედარებით იაფი, 100-ლარიანი ბოზებისკენ გაურბოდა თვალი. დადგა მომენტი, როდესაც ნდომამ და უფულობით გამონვეულმა გულდანყვეტამ სირცხვილის შეგრძნებას სძლია...

...სულ 120 ლარილა ჰქონდა. დათომ გაიფიქრა: 10 ლარს – სიგარეტზე ვიკმარებ, 10-იც ჯიბეში უნდა მედოს...“. ყველაფერი დანარჩენი ამოაგდო და „პუტანასთან“ გაქანდა, რომელიც კლიენტებს ნაქირავებ ბინაში იღებდა.

საბურთალო. პატარა ოთახი... ნითელი, იაფფასიანი ხავერდით განყოფილი კედლები, მუქი იასამნისფერი ფარდა

დიდი წითელი გულებით და ვებერთელა მწვანე ყვავილებით. კრემისფერი კარადა, ადგილ-ადგილ პომადით დასვრილი სარკით, გვერდზე – პლასტმასის ყვავილები ქოთანში – შხამიანი, მუქმწვანე ფერის მეტრიან ლეროზე გვიმრა და გოგრის ზომის გასანთლული წითელი ვარდები... მიმოიხედა. თავი უხერხულად იგრძნო. სიჩუმე... „მე მოვანყვე, ხო ძაა-ან მაგარია?!“ ... „ჰო...კი, კი... ძაან...“, – მონყენილად შეაქო დათომ და გაიფიქრა – „წითელი ბუდუარი“. ტახტზე ჩამოჯდა.

თ., 25 წლის. ხორციან თეძოებზე შემოტყეცილი შავი გალაქული ტყავის შარვალი. შემომდგარა ვერცხლისფერ „პლატფორმებზე“, უშველებელი, 15-20 სანტიმეტრიანი ქუსლით. გამოჩრილი ფეხის თითები... გამოჭირვალე ზედა ვერცხლისფერი ვარსკვლავებით. შემოჭერილ ლიფს სადაცაა გაგლეჯს არაბუნებრივად ქათქათა ძუძუები, ჭრილის უფსკრულში იმალება ჯვარი. ფეხის ქუსლები – სუფთა, თუმცა საკმაოდ შემაგრებული. დგას, არ ინძრევა...

ჯიბეში ხელი ჩაიყო და მაგიდაზე ასი ლარი დადო. ფული უცებ გაქრა. შეუდგა „პრელუდიას“ ... ხელის გულზე, თითებზე ნაზად მოეფერა. მუხლზე ჩამოისვა... იასამნისფერი ნახევრად გადაცლილი ლაქი, დიდ ტუჩებზე იმავე ფერის საცხი... პრინციპულად არ ზასაობს!.. დათოს მეხსიერებაში სრულიად უადგილო, ახლახანს გაკეთებული ჩანანერი ამოუტივტივდა: „...კოცნა ხანგრძლივი „ზასაობით“, კაცისთვის ლამის სექსს უდრის! ამიტომ ის ქალი, რომელიც სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყისში პასიურობს და რატომღაც უარს ამბობს „ზასაობასა“ და აღერსზე, იღებს „მანუგეშებელ პრიზს“ – მის მიმართ „იმპოტენტ“ მამრს!“...

ქალი დგება, შლის ლოგინს და იხდის. ეძახის, – მოდი, გაიხადე... დათო ნელა წამოიწია, გაშეშებული ზურგი ძლივს

გამართა და სასონარკვეთილი სახით თეთრი ქვეშაგებით მორთული ტანჯვის ადგილისკენ გაემართა. ნელა გაიხადა... და...დაა...! ბრძენ და გამოცდილ ორპირელებს უთქვამთ, – თავიდან თუ ვერ შეხვედი „პავაროტში“, მერე ძნელია „რულის“ გასწორებაო... გაშიშვლდა, არასასიამოვნოდ შეამცივნა და... ავარია, კატასტროფა! ერთი სიტყვით – „დიდი ფიასკო წითელ ბუდეურში!“...

გარეთ გამოვიდა – დაბოლმილი, შერცხვენილი, დაცარიელებული. ციოდა, წვრილი წვიმა ცრიდა. გაახსენდა, რომ ბოლო ფული თ.-სთან დატოვა. წინ, მორიგ დასპონსორებამდე ერთი გაუთავებელი კვირა ელოდებოდა. ისეთი საზიზღარი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყველა მას უყურებდა. მთელმა ქალაქმა იცოდა – ამას არ აუდგაა-ა-ა! ხვალ რადიო, ტელევიზია, პრესა – მხოლოდ ამ სიახლით იქნება გადაჭედილი! უნდოდა, დაპატარავებულიყო და გამქრალიყო... სახლში მივიდა. არ დაეძინა. ადგა და საგულდაგილოდ დაიბანა. რვეული გადაშალა, ჩანანერი გააკეთა:

„მიყვარს პრელუდია და მომკალი, თუ გინდა... რა ვქნა?.. მე, როგორც გალანტური, რომანტიკული ეპოქის შვილი, „მეძავებსაც“ ზუსტად ისე ვექცევი, ვეთაყვანები და მივაგებ პატივს, როგორც უსაყვარლეს ქალს. რეალურად, იმ მომენტისთვის მე ის მიყვარს კიდევ და, ამიტომ არ მიწევს თამაში. „პუტანები“ კი ინტერნეტში გაცნობისას ჩემს სურათსაც არ ნახულობდნენ და პირდაპირ იწყებდნენ ფინანსური საკითხის მოგვარებას. რასაც სრულიად გამოვყვადი წყობიდან და სასტიკად მალიზიანებდა! როგორც ჩანს, დასრულდა „კაბირიას ლამეების“ მომხიბვლელი „მეძავების“ და მათი, მარკესის მსგავსად, დელგადინაზე სიგიჟემდე შეყვარებული მამაკაცების რომანტიული ეპოქა. ის დრო წავიდა. „ლამის პეპელა“ გახდა ისეთივე პრაგმატული, როგორიც 21

საუკუნე. მიუხედავად „პუტანების“ მხრიდან გამოხატული გარკვეული სიმპათიისა, ეს ქალები არათუ, არ ზასაობდნენ, არამედ მხოლოდ ფასდაკლებაზე თანხმდებოდნენ. ვერც ერთი ვერც ერთხელ ვერ დავიყოლიე უფასო სექსზე! ვერაფერს იზამ, XXI საუკუნე გაჰყვირის: „გაუმარჯოს საჟიმო რობოტებს! ხოლო მე, როგორც იმ ეპოქის შვილი, ამას ვერ ვეგუები და არც მინდა...“

ასე ტრაგიკულად დასრულდა დავით ვაშაკიძისა და „პეპლებ-პუტანების“ სიყვარულის ისტორია. დასრულდა სამუდამოდ!

დაძინებამდე ინტერნეტ-სივრცეს გადაავლო თვალი... განცხადება: „Deda Tereza-2010. სექსი, მინეტი – განდონით, 80 ლარი“. „ეჰ, ფინანსურმა კრიზისმა უკვე „პუტანებსაც“ დაარტყა... აი, დათოს ძველი და უსაყვარლესი მეგობარი Lamborghini-ც გამოჩნდა!

Lamborghini, Грузия, Тбилиси, Возраст: 25 лет, знак Зодиака: Водолей.

Здравствуйте, я Настенька. Это фото мое. Я хорошая, и мне не все равно с кем, как и где я встречусь! :-) Фейс-контроль, плиз! Пожалуйста, пишите те, у кого здесь фото, или хотя бы на почту шлите! Фото обязательно!

Познакомлюсь: с парнем в возрасте 31-60 лет

Кого я хочу найти: Серьезных, обеспеченных, умных, гигиеничных, не болтливых персон!

Serious, provided, smart, hygienic, not gossipy persons!

სერიოზული, შეძლებული, ჭკვიანი, ჰიგიენური, სიტყვა-ძუნწი პერსონები!

Цель знакомства: Дружба и общение. Предлагаю интим за деньги

Материальная поддержка: Хочу найти спонсора

Рост, см: 172. Телосложение: Обычное. Размер груди:

Маленькая

На теле есть: Пирсинг

Волосы на голове: Темные. Волосы на лице и теле: Почти нет от природы

Профессия: В детстве Настенька хотела стать пожарным. Но судьба что-то перепутала. И теперь Настенька не тушит, а зажигает! :-)

Любимые музыкальные направления: Электронная. По настроению

Знание языков: English, Русский, ქართული. Религия: Христианство

Меня возбуждает: Нежность...

В сексе я люблю: Безопасный секс. Традиционный, без анала и с презервативом во ВСЁМ!!!

Dato. 21 апреля в 03:38

Zdravstvui, Nastenka, milaia! xristos voskres! celuiu tebia. chto novogo? seichas otdixaesh ili..?

Lamborgini. 21 апреля в 03:40

Voistinu voskres!

Lamborgini. 21 апреля в 03:41

Arapers ar vaketeb, ar medzineba ratomgac shen rogor xar? ratom apetqdi im dges ase?

Dato. 21 апреля в 03:42

Ravii, cxovrebase viyavi gabrazebuli. xom ici, shen mainc miyvarxar

Lamborgini. 21 апреля в 03:43

Datka, gultadad gilocav da did adamianur bednierebas gisurveb! tu rame, dareke. kissss!

ნაწილი III.

სექსუალური რევოლუციის მედროშე

თავი I.

თოთალიტარული დეიდები

1. 2010 წელი – იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლი

დავით ვაშაკიძის ჯერ კიდევ ბავშვობიდან დაქვეითებულმა თვითმეფასებამ მკვეთრად აინია. მამაკაცი დარწმუნდა, რომ ქალებში საკმაო წარმატებით სარგებლობდა. გარკვეულწილად, მნიშვნელოვნების განცდაც დაიკმაყოფილა, რადგან მისი პუბლიცისტურ წერილებს ინტერნეტში ბევრი მკითხველი ჰყავდა. წინ წარმატებისკენ სწრაფვის უმაღლესი მწვერვალია ჩანდა...

სექსზე, როგორც სკანდალურ თემაზე წერა, არ გახლდათ დავით ვაშაკიძის თვითმიზანი. მისი აზრით, სექსუალური რევოლუცია არა სანოლში, არამედ, უმთავრესად, ცნობიერებაში უნდა მომხდარიყო – თუ ამ ყველაზე დახურულ, საგულდაგულოდ მიჩქმალულ სფეროში საზოგადოება გაიხსნებოდა, სხვა, ნაკლებად „სასირცხვილო“, მოძველებული მორალური ნორმები წარსულს ჩაჰბარდებოდა, ტაბუ დაიმსხვრეოდა და საზოგადოება შეძლებდა ჩქარი ტემპებით განვითარებას.

დათო-„ჯორდანო“ ძლიერ ჩაითრია ინტერნეტში მიმდინარე ქართული სექსუალური რევოლუციის თავისებურებებში. მასში მეცნიერულმა სანყისმა იფეთქა. განსაკუთრებული შესწავლის საგანს მის კვლევებში ქართველი ქალების მენტალობა და მორალური ნორმები წარმოადგენდა, რომელთა მიხედვითაც ისინი კაცთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობდნენ. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ვაშაკიძე, გულდასმით იწერდა დიალოგებს გაცნობის საიტებიდან, ატარებდა მათ სკრუპულოზურ კლასიფიკაციასა და სტრუქტურულ ანალიზს. შეიძლება ითქვას, ატარებდა დიდ მეცნიერულ შრომას უკვე დაწყებული ქართული სექსუალური რევოლუციის შესწავლის მიზნით. „ჩვენი საზოგადოების ჩამორჩენილობისა და რელიგიური ფარისევლობის გამო, მართალია, ნახევარი საუკუნის დაგვიანებით, მაგრამ მაინც, სექსუალური რევოლუცია შემოიჭრა საქართველოში, რასაც, დიდწილად ინტერნეტმა შეუწყო ხელი“ – ამტკიცებდა დავით ვაშაკიძე თავის ხელნაწერში „ორპირული ქრონიკები“. მეცნიერული შრომა კი ასე იწყებოდა:

„საქართველოში სექსუალურ ყოფაქცევასა თუ ნორმებზე მკაცრი საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი კონტროლის პირობებში, სწორედ ვირტუალური სამყარო გახდა ის სივრცე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია თავისუფალი სექსუალური ურთიერთობების დამყარება. კომპიუტერის მეშვეობით ქართველმა ქალებმა მოახერხეს საკუთარი სოციალურიდან გაქცევა, თავი დააღწიეს იმ წრეს, რომელშიც მათ ყველა იცნობს და, შესაბამისად, ადვილია მათი სექსუალური ცხოვრების გაკონტროლება, შემდგომი საზოგადოებრივი გაკიცხვით და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოში, გათხოვების პერსპექტივის დიდად შემცირებით. მხოლოდ ინტერნეტით თუ იქნებოდა

ყველასაგან დაფარული ამა თუ იმ ქალის და კაცის გაცნობა, რითაც ქართველი მდედრები თავს აარიდებდნენ საზოგადოებრივ მსჯავრს, „ბოზის“, „გარყენილის“ თუ „მრუმის“ სახელს. ინტერნეტმა გაარღვია ჩაკეტილი საზოგადოება, ასე დაიწყო საქართველოში სექსუალური რევოლუციის გამარჯვებითი სვლა! ივერიის ძირძველ მიწაზე სექსრევოლუციის აჩრდილი დაეხეტება!

ამრიგად, ჯადოსნურმა ვირტუალურმა სამყარომ თავისი უხილავი, ღვთაებრივი ხელით დაკრიფა ეს ქცნობისთვის განწირული ყვაილები საკუთარი წრის გამოფიტული ნიადაგიდან და გადარგო ახალი სოციუმის ნოყიერ მიწაზე, რათა ისინი კვლავ გაფურჩქნილიყვნენ, ტკბილი ნაყოფი გამოესხათ და მამრობითი სქესის ინდივიდებს შეეგრძნოთ ახლად დაბადებული ქალის მივიწყებული, გამაბრუებელი სურნელი!“.

მეტად უცნაური რამ, რაც დათომ გაცნობის რუსულ საიტებზე მოგზაურობისას აღმოაჩინა, ეს იყო შემდეგი სახის კონტრასტი: ყოველ ორ-სამ განცხადებაზე – „ერთი საათი – 100-150 ლარი“, „მევასება მინეტი მაგარ მანქანაში!“ ან „გავიცნობ მამაკაცს ერთჯერადი სექსუალური ურთიერთობისთვის“, მოდიოდა ერთი, სრულიად უადგილო – „ვეძებ წესიერ, მორწმუნე ადამიანს...“.

მკვლევარი ძლიერ ჩააფიქრა კითხვამ – რით უნდა აეხსნა ამ უკანასკნელი ტიპის განცხადების განთავსება „აღვირახსნილი“ სექსის მაძიებელთა თვალწინ? დეიდების მრავალადამიანი, დეტალური გამოკითხვების შედეგად მან დაასკვნა: სწორედ ამ საკომუნიკაციო ქსელებში შემოდის მარტოხელა მამრების უმრავლესობა და კდემამოსილი ქალბატონებიც ნადირობენ მათზე... აქვე დავით ვაშაკიძემ დაადგინა, რომ ამ, ერთი შეხედვით სრულიად გასხვავებული მოთხოვნების

მდედრებს – „პუტანებსა“ და „ნესიერებს“ – აერთიანებთ სანინალმდეგო სქესისადმი პრაგმატული მიდგომა – არც ერთი ამ ჯგუფის მანდილოსანი არ არის უანგარო. ეს ქალები რალაცას ითხოვენ სექსის სანაცვლოდ – ერთნი ფულს, მეორენი – საქორწინო ბეჭედს და ყოველივე ამას სიყვარულს ეძახიან.

მთავარი სიძნელე, რომელსაც დათო თანამემამულე ქალთა, მეცნიერის კლასიფიკაციით – „მართალი, იმავე ტოტალიტარული დეიდების“ „განსხეულების“ პროცესში ნაანყდა, ამ ქალბატონების მითოლოგიური „ნესიერების“ დაძლევა იყო. ინტერნეტკვლევების საწყის ეტაპზე მამაკაცი რამდენჯერმე შეხვდა მათ და დარწმუნდა, რა ადვილად დნებოდა და სადღაც უჩინარდებოდა „დეიდების“ პრევენციული თავშეკავებულობა. საკმარისი იყო ინტიმური გარემოს შექმნა, და „დაანონსებული“ ვირტუალური უმანკოება ინტერნეტშივე რჩებოდა, ხოლო თვალმინაბული ქალბატონები ისეთივე გატაცებით ეძლეოდნენ ვნებას, როგორც ყველა ჩვეულებრივი მდედრი. გაუგებარი და, ამდენად, გამაღიზიანებელი, დათოსთვის სწორედ ის იყო, თუ რატომ ჰქონდა მინიჭებული ამ მდედრების ცნობიერებაში სექსისადმი მოჩვენებით გულგრილობას ესოდენ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა?! პასუხი, როგორც მას სწამდა, ზედაპირზე ჩანდა – საზოგადოებრივი წნეხი! ტოტალიტარული საზოგადოება ხომ არწივისებრი გამჭრიახი მზერით მკაცრად ადევნებდა თვალს ცხოვრების ყველა სფეროს, რათა საფრთხე არ შექმნოდა არქაულ მორალურ ნორმებს, სარწმუნოებრივ აკრძალვებს, გამეფებულ თვალთმაქცობას, ტაბუს! საზოგადოებრივი კონტროლი – ერთი მხრივ, და მისგან გამომდინარე გაკიცხვის შიში – მეორე მხრივ, აიძულებდნენ ამ ქალბატონებს, ეხელმძღვანელათ ორმაგი

სტანდარტების ფარისევლური მორალით. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა დავით ვაშაკიძემ თავისი ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ასეთი ეპიგრაფი – „ტოტალიტარული დეიდები“ – წაუძღვარა: „ფარისევლობა – ეს არის ნილაბი, რომლის უკან იმალება ტოტალიტარული საზოგადოება!“.

ამ დროისთვის მამაკაცისთვის ცხადი გახდა, რომ მხოლოდ სექსი მას აღარ აკმაყოფილებდა. თანდათან ის მივიდა მტიცივე გადაწყვეტილებამდე, რადაც უნდა დაჯდომოდა, თავისი წვლილი შეეტანა „ტოტალიტარული დეიდების“ მარტოსულობის საპყრობილის ნგრევასა და უკიდევანო მოწყენილობის ბნელი ჯურღმულიდან ქალების დახსნაში. ასე აღმოჩნდა დავით ვაშაკიძე ეროვნული სექსუალური რევოლუციის მედროშეთა რიგებში.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მას არცთუ იშვიათად, განსაკუთრებით „ღვთაებრივი“ ღვანლის დასაწყისში, მოთმინება ღალატობდა. ქალბატონებთან გაცხარებულად მოკამათეს ხშირად ავიწყდებოდა კიდევ ბრძოლის მთავარი მიზანი – მათი ხსნა! „დეიდების“ ტოტალიტარული ცნობიერების ტყვეობიდან და იდეოლოგიად ქცეული სარწმუნოების მარწუხებიდან გათავისუფლების ჟინი იმდენად იტაცებდა მეცნიერს, რომ ის ხშირად ჩხუბს იწყებდა. როგორც დავითი თავის სამეცნიერო ნაშრომში წერდა, მე კი არ მძულს ეს ქალები, არამედ მათი მენტალიტეტი მაღიზიანებსო.

დიდი გულდანწყვეტის, ზოგჯერ ცრემლებისმომგვრელი მრავალი კამათის შემდეგ მან წესად გაიხადა სიმშვიდის შენარჩუნება, საქმისადმი სიყვარულით მიდგომა. ის ტიტანური მოთმინებით აგრძელებდა ოცდაოთხსაათიან საგანმანათლებლო ღვანლს ინტერნეტქსელებსა თუ რეალურ ცხოვრებაში.

სანამ სექსუალური ფრონტის გამოზრდმედილი მეზრ-
ძოლი გახდებოდა, მრავალი ომის, წყენისა და ტკივილის
გადატანა მოუხდა. ქვემოთ მოყვანილი საუბრებიც იმ
ხნისაა, როდესაც დათო ვაშაკიძე ჯერ მხოლოდ სწავლობდა
მედროშეობას და იძენდა მოსიყვარულე მასწავლებლის ჭემ-
მარიტ სიმშვიდეს. თუმცაღა, სიყვარულის სწავლას ბევრი
დრო და დიდი მოთმინება დასჭირდა. სანამ ამ საქმეში სრუ-
ლყოფილებას მიაღწევდა, დიდი გზა ჰქონდა გასავლელი.

რაც ეს ნაშრომი ინტერნეტში გამოვაქვეყნე, სულ მარტო
დავრჩი... ერთი ნუგეშიღა მქონდა – ქალებთან ურთიერ-
თობა და იმათაც მიმატოვესო. ამ სამწუხარო გარემოებას
კი ამგვარად ხსნიდა: ზოგადად ადამიანები, განსაკუთრებით
კი – ქალები თუ „დეიდები“ თავს ჩემ მიერ ჩანერილი დია-
ლოგების გმირებთან აიგივებენ და ეს არავის სიამოვნებსო.
სწორედ ესაა, ამ ხალხს ნერვებს რომ უშლის და აგიჟებსო.
არაღა ყველგან და ყველასთან გავყვირი, ეს ხომ მე ვარ, ჩემ-
ში თანაარსებობენ დავით ვაშაკიძე და cici-Virtual-იც, იამზე
„დეიდაც“ და „ტოტალიტარული“ ნონაც, „პუტანა“ ლიკაც
და „ოცნების გოგო“ ქეთრინიც, გეი ბექაც და ლესბოსელი
ნატაც! შენც არ მომიკვდე, არ უნდა ამ ხალხს სარკეში
ჩახედვა და თუ გინდა მოკალიო, სინანულით ფიქრობდა
მისი, რომანტიკულ აღმურში გახვეული ტვინი. ერთ ახლო-
ბელ ქალს ისიც კი უთქვამს, შენთან ურთიერთობისას არ
მტოვებს განცდა, რომ „პავლოვის ძაღლივით“ დაკვირვების
ობიექტი ვარ და ოდესღაც ჩემი საუბარი შენი „კვლევების“
საგანი გახდებაო. დავითის ნაშრომის ეს ნაწილი ასე სრულ-
დებოდა: „ვიცი, რამდენად საზიანოა ჩემთვის ამ ამბების
წერა... ვიცი ისიც, რომ რასაც ვაკეთებ და ვწერ, არ არის
დიდად ესთეტიკური, მომგებიანი ჩემთვის, მაგრამ ვიღაცამ
ხომ უნდა იტვირთოს სანიტრის, მენაგვის როლი, განმინდოს

ქუჩები დაგროვილი ნაგვისგან და ჭუჭყისგან... რა გაენწყობა, თუ გინდა ჯორდანო ბრუნობა, აუტოდაფე გარდუვალია!“.

...შუადღის ძილის დაგვიანებით გაღიზიანებული დათო „მართალი“, იმავე „ტოტალიტარული დეიდის“ ძიებას შეუდგა ... და აი, ისიც!

Iamze, 29 мая, Жен., 47. Грузия, Тбилиси.

Знак зодиака: Водолей. 13:17

Обо мне:

ვარ მშვიდი, განონასწორებული ხასიათის, უკონფლიქტო, ზომიერად პრეტენზიული პიროვნება, რომელიც აფასებს ადამიანში სიმართლეს და რომლისთვისაც ღირსება და თავმოყვარეობა ყველაზე მნიშვნელოვანია. არასოდეს მივაყენებ ადამიანს პიროვნულ შეურაცხყოფას და იმავეს ვითხოვ სხვისგანაც. მეზიზღება მატყუარა და უთავმოყვარეო ადამიანები.

Познакомлюсь:

с парнем в возрасте 51-60 лет

Кого я хочу найти:

ვინტერესდები და ვაფასებ სერიოზულ, ძლიერ, კაცობაზე, ინტელექტსა და ღირსებაზე პრეტენზიის მქონე მართლმადიდებლური აღმსარებლობის ადამიანებს, რომელთაც აქვთ პრეტენზია კაცობაზე და ღირსებაზე. მე ადამიანში პიროვნება უნდა დავინახო და, საბედნიეროდ, კარგად ვხედავ.

Цель знакомства: Переписка

Есть ли дети: Есть, живем вместе

Состою в официальном браке: Да, замужем, живем порознь

Телефон : Sony Ericsson K810

პირველი, რაც თავში მოუვიდა, იყო: „და ქალბატონო-დეიდა იამზე, კათოლიკემ რომ გაგჟიმოთ, არ ხართ თანახმა?! ჰაა?! თან მაგრად რომ გაგიდოთ, არააა?! მწვალებელთან ვერ გაათავებ, ვერა?! შე ქაჯოოოო!“... თავი შეიკავა და, როგორც ახლახან ასწავლეს, ჩხუბით და ყვირილით ადამიანს ვერაფერს შეაგნებინებო, სცადა, აეხსნა იამზესთვის მისი მსოფლმხედველობრივი შეცდომა:

Dato, 29 мая, 13:23

სალამი ქალბატონო იამზე! მე დათო ვარ და „მართალი რწმენის“ მიმდევარი ბოლომდე ვერ ვარ, არ წავა? და საერთოდ, 2 მილიარდამდე ჩინელს, 1 მილიარდ მუსლიმს, 1,5 მილიარდ ინდოელს და 1,5 მილიარდ კათოლიკე-პროტესტანტს რა გვეშველება, ყველას ჯოჯოხეთში უნდა გვიკრათ თავი? იქ ამოვიხრუკოთ სამწვადესავით?! :))) სადაური რასიზმ-ფაშიზმია ეს?!

Iamze, 29 мая, 13:24

გამარჯობათ. მე ვიგულისხმე სექტები და არა რელიგია.

Iamze, 29 мая, 13:25

იალოველები თუ მოგწონთ, ეგ თქვენი პრობლემაა, მე რა უფლება მაქვს, აგვიკრძალოთ, მაგრამ ჩემი უფლებაა, მენდომება თუ არა ისეთ ადამიანთან, რომელიც შვილს მოკლავს, მაგრამ სისხლს არ გადაუხსამს, ურთიერთობა. მე არც ფაშისტი ვარ და არც რასისტი.

დათომ გაიფიქრა, ტექნიკური დეიდაა, კლასიკურ მეთოდს მიმართავს, „სტრელკები“ გადააქვსო... ძალიან დაშაბლონებულია, ამასთან საუბარი არც ღირსო, და

მიატოვა იამზე. გადახედა ამ ჯგუფის ქალბატონების საქალაქდეს, წერილებს, საკუთარ ჩანაწერებს... „მთელი მსოფლიოს ქალები დაულაღვად ჟიმაობენ, ესენი ჯერ კიდევ ფიქრობენ! რატომ? – ისმის კითხვა“. „ტოტალიტარული დეიდების“ გვერდზე გააკეთა შემდეგი ჩანაწერი: „... შიში! „სამაგალითო“ „ტოტალიტარული დეიდების“ შიში! არქაული ქართული საზოგადოების გაკიცხვის შიში! ეკლესიური მსჯავრის დადების შიში! მოძველებული მორალური ნორმები და კვლავ შიში!“

კლიაან! – აზრთა სვლა შეწყვიტა მოულოდნელად მოსულმა იამზეს წერილმა. მუდამ „მართალ დეიდას“ „არ ასვენებდა ეშმაკი“, მას საუკუნეებისგან გაქვავებული არგუმენტები გაახსენდა და სურდა, ბეჭებზე დანარცხებული მტერი ანუ დავითი საბოლოოდ დაედუმებინა:

Iamze, 29 мая, 14:15

ბატონო დათო, 1 წამი ვერ გაჩერდით, ნუთუ პასუხმა არ დაგაინტერესათ??? თუ არ გაქვთ პასუხი???

Dato, 29 мая, 14:15

პასუხი?! მე თქვენი არგუმენტები ზეპირად ვიცი და ათასჯერ მაქვს გაგონილი! იელოველები მთელ მსოფლიოში დასაცინ, ნახევრად იუმორისტულ კონტექსტში განიხილებიან და მაქსიმუმ 1-3% შეადგენენ, მეც ასე აღვიქვავ მათ. მხოლოდ საქართველოში აღემატება მათი რიცხვი 10-15%-ს. და იცით რატომ? რატომ და ფაშისტმა მორწმუნებმა და მათმა კაცთმოძულე მოძღვრებმა საკუთარი პატივმოყვარეობით შექმნეს მათგან მტრის ხატი და გამოუცხადეს „საღვთო ომი“. მათ სჭირდებათ ეს, ისე უწინგური და ურწმუნო მასწავლებლები აღარავის ენდომება... ვინ უნდა წაგართვას რწმენა, ის, რაც გულში გაქვს, ვინ?!

გააფთრებული კონტრიერიში გაგრძელდა და მეტად დრამატული ხასიათი შეიძინა:

Dato, 29 мая, 14:18

რას ჩააცვივდით ამ იელოველებს, მათ გარდა მილიარდობით მორწმუნეა მსოფლიოში, თუ თქვენ ასე განყობთ? იელოველები იქეთ იყოს და ჩინელებს, ამერიკელებსა და ინდოელებს რას უშვებთ? მუსლიმებს? (ცეცხლში, არა? :)))

ამჯერად იამზე გაუჩინარდა, დათოს ვარაუდით, ნაზ „ტოტალიტარულ დეიდას“ მოულოდნელად სუნთქვა შეეკრა და ხუთვები დაენყო. მხოლოდ ერთ საათში შეძლო გონს-მოსულმა იამზემ ხმის ამოღება:

Iamze, 29 мая, 15:15

უკაცრავად, მაგრამ თქვენი და ჩემი ტვინი სხვადასხვანაირად არის მონყობილი და გთხოვთ, მეტი აღარ მომწეროთ.

მტერმა კაპიტულაცია ამჯობინა, შეტევის გაგრძელებამ აზრი დაკარგა. დამშვიდობებამდე მაინც დაარიგა:

Dato, 29 мая, 15:17

მე არც ვაპირებდი! უბრალოდ, ჩემი ტვინი ნორმალურადაა მონყობილი, ისე, როგორც მთელი მოაზროვნე კაცობრიობის, ხოლო თქვენი – სიბნელიდან გამოსვლას მოითხოვს და მსურდა, დაგხმარებოდით. ნება თქვენია... უიმედო სენი არ იკუთრნება, სამწუხაროდ, ისევ დამავინყდა...

2. ...და კვლავ პოლიგამიის რეციდივები

დათომ საათს დახედა. დღის ოთხი საათი სრულდებოდა: „ეჰ, ცხოვრება გრძელდება, მიდი, ბიჭო, გაიღიმე, გაიღიმე“ – თავი გაიმხნევა, კომპი გამორთო და ძილს მიეცა. სულ ერთი-ორი საათი ეძინა, საღამო დგებოდა. ყოველი შეთხვევისთვის მაინც გაიპარსა, გამოენყო... არც რაიმე საქმე ჩანდა, არც სადმე წასასვლელი... გადავხედავ „მრევლს“ და მერე გავალო. ისევ მობეზრებულ კომპიუტერს მიუჯდა. ღამისკენ მონყენილობა, მარტოობის განცდა მატულობდა, რაც, თავის მხრივ, აუცილებელს ხდიდა, თუნდაც მოჩვენებითი წარმატების მიღწევას და ამ გზით თვითშეფასების ამაღლებას. დათოს გული ვირტუალური ქალების ყურადღებით ხარობდა! თანდათან გარეთ გასვლა მიავიწყდა და დავით ვაშაკიძე ისევ ქალების ვირტუალური სამყაროდან რეალურ ცხოვრებაში გადმოსახლების მძიმე ღვაწლს მიეცა.

ჯერ Yahoo-ს ფოსტას გადახედა. შემდეგ Facebook-ის შეტყობინებებს... დღეს არ იყო პროგრესული კომენტარებისა და ხანგრძლივი, ფლირტის ელემენტებით შეზავებული ინტელექტუალური საუბრების ხასიათზე. Одноклассники-თ არ სარგებლობდა. Facebook-ისვე ნევრთა მონოდებით, უპირატესად კი პირადი პატრიოტული მოსაზრებებით, „ნაშებთან“ ურთიერთობის ყველაზე პოპულარული საიტი – Одноклассники, ანუ „ოდნოები“, როგორც მას მოფერებით საიტის ბინადარნი ეძახდნენ, აგვისტოს ომის შემდეგ „ფეეს-ბეშნიკური“ პონტიაო, თქვა და ერთგვარი გულდანყვეტით, მაგრამ დაუნდობლად ამოშალა სიიდან, გულიდანაც. „ოოო, ეს მოსკოველი Webgirl-nia მაგარია! ეტყობა რუსუ-

Salikuna: „გოიმებმა და თანამდებობისთვის შეუფერე-ბელებმა არ მომწეროთ!!“

Moli: „აბა, სოფლებმა და გოიმებმა დაახვიეეეეეთ!!!“

29 წლის გორელი Vivien Ni იქით ემუქრებოდა კაცებს:
„psixichka, proxodila kurs lechenia v psixbol'nice“;

18 წლის Lenusia Angel-ი კი ერთობ სპეციფიკური სექსის სახეობისკენ უბიძგებდა გულმოდგინე მამრებს:

„Virt. minda Virt! SkypesHi HegxvdebiT... Ukameroebma ar SeiwuxoT Tavi!“;

ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადადიოდა 28 წლის შიშველი Nefertiti:

„მომწერეთ მხოლოდ, ვისაც გაქვთ ინცესტის გამოცდილება. შეგიძლიათ მომიყვეთ და მანახოთ ამის სურათები. მაგრად მიხდებაა ინცესტზე და შეგხვდებით“;

არანაკლებ ორი მოზრდილი მამრისა ან ჰა-ჰა, დაწყვილებულ მამრისა და მდედრისა ესაჭიროებოდა სრული ბედნიერებისთვის 31 წლის Busa Busunias:

Познакомлюсь: с парнем в возрасте 51-60 лет

Кого я хочу найти: Пару М+М, М+Ж, другим и не звонить ;

ამასობაში კი, როსტოველი Kleoptra თბილისელ გივის აშაყირებდა:

Гиви, Тбилиси, 38 - Могу быть спонсором Kleoptra, Ростов, 19 - А что так не дают :)))

აქვე იყვნენ დათოს ძველი ნაცნობები: 16 წლის Lovegirls

და 18 წლის Kuskusa Kiki . ნახევრად შიშველი ქალიშვილები გამომწვევი პოზებით, როგორც გაუშლელი, ნორჩი ყვავილი ფუტკარს, ისე იზიდავდნენ 50-60 წლის მამაკაცებს შემდეგი მაცდუნებელი მოწოდებით:

„ვარ ლამაზი, სექსუალური გოგო. მინდა მყავდეს მუდმივი პარტნიორი. გამოველაპარაკები და შევხვდები მხოლოდ მას, ვინც ბალიზე ჩამირიცხავს 10 ლარს. ჟმოტებმა და ნუნურაქებმა თავი არ შეინუხოთ!“

სანამ გამოცდილი „მონადირე“ გახდებოდა, დათომაც ჩაყლაპა ეს სატყუარა. ადვილი წარმატებით დაჰიპნოზებულმა, გადარიცხა თანხა და პასუხად მიიღო მხოლოდ დუმილი... დავით ვაშაკიძე გადააგდეს!

ერთი სიტყვით, სასიყვარულო ურთიერთობები Знакомства@Mail.Ru-ზე დუღდა და გადადუღდა! დავითი შეუდგა, როგორც თვითონ ეძახდა, „აბიტურიენტების აყვანას სიყვარულის აკადემიის ახალი ნაკადისთვის“. ბოლო დროს ფრთხილობდა, სურათს ნაკლებად ენდობოდა, – „ბიჭო, ინტერნეტში ერთს ნახულობ, პაემანზე კი სულ სხვა მოდისო! გეჩითება გოიმი, სად გინდა ნახვიდე, ხალხი რას იფიქრებსო?! არადა ერთი კვირა ეხვეწე, სიყვარული უხსენი, როგორ გინდა, უცებ მოტეხო?!“ – გულისწყრომით ყვებოდა ხოლმე დათო უკანასკნელი ოცნლეულის ხიფათიან ისტორიებს სასწაულებრივად გადარჩენილ მცირერიცხოვან მეგობრებთან.

სწრაფი შედეგის მოლოდინით, დათომ საიტის შედარებით ასაკოვანი ბინადარნი გადაათვალიერა და 44 წლის Asmath-ზე შეჩერდა. „ოცნების გოგოს“ ვერ ქაჩავს, მაგრამ ნავაო, გაიფიქრა. ეს გახლდათ კარგად ჩაცმული, საკმაოდ მოხდენილი ქალი და რაც მისთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო – შეძლებული, წარმატებული და კარგმანქანიანი.

სწორედ იმხანად აღმოაჩინა დავით ვაშაკიძემ საკუთარ თავში ფრიად გასაკვირი ფენომენი – ამგვარი ქალები ძლიერ აღაგზნებდა, მათზე გამარჯვება განსაკუთრებით სწყუროდა! იმავდროულად, მისი ლტოლვა მოკლებული იყო ყოველგვარი მატერიალური გამორჩენის სურვილს, ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო მდედრის გარეგნობაც კი. მას კარგმანქანიანი ქალის მხოლოდ გაჟიჟვა სურდა და ასე მისი დამარცხება, საკუთარი „მე“-ს დამკვიდრება. სავარაუდოდ, დავით ვაშაკიძის ეს მისწრაფება ბავშვობიდან გადმოყოლილი წარმატებული და დიქტატორი დედის დაძლევის კომპლექსი უნდა ყოფილიყო.

დათომ საკმაოდ მიმზიდველი 44 წლის **BusinnesWoman Asmath**-ის ანკეტას გადახედა:

Материальное положение: Хорошо зарабатываю/обеспечена...

Автомобиль: Infiniti FX 35...

Телефон: Nokia N 95 8 GB...

„საინ-ტერე-სოა!“, – გაიფიქრა და მისწერა. **Skype**-ით გაიცნო, შედგა „ურთიერთფეისკონტროლიც“: ტახტზე ზის... ღრმად ამოჭრილი მაისური, ნახევრად მოშიშვლებული მკერდი, მკერდის ამოზნექილი თაღები, შემოტყეცილი ჯინსი, ფეხები... აენტო, იქვე მიხვდა – პერსპექტიულია! მაგრამ მოგვიანებით გამოჩენილ ოპერატიულობას მაინც არ ელოდა! მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა. მეორე დღესვე, 30 მაისის საღამოს, 9 საათზე „ქორწინების სახლთან“ შეხვდა. **Asmath**-მა იქვე, გრიბოედოვის ძეგლთან მიაყენა თავისი „ჯიპი“, რომელიც, რატომღაც, **Infiniti FX 3**-ის

ნაცვლად შავი Lexus-ი აღმოჩნდა, გადაჯდა დათოს Golf-4-ში, იყიდეს ნამცხვრები და მივიდნენ დათოსთან სახლში. გადმოსვლისას არც კრინტი დაუძრავს და არც წინააღმდეგობა გაუწევია, როგორც ამას ჩვეულებრივ ყველა სხვა ქალი ცდილობდა ხოლმე, შევიდნენ, აადუღეს წყალი, შეუდგნენ ყავის სმას და... გაჩაღდა სასტიკად ხარბი, გაუმაძღარი ზასაობა! მოკლედ, მონდომებული Asmath-ი ან – „ასმათუნუშკები“ ბევრი პრანჭვის გარეშე დათოს მკვლავებს ჩაჰბარდა და ბევრიც მოიგო! „ტოტალიტარულ დეიდა“ იამზეზე გაბრაზების მთელი ენერგია დათომ Asmath-ასმათუნუშკას სიყვარულისკენ მიმართა და სექსში ამოანთხია! როგორც დავითმა დაითვალა, დამქანცველი მატჩი – დათო-Asmath 1:3 ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო – გაიმარჯვა სიყვარულმა და გაგებამ! შემდეგ ქალი მოახტა თავის „ჯიპს“ და გაუჩინარდა. „აი, რას ნიშნავს დამოუკიდებელი, საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი!“, – აღტაცებით ფიქრობდა დავითი. „...ამაყად, ჩემს შინაგანანესში ჩაურევლად ანუ „ტვინის მოტყვნის“ გარეშე, თვითონაც ტვინშეურყვნელად დარჩენილი, თავისუფლებამოყვარე ასმათუნა მოაჯდა თავის Infiniti FX 35 თუ Lexus 3500-ს და დაანვა სახლისკენ! მეც ტვინგაუბურღავი დავრჩი, არავის უკითხავს, – დათო, ხომ გიყვარვარ, ხომ არ მილაღატებ? ორივეს ასე მოგვწონდა, მხოლოდ სექსუალური ლტოლვა და ვნება ცოცხლობდა ჩვენში, ხოლო გონება ორივეს უმანკო ანუ „ცელკა“ დაგვრჩა“.

...დღე დასრულდა. მიწოლილს კვლავ თავისი საყვარელი „ოცნების გოგო“, ულამაზესი ლანა-ლანუშკები წარმოუდგა. ტელეფონი აიღო, გადახედა ძველ გზავნილებს. მონახა ერთი კვირის წინ ლანასგან მიღებული შეტყობინება: „დათკა, შაბათ-კვირას არ ვიქნები, რემონტის საქმეებზე“

დავრბივარ. ორშაბათს გნახავ. ლანა“. „დღეს უკვე სამშაბათია“, გაიფიქრა დათომ და ახალ მესიჯს მუქარაც დაურთო: „ლანა, სააად ხააარრრ! გადამაგდეე?! პასუხი გამეცი, ვაა! გავბრაზდები იცოდდე! გაიგეეე?! მაინც გკ. დათო“. უკვე ჩაძინებულს, მობილურზე მიღებული შეტყობინების ხმა ჩაესმა, აღარ უნახავს, დაეზარა.

დილით, წამოდგომამდე ტელეფონი აიღო – „ვაშაა, ჩემი „ოცნების გოგოს“, ლანუშკას მესიჯია!“. გახსნა და გაქვავდა! შეტყობინება იუნყებოდა: „ბატონო დავით, მე ლანას ქალიშვილი ვარ, ნუ ღიზიანდებით... დედას მანქანა დაეჯახა. ის დაიღუპა. კვირას დავასაფლავებ. თქვენ ვინ ბრძანდებით? რა გნებავთ?“.

დათოს ცრემლი მოადგა, დაიბნა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო... სიგარეტს მოუკიდა, ერთი პირობა იფიქრა, აღარ ვუპასუხებო, მაგრამ მაინც მისწერა: „უკაცრავად, მაპატიეთ... თანაგიგრძნობთ“. სულ მოკლე ხანში მოვიდა საპასუხო გზავნილი: „არა, ბოდიში რა საჭიროა. ალბათ, დედიკოს ახლო მეგობარი ბრძანდებოდით, ისე დედიკო უცხოებს არ აძლევდა დარეკვის უფლებას. ძალიან ვწუხვარ, ასე რომ გაგიცანით. ბოდიში“. დათოს გული ჩასწყდა. დარეტიანებულივით დადიოდა. „ალბათ მთელი ცხოვრება ჯერ ნარკომან თუ ლოთ ქმარს მიუძღვნა, შემდეგ შვილი... ძლივს მოიცალა საკუთარი თავისთვის, ბოლო კვირას გადანყვიტა შეხვედრაზე წასვლა... და აი, ბედისწერა, განგება...“.

დათოს ღამის სიზმარი: „ოცნების გოგო“, ულამაზესი ლანა-ლანუშკები გადადის ქუჩაზე... მუხრუჭების ღრჭი-ალი... სხეულთან შეჯახების ყრუ ხმა... როგორც ქარმა ფურცელი, ისე ააფრიალა დარტყმამ ულამაზესი ლანა-ლანუშკები... ოცნება სისხლით შეიღება... ღამეა – დავით ვაშაკიძე, მორიგი პაემნის შემდეგ შინ ბრუნდება, ვინრო

დერეფანში მას არმატურის „დრინით“ ჩასაფრებული ლანას ქალიშვილი ელოდება...”

თავი II. ივერიის ძირძველ მიწაზე საქსრავოლუციის აჩრდილი დაეხეთება!

1. 2011 წელი – იდეალური სახელმწიფოს“ სათავეებთან

„სალამი, საყვარელო ლიზიკუნა (მარიშკა, ქეთუსია, ნანიტა, ტასიკუნა და სხვა...)! გადასარევი გოგო ხარ, შესანიშნავი! სვეტსკიც! დავეციი! გოცნი ლოყაზე და ცხვირის კონჩიკზე ანუ კენწეროზე! გაილიმე პატარავ, გაზაფხულია, გაილიმეეე! დათო, საუკეთესო სურვილებით.“ – ამგვარად ჟღერდა მოკლე, მაგრამ დამაინტრიგებელი მისაღმების ტექსტის უკანასკნელი მოდიფიკაცია, რომელსაც დავითი copy-paste-ის დახმარებით დღეში ორმოცდაათზე მეტ ქალს უგზავნიდა. მისი მხრიდან ეს არც თვალთმაქცობა გახლდათ, ხშირად – არც ქალის დაბმის მცდელობა, უბრალოდ, თავს ვალდებულად თვლიდა, თავისი განწყობა სხვებამდე მიეტანა, გადაედო მათთვის. ხარობდა, რადგან ამ მისაღმებით ვიდაც უცნობ ქალს ათბობდა, გულს უამებდა. თვითონაც ძლიერ სიამოვნებდა სხვისი, თუნდაც წამიერი

ღიმილი – ასეთი იყო ბოლო დროს ამ თითქოს უაზრო გზავნილების მოტივი და მიზანი.

სასიყვარულო ბარათები მიფრინავდა არა მხოლოდ თბილისში და საიტებზე თბილისელებად მოხსენიებულ გორელებთან, ფოთელებთან, ქუთაისელებთან თუ ბათუმელებთან, არამედ მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ, საზღვარგარეთ უკეთესი ხვედრის საძიებლად გადახვენილ ქართველ ქალებთან. სამშობლოს და მშობლიურ კაცებს მონატრებული ქალბატონები აღელვებით კითხულობდნენ დავით ვაშაკიძის ვნებიან წერილებს რუსეთში, უკრაინაში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა თუ ამერიკაში, ჰოლანდიასა თუ გერმანიაში, თურქეთსა თუ საბერძნეთში, ერთი პერუელი ქართველი გოგოც კი ჰყავდა „დატყვევებული“. სიყვარულის სიუხვის გამო, პერიოდულად ვერ ითმენდა და, მიუხედავად აბსოლუტური უპერსპექტივობისა, ინგლისურის არცოდნისა, ისე, უბრალოდ, მათ მიერ გამოჩენილი ყურადღების გამო, ეგზოტიკური ქვეყნების გოგონებსაც პასუხობდა მოკლედ: „Hello Janet (Muniru, Grace, Sarah, Eunice...da sxva)! Tanks! Kiissss! Do you speak Russian?“. მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, დათო ესიყვარულებოდა Tagged-ის ფილიპინელ და ანგოლელ, განელ, კენიელ და ნიგერიელ, მონღოლ თუ ჩადელ 20-25 წლის ქალიშვილებს. რამდენიმე 40-55 წლის მგზნებარე ბრაზილიელი, ეკვადორელი და პორტუგალიელი დეიდაც კი ჰყავდა სიაში.

შეიძლება ითქვას, დავითი მთელ მსოფლიოში აფრქვევდა სიყვარულს და სითბოს, რითაც დიდი წვლილი შეჰქონდა, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნების ქალბატონების თუნდაც ვირტუალურ ბედნიერებაში. ხოლო წამყვან სამუშაო ობიექტად, ხელმისაწვდომობის გამო, მაინც სამშობლო მხარე რჩებოდა. ასე რომ, თუ დამატებით გავითვალ-

ისწინებთ დავით ვაშაკიძის პრაქტიკულ მოღვაწეობას და საგანმანათლებლო ღვაწლს ქართველი ქალების მასებში, მას ამაყად შეეძლო ეთქვა – ქართულმა სექსუალურმა რევოლუციამ ჩემს კისერზე და არა მხოლოდ კისერზე, გადაიარაო!

ჩვენი ღამის საუბრებისას ის გატაცებით მიყვებოდა თავის გეგმებზე: „სექსუალური რევოლუცია, ჩემო ფუკო, აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ პირველი ეტაპია ჩვენი ბრძოლისა. ის გახსნის ჩაკეტილ საზოგადოებას, გაათავისუფლებს მას „უკმარისობით“ გამოწვეული აგრესიისგან ხალხი დაშვიდდება, დაინწყებას მიეცემა ფარისევლობა და მითოლოგიური აზროვნება – ასე დაინწყება ჩვენი გადარჩენა, ჩვენი ხსნა, თუ გინდა – გაბრწყინებაც! მხოლოდ ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდეგ გახდება შესაძლებელი მეორეზე გადასვლა – გახსნილი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც შექმნის წარმატებულ, ცივილიზებულ საქართველოს! ეს გზა ევროპასა თუ ამერიკას გავლილი აქვს და „ველოსიპედის გამოგონება“ აღარაა საჭირო ... საბოლოო მიზანი კი იდეალური სახელმწიფოა, რომლის კონტურები უკვე გამოიკვეთა ჩემს წარმოსახვაში! ერთს გეტყვი და მთავარს მომავლის საქართველოს შესახებ: მასში მზეს მზე ერქმევა, მთვარეს კი – მთვარე! სიმართლეს – სიმართლე და ტყუილს – ტყუილი! ერისთვის ყველაზე ღირებული თავისუფალი ადამიანი იქნება და არა დემიურგი! ოქროს არ ექნება დიდი ფასი, ხოლო ფულის ერთეულად ბედნიერება და სიყვარული, განათლება და კეთილი განწყობა, იდეალიზმი და რომანტიზმი დანესდება. მიმოქცევაში იქნება: 1000 „ბედნი“, „500 სიყვა“, 200 „წიგნი“, 100 „ღიმი“, 50 „იდეალი“ და 25 „რომანტი“, ხოლო ხურდებად კისკისის, სიცილისა და სიხარულის რკინის

ფული აჩხრიალდება! მე ამ ჭეშმარიტად გაბრწყინებული საქართველოს შვილი მინდა ვიყო და ავაშენებ კიდეც მას!”

...სანამ იდეალურ სახელმწიფოს ააშენებდა, დავით ვაშაკიძის მშფოთვარე ტვინი სექსუალური რევოლუციის ფუნდამენტურ მიმართულებებსა და საპროგრამო დოკუმენტებს ამუშავებდა. თავის „ორპირულ ქრონიკებში“ ის წერდა:

„მაშასადამე, ჩვენში მამაკაცები ქალს აღიქვამენ, როგორც დასაპყრობ, მეორეხარისხოვან, „გასაჟიმ“ ობიექტს და შედეგად, ქართველი კაცი ფაქტობრივად სექსუალური აქტის დამთავრებისთანავე იწყებს ფიქრს ახალ „ხორცზე“. სწორედ ნეგატიური გამოცდილების გამო ქართველი ქალი ძნელად თანხმდება სქესობრივ აქტზე!

დასკვნა: არქაული ქართული საზოგადოება დღესაც კაცისა და ქალის სასიყვარულო ურთიერთობას აღიქვამს როგორც ომს, რომელშიც გამარჯვებულია აგრესორი, მონადირე – მამაკაცი და დამარცხებული – დამცირებული მსხვერპლი – ქალი. ურთიერთობის ამგვარი აღქმის შედეგად, წინასწარ ბრძოლის წაგებაზე ორიენტირებული ქალი ცდილობს, რაც შეიძლება გვიან აღმოჩნდეს მტრის ხელში და შეძლოს მომავალ კაპიტულიაციაზე მეტი დათმობები გამოსტყუოს გამარჯვებულს. მამაკაცი, თავის მხრივ, ალყაში აქცევს მიუდგომელ ციხესიმაგრეს და უტევს, რათა საბოლოოდ მიიღოს კონტრიბუცია და შემდეგ, ხარკის სახით, დამარცხებულს გადასახადი დაუნესოს. გარდა წმინდა საომარი მოქმედებებისა, თავგამოდებულ ბრძოლავაჭრობაში ორივე მხრიდან როგორც ეს ნამდვილ სამხედრო კონფლიქტს ახასიათებს, ჩართულია ნათესავ „დესპანთა“ კორპუსი და სამეგობრო წრის „სახალხო“ დიპლომატია.

სექსის ომისმაგვარ აღქმაზე, ამ უთანასწორო ბრძოლაში

მხოლოდ ერთი გამარჯვებულის არსებობაზე მოწმობს თუნდაც აქტის აღმწერელი ქართული სიტყვები: მი-თხოვება, გა-თხოვება, ხმარება, მი-ცემა, შე-ცემა, შეც-დენა, გაჟივმა, მო-ტ.... და სხვა. ყველა ჩამოთვლილი სიტყვა გამოხატავს მხოლოდ ერთ, ტოტალიტარული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ აზრს და მიმართულებას: ერთი მხარე – მამაკაცი – რჩება მოგებული, ხოლო მეორე – დედაკაცი – დაზარალებული. ამ „მონათმფლობელურ“ აქტს კაცი სჩადის და მხოლოდ ის იღებს სიამოვნებას, სარგებელს, ქალი კი მორჩილად ნებდება განაჩენს.

მაგრამ სექსი არ გახლავთ გარყვნილი ფანტაზიის ნაყოფი, ის მუდმივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა – „ძირითადი ინსტინქტი“. ყოველივე ზემოყვანილიდან ლოგიკურად გამომდინარეობას კითხვათა კითხვა: რა გამოსავალი მოძებნოს ქართველმა ქალმა, რათა დააღწიოს თავი მოჯადოებულ წრეს, ერთი მხრივ, მუდმივად გრძობდეს თავს სექსუალური ლტოლვის ობიექტად, იკმაყოფილებდეს ნარცისიზმის სურვილს, ჰქონდეს მამაკაცთან მყარი, ხანგრძლივი ინტიმური და ემოციური კავშირი და, მეორე მხრივ, ის, კვლავ და კვლავ, არ დარჩეს მიტოვებული, გულგატეხილი? ქალის ამ ყველა შეუთავსებელი მოთხოვნის ერთდროულად თავმოყრა საქართველოში მხოლოდ ვირტუალურ სამყაროს ძალუღს. ქართველმა ქალებმაც შესაბამისი პასუხი გასცეს დასმულ კითხვას – ინტერნეტიი-ი-ი!

საქართველოში ქალის და კაცის ურთიერთობამ საკმაოდ მახინჯი ფორმები მიიღო, რადგან აქ გაბატონებული ფარისევლური მორალით ადამიანები ერთს ფიქრობენ, მეორეს ამბობენ და მესამეს აკეთებენ. აქედან გამომდინარე, ქალებს საქართველოში, როგორც ყველგან, ფიქრით – მაგრად უნდათ! იძულებულნი არიან თქვან, რომ სრულიად

არ უნდათ და საერთოდაც ეს თემა არ არსებობს, ბასტა! რა ხერხს მიმართავს ქართული საზოგადოება, რათა გადაწყვიტოს დილემა? აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევა წარმოებს ისევე ნაცნობი მითოლოგიზირების მეთოდით: იბადება მითი ქართველი ქალების უპრეცედენტო წესიერების, სინაზის, უმანკოებისა და კდემამოსილების შესახებ. საქმეში ერთვება ორმაგი მორალი: ქალები ღიად აკეთებენ და იქცევიან ისე, როგორც სხვას ანუ საზოგადოებას სურს და მკაცრადაც მოითხოვს; ფარულად – მიმართავენ ხელოვნურ თვითდაკმაყოფილებას, ან მალულ ინტერნეტგაცნობას და სექსს უცხო სოციუმის მამაკაცებთან. ფარისევლური მითის საშუალებით წინააღმდეგობა კვლავ უმტკივნეულოდ დაიდგია უბინობისა და სექსის, მრუშობისა და უმანკოების შერწყმით! მაგალითად, როგორც ცივი, სველი ცეცხლი, წყლიანი ზეთი, ცოცხალი მკვდარი. შედეგად, წარმოიქმნება სუროგატი, ის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ასეთივეა სიყვარულისა და სექსის სუროგატი. ცრუ და უფერული, უსიცოცხლო.

მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობებისა ტოტალიტარული საზოგადოების მხრიდან თავისი მოძველებული მორალით, ხელოვნური დოგმებითა და მრავალი ტაბუთი, ქართველმა ქალმა გაბედა და ინტერნეტის მეშვეობით გაიჭრა გაუკონტროლებელი, თავისუფალი სქესობრივი კავშირების ასპარეზზე! ახლო მომავალში ნაფტალინიანი სიტყვა – „საყვარელი“ გაქრება და Boyfriend-Girlfriend-ის ცნება ქართულ რეალობაშიც შემოაღწევს. საზოგადოება ნორმალურად აღიქვამს სექსს, ის გაიხსნება და განვითარდება! წარსულს ჩაბარდება დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული აგრესია, ხალხი დამშვიდდება, დავინწყებას მიეცემა ფარისევლობა და მითოლოგიური აზროვნება!

სიყვარული ნამდვილად გადაარჩენს საქართველოს!“.

2. ოცნების გოგო

ესოდენ ინტიმური დეტალების გამხელის შემდეგ, ცხადია, მკითხველს აინტერესებს, როგორია ნახევარ საუკუნის გადაცილებული დათო („ჯორდანო“) ვაშაკიძის ოჯახური მდგომარეობა. ცოლი ჯერ კიდევ 27 წლისამ შეირთო, როგორც თვითონ ეგონა, დიდი სიყვარულით. გოგო ორპირში ჩაიყვანა, სადაც მშობლებმა პომპეზური ქორწილი გადაუხადეს და იქვე ახალთახალი ავტომობილი „ვოლგაც“ აჩუქეს. მანქანა მეორე დღესვე, ახლად შერთული ქალის გასეირნებისას დაღენა და მესამე დილით წყვილი საქორწინო მოგზაურობაში მოსკოვს გაემგზავრა... დღესასწაულის შემდეგ დადგა ოჯახური ცხოვრების „სამუშაო დღეები“. ახლა უკვე ცოლქმრულ ცხოვრებაში დავითის უკიდურესმა ინფანტილიზმმა და ნარკოტიკებისადმი ავადმყოფურმა ლტოლვამ იჩინა თავი. დათო, როგორც ეს მკეთებლებს სჩვევიათ, დროდადრო ჩერდებოდა, თავს ანებებდა, მერე ისევ იწყებდა... ამასობაში ორი ვაჟი შეეძინათ – სანდრო და ვახო. დავით ვაშაკიძე მოსკოვს გაემგზავრა და ბაკულების სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში ანესტეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის სპეციალობით საკანდიდატო დისერტაციაზე ნარმატებით დაიცვა, მაგრამ წამალმა თავისი ქნა – დათო წამალზე შეჯდა და საბოლოოდ განარკომანდა. უკან, საქართველოში დაბრუნებულმა სმას უმატა. დაიწყო სსრკ-ის დაშლა, გამოცხადდა საქართველოს

დამოუკიდებლობა – ყველაფერი აირია... სიცივე, უშუქობა, ალკოჰოლი, წამალი, მილიცია, დაჭერები და ცემები, ისევ სმა, ნარკოტიკი და გაუთავებელი ლოთობა. დავით ვაშაკიძე უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ინფექციური საავადმყოფოს ჰეპატიტების განყოფილებაში მოათავსეს. თვეებს საავადმყოფოს ცივი პალატის მარტოობაში ატარებდა... ცოლი გაშორდა – ოჯახური ცხოვრება დასრულდა...

2011 წლისთვის დავით ვაშაკიძის სექსუალური გამარჯვებებით საკუთარი მნიშვნელოვნების ამაღლების მოთხოვნა მკვეთრად დაეცა. თვითდაკვიდრების ვექტორმა მიმართულება შეიცვალა – მამაკაცის პოლიგამიური სიყვარულით გატაცებამ აშკარად იკლო და უფრო მეტად „ოცნების გოგოსკენ“ გადაიხარა. შეიძლება ითქვას, რომ ქალებთან ურთიერთობის ის ციკლი, რომელსაც მამრები, ჩვეულებისამებრ მთელი ცხოვრების განმავლობაში – ახალგაზრდობიდან მოწიფულ ასაკამდე გადიან, დავითმა სამ-ოთხ წელში დაძლია. ეს მოხდა 2011-ის ზაფხულს...

Dato, 9 июня, 21:17

გმადლობთ დამეგობრებისა და ნდობისთვის! დათო, საუკეთესო სურვილებით! გკოცნი ლოყაზე.

Tamta, 10 июня, 12:07

:))

ასე დაიწყო მათი ვირტუალური მეგობრობა. დათომ დაკვირვებით დაათვალიერა თამთას გვერდი, სურათები: „მაგარი გოგოა, ძალიან ლამაზი, კარგადაც იცვამს! ვაა, რა ტანი აქვს!.. მაგარი ნაშაა!.. რა საყვარლად იღიმება!“.

ინტერნეტით ფლირტმა ორი თვე გასტანა და აგვისტოს

ცხელ სალამოს ისინი შეხვდნენ. დათომ რუსთაველზე ღია კაფეში წაიყვანა. არაფრის თქმა არ აცალა – დასვა, მკლავზე ხელი დაადო და დაიწყო – სახიფათო ფათერაკებითა და გაუგონარი თავგადასავლებით აღსავსე ავტობიოგრაფია ერთი ამოსუნთქვით აღსარებასავით ჩააბარა. რაც მეტად უციმციმებდა თამთას თვალები, მით უფრო გატაცებით, ჩვეული ირონიითა და ფილოსოფიური გადახვევებით ავსებდა დავითი ისედაც წარმტაც წარატივს. აღფრთოვანებული მამაკაცი თამთას მოლიმარ სახეს, გარუჯულ კანს, მუხლებს, ფეხსაცმლის ამოჭრილ წვერში გამოჩრილ წითლად შეღებილ ფრჩხილებს, ტერფებს უცქერდა და სიყვარულისგან დნებოდა... გვიან ღამით მანქანაში ჩასხდნენ, კუს ტბისკენ გაასეირნა... ალერსზე თანხმობა ადვილად მიიღო, მაგრამ პირველ ჯერზე მეტს ვერ მიაღწია... ძალიან არც მოუნდომებია – გარშემო იმავე მიზნით მიმოფანტული მანქანების სიმრავლე მომენტის სიღიადეს კოლექტიური ყოველდღიურობის ელფერს სძენდა და აუბრალოებდა. მეორე-მესამე დღეს შეხვდნენ. ბევრი არც უფიქრიათ, პირდაპირ დავით ვაშაკიძის დაგირავებულ ბინაში გაქანდნენ... მათ ერთმანეთი შეუყვარდათ – ახალგაზრდა გოგოს და მონიფულ მამაკაცს.

თამთა საკუთარ თავზე თითქმის არაფერს ყვებოდა. მხოლოდ დავითის ექსპრესიულ ჩანახატებს უსმენდა გულისყურითა და ღიმილით. პირველი, რაც თამთას დახასიათებისას დათოს თავში მოსდიოდა, ეს იყო სიტყვები – თავნება, დამოუკიდებელი, ბავშვურად კეთილშობილი და გულთბილი. კაცობრიობაზე გულგატეხილმა დავითმა ქალში ესოდენ გავრცელებული ფარისევლობისა თუ ხელოვნურობის კვალიც კი ვერ აღმოაჩნა. თამთა იმდენად გულჩვილი იყო, რომ სულ უმნიშვნელო მიზეზითაც კი თვალზე დიდი,

მუშტისოდენა ცრემლი ადგებოდა. ერთხელ ბავშვობიდან რალაც ეპიზოდი მოუყვა, ძალღი მანქანამ რომ გაიტანა და თამთას გადახედა – გოგოს ცრემლები ღვარად სდიოდა. ასეთი ჩუმი, უპრეტენზიო და ესოდენ სუფთა გულის გოგო აქამდე არასდროს ენახა. დამატებით, ერთი გარემოება იყო მეტად მნიშვნელოვანი – საკმარისი იყო დავით ვაშაკიძეს ქალში რუსეთისადმი თუნდაც მინიმალური სიმპათია აღმოეჩინა, რომ მასთან სასიყვარულო ურთიერთობა მყისიერად წყდებოდა. ამ მხრივაც თამთასა და დავითს შორის სრული იდილია სუფევდა. „უალრესად მორჩილი, მუდამ მოლიმარი, მოსიყვარულე და, იმავდროულად, დამოუკიდებელი, თავისუფალი – გასაოცარი შერწყმა!“ – ფიქრობდა აღტაცებული დავითი.

როდესაც საკუთარ თავს უსვამდა კითხვას, უყვარდა თუ არა თამთა, მაშინვე, აჩუყებული გულის სიღრმიდან ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამოსდიოდა – რა თქმა უნდა, ძალიან! მაგრამ იქვე, სადღაც გვერდით, ახალი ქალის დაუფლების სურვილიც ბუდობდა. ლალატის ვნება ძირითადად თვლემდა, ხან კი აწუხებდა და ამ დროს, დათოს საკუთარი უმადურობის გამო სინდისი ქენჯნიდა – ახალგაზრდა, მომხიბვლელი თამთა ასაკოვანი დათოსადმი ხომ ესოდენ დიდ სიყვარულს იჩენდა.

მამაკაცი მიხვდა, რომ მათ ურთიერთობას ლალატისგან არა მამრის ბუნება, არამედ საყვარელი არსების სავარაუდო მოტყუებით გამოწვეული სინდისის ნუხილი იცავდა. აქედან დავით ვაშაკიძემ დაასკვნა: მიუხედავად გარკვეული დროით მონოგამიურ ურთიერთობაზე შეჩერებისა, კაცი მაინც „პოლიგამიურ ცხოველად“ რჩება და მას ლალატის სურვილი ახალი, მიმზიდველი მდედრის დანახვისთანავე უჩნდება.

დავითს კიდევ ერთი გარემოება არ აძლევდა მოსვენებას – ეს იყო მისი ასაკი. მამაკაცს არ ტოვებდა შეგრძნება, რომ თამთა თითქოს უხილავ თოკზე ჰყავდა გამობმული და მისგან შორს, სხვასთან არ უშვებდა. მართალია, გოგო ძალიან უყვარდა, დიდ პატივსაც სცემდა, მაგრამ წლებმა, თანმხლებმა ნაირნაირმა სნეულებებმა, მუდმივმა მოთენთილობამ, შესაძლოა, გრძნობების დაჩლუნგებამაც, დათოს დაანახა, რომ ძლიერ დააგვიანა – დროის სვლა გადაულახავი წინაღობა აღმოჩნდა. დათოს თამთა, გარდა საკუთარი ბინისა, არსად დაჰყავდა – კინო თუ თეატრი, ბარი თუ რესტორანი, ხალხმრავლობის გამო მამაკაცს სძულდა და ამგვარ გართობას ერთი კარგი ძილი ერჩივნა. წყვილი ერთ-ორ კვირაში ერთხელ დათოს დაგირავებულ ბინაში ადიოდა და თავდავიწყებულ სექსს ეძლეოდა. ამიტომაც, თამთას სასიყვარულო მახეში გაბმა საკუთარ ეგოიზმად მიაჩნდა და სულ აპირებდა, ეთქვა: „წადი, ჩემო თამთა, წადი და ეძებე შენი ბედნიერება. ჩემზე დროს ნუ კარგავ. მონახე ვინმე სხვა. მე მოვხუცდი და დავაგვიანე“... მაგრამ ვერა და ვერ ბედავდა, რადგან გოგო ძლიერ უყვარდა, მისი დაკარგვა არ სურდა და ამას გარდა, მის ცრემლებს მეტისმეტად უფრთხოდა! დათოს ეშინოდა, თამთას მისი სიტყვები ხელის კვრად არ მიეღო... ყოველივე ეს აჩუმებდა და ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებდა. არადა, გოგოს საკუთარ ცხოვრებაზე მიბმა მხოლოდ თავისი სიამოვნების გამო ძლიერ ტანჯავდა. შესაძლოა, დავითი ართულებდა და ცხოვრებისთვის უფრო იოლად უნდა შეეხებდა? თუმცა მისი ბუნება ასეთი იყო და ამას არაფერი ეშველებოდა.

გავიდა სიყვარულის ერთი წელი. ერთხელაც, მორიგი უთანხმოებისას (დათოს მუდმივი მოუცლევლობის გამო), თამთამ მისი მიტოვება დააპირა... პაუზა რამდენიმე დღეს

გაიჭიმა. თითქოს თამთას ურთიერთობის გაგრძელება აღარ სურდა... დათომ დუნედ, ძველი ჩვეულების თანახმად, სხვა, ახალ ქალთან ზერელე ფლირტი მაინც გააბა. ბოლოს თამთამ მოსწერა:

Tamta: დათ, ძალიან მიყვარხარ და ძალიან ვაფასებ იმას, რომ ჩემთან ერთად იყავი, მაგრამ ახლა მინდა შევწყვიტოთ... მაპატიე და არ გაბრაზდე, გთხოვ!

Dato: კაი, კაი, დამშვიდდი, არ ვბრაზდები!

საუბარი დასრულდა... დათო სასტიკად გაბრაზდა – მესაკუთრეს დაასწრეს! თამთა თავისი ნებით, მას პირველი ტოვებდა! დაიწყო საშინელი წყენა, ტკივილი და ხანგრძლივი დარდი, „ფეისბუქში“ თვალთვალი და ეჭვიანობა. რა იყო ეს – ეგოიზმი, ავადმყოფური თავმოყვარეობა თუ სიყვარული? ალბათ, ყველაფერი ერთად. დავითის გრძნობათა გამა სიყვარულსა და გაკოტრებული მესაკუთრის გულდანწყვეტიდან ღალატამდე იცვლებოდა.

...ერთი თვის თავზე წერილი მისწერა: „თამთა! ბევრი ვიფიქრე, ბლომად ვიოცნებე და მივხვდი: ჩემი მიზანია, ჩემი „ოცნების გოგოს“ თვალზე ცრემლი არ გაჩნდეს და მისი სახე მუდამ ღიმილით ციმციმებდეს, ამაზე უკეთესს დღეს ვერაფერს გავაკეთებ! თუმცა, არც ნობელის პრემიას ვივინყებ... ამბიციური ვარ, ორი რამ მინდა და ვოცნებობ: ნობელის პრემია და გარდაცვალების შემდეგ ძველი „კომპოდე ფიორეზე“... სამწუხაროდ, „ოცნების გოგოს“ პოვნა ჩაიშალა, წლების ღიმიტს გადავაცილე“.

შემდეგ სურდა, როგორღაც ის ეთქვა, რომ ადამიანური ბედნიერების საწინდარი ეგოიზმისა და საკუთარ თავში განსაკუთრებულობის განცდის ამოძირკვაა... მარ-

თალია, ამ აზრს თეორიულად მაინც იზიარებდა, მაგრამ წარმატებისკენ სწრაფვის გზაზე ხელოვნურად ჟღერდა. ამიტომ, წერილი ასე დაასრულა: „ჩვენ დავშორდებით, მე გავექრები... დიდი და მნიშვნელოვანიც არაფერი მოხდება, მე ხომ მხოლოდ ერთი, რიგითი მტვრის ნაწილაკი ვარ ამ უკიდევანო გალაქტიკაში და სხვა არაფერი... თუმცა, ისიც ცხადია, რომ ცალკე ნაწილაკი ანარეკლია მთელი სამყაროსი და ეს უმნიშვნელო, მიკროსკოპული ნატეხი, შესაძლოა, იტევდეს კიდეც მას“, – ჩაფიქრდა და დაამატა: „რაოდენ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, ადამიანები ზოგადად... მეც ალბათ... განწირულნი ვართ მარტოობისათვის.“ – ეს ერთადერთი ჭეშმარიტი და შეუვალი ფრაზაა მთელ ამ წერილში“.

...შერიგების შემდეგ რომანი ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. დავითი მწარედ ხუმრობდა ხოლმე: „ეჰ, ინფანტილური პოლიგამიიდან გამოვედი და მონოგამიის გზით მოხუცებულობის გახანგრძლივებულ ძილამდე მივედი. რა ნახევარი საუკუნე გამოვტოვე, თუ გამომატოვებინეს! უსიყვარულო და უსექსო საბჭოთა კავშირისა და წამლის დედას შევეცი მეეე!!!“

ეპილოგი

2013 - 2020 წლები

2013 წლის ოქტომბერში, პირველად, ახალი საქართველოს ისტორიაში მოხდა ძალაუფლების, „კალაშნიკოვისა“ და „მუხის“ გარეშე, არჩევნების გზით გადაცემა. ხელისუფლებაში ცხრა წელი ყოფნისგან გაამაყებული, ხშირად თავგასული, საკუთარ უცდომელობაში დარწმუნებული „ნაციონალური მოძრაობა“ იძულებული შეიქნა, გზა დაეთმო ნაკლები პოლიტიკური გამოცდილებისა და პროფესიული კვალიფიკაციის, ნაწილობრივ, საბჭოური კადრებით დაკომპლექტებული „ქართული ოცნების“ ამორფული კონგლომერატისთვის. ძველი საბჭოური ელიტისა და მისი შთამომავლების მმართველობის პირობებში რუსული საფრთხე კვლავ გაიზარდა. წარჩინებული საზოგადოებაკი, ფაქტობრივად უცვლელი შემადგენლობით, უკვე „გაეწროპელებული“, მაგრამ მაინც ფეოდალური კლანებითა და „ძეხვმოყვარე“ ელიტური სექტებით, მშვიდ, უშფოთველ ცხოვრებას აგრძელებდა. ხალხის ძირითადი მასა, ამჯერად ახალი მმართველობის პირობებში, კვლავ გაჭირვებაში, უიმედობასა და უმუშევრობაში არსებობას ეჩვეოდა...

„ჯიშინები“ კარგა ხანია გადაშენდნენ, გამძლე „დვარნიაჟკების“ ეპოქა დადგა! გადაჯიშების ეს პროცესი ხელისუ-

ფლების ცვლისა და „მეორეული“ ფიგურების აღზევების შემდეგ განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩნდა – ქვეყანა მარაზმის მორიგ, თვისობრივად უფრო ღრმა სტადიაში შევიდა, კულტურული ცხოვრება პრაქტიკულად ჩაკვდა. მიუხედავად ყველაფრისა, ეროვნული ელიტის ცხოვრება დულდა და გადადულდა! მწერლებისა და პოეტების ათკაციანი ჯგუფი ერთმანეთში ლიტერატურული პრემიებს ინანილებდა; ჟურნალისტებს სიძულვილისა და აბსურდის წლის საუკეთესო მთესველის ნოდებით აჯილდოებდნენ; მომღერლების, მოდელების, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების სხვა გამოჩენილი მოღვაწეების სექსუალურ ფოტოებს ჟურნალების „ქალაქი და ქალაქელების“ თუ „ნათელი ტაბურეტი“, „ანწყვეტილი ლიბერალი“ თუ „ცხელი ბომონდელები“ გარეკანზეც კი ათავსებდნენ... ადამიანები იხვენებოდნენ, ბინიერი ხორცისგან განიმოსებოდნენ, აი, ანგელოზები და მთავარანგელოზები ზეციურ ტელესივრცეში, „თვალცრემლიან პირისახეში“ გამოჩენის ღირსნი ხდებოდნენ, ხოლო ღმერთებს „ბაბუკას შოუსა“ ან „მივინყებულები სელებრიტების თოქ-შოუშიც“ კი პატიუებდნენ! საბჭოეთის დროიდან შემორჩენილ პერსონაჟებს, სანამ ისინი ზეცად ამაღლდებოდნენ მონიკელებული ვარსკვლავის სახით, ფილარმონიის ასფალტში აცემენტებდნენ და იუბილეებს უხდიდნენ.

დამოუკიდებლობის ორ ათეულ წელზე მეტი ილეოდა, ღვანლმოსილები მათმა „უნიჭიერესმა“ შვილებმა და შვილების „მონინავე“ მეუღლეებმა ჩაანაცვლეს, უკვე შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ჯეჯილი ბიბინებდა, ახალი ფეოდალების უკანასკნელი ნაბარტყის ეპოქა ახლოვდებოდა. მიდიოდა, მიედინებოდა ყოფიერების მდინარე, რაიმე იმედისმომცემი ან ხელჩასაჭიდი „ნათელი

წერტილი“, საიდანაც, თუნდაც წარმოსახვაში, გახდებოდა შესაძლებელი საქართველოს ღირსეული მომავლის განჭვრეტა, ისევ არ ჩანდა. საქართველო კვლავ სასწაულისა და მითოლოგიური „გაბრწყინების“ იმედად რჩებოდა...

დავით ვაშაკიძის ცხოვრებაც ისე უბედურად აენყო, რომ სამამულო ბომონდმა მას „იგნორის“ ძაფისგან ნაქსოვი უჩინმაჩინის ქუდი ჩამოაფხატა. ელიტარული სექტებისა და ფეოდალური კლანების მსაჯულებმა წარმატებისკენ მიმავალი ერთადერთი ბილიკი დაუტოვეს – მისი დიდების შარავანდით შემკობის გზა ჯორდანო ბრუნოს მონამეობრივი აღსასრულის მსგავსი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო დავით ვაშაკიძეს, თუნდაც სიკვდილის შემდეგ, ეროვნული გმირის ნოდების ღირსი გამხდარიყო. ისიც ამ ოცნების აღსრულებაზე ფიქრს მიეცა.

მაღევე გაირკვა, რომ ეს ნატვრა არც ისე ახლოს იყო...

ჯერ ქართული ინკვიზიციის ცეცხლში დანვა აიკვიატა და ეკლესიის ნაკლოვანებათა მხილებას მიჰყო ხელი, აგვისტოს ომის შემდეგ კი რუსული ტანკების ქვეშ ლიმონკებით შევარდნას ნატრობდა. არ გამოვიდა, სამშობლოსთვის გმირულად დაცემულის ძეგლი „კომპო დე ფიორეზე“ არ წამომართულა. გარშემო გამყიდველი „ჯოვანო მოჩენიგოებიც“ ოხრად იყო, მაგრამ იმხანად ინკვიზიციის შესაძლებლობები ჯერ კიდევ მოიკოჭლებდა. მას, კვლავ და კვლავ, მოსვენებას არ აძლევდა ერთი უმნიშვნელოვანესი კითხვა: „რა ექნა, რით დაელნია თავი უჩუმრად ცხოვრების უწონადობისგან და უცნობლობაში სიკვდილისგან?“. სასოწარკვეთაში ჩავარდნილი დავით ვაშაკიძე უკიდევანო ამბიციურობისა და ასეთივე ჯინიანობის გამო არ დანებდა და პოპულარობის მოხვეჭის შესაძლებლობას ხელს არ უშვებდა...

წარმატებისკენ სწრაფვის პროცესს 2013 წლის პოლიტიკურმა ძვრებმა მძლავრი ბიძგი მისცა. გადამდგარი ხელისუფლებით იმედების გაცრუებამ დავით ვაშაკიძე აიძულა, რალაც ახალი გზები ეძებნა. ასე გარდაიქმნა ის პუბლიცისტიდან მწერლად. ბევრი რამ ადრეც ჰქონდა დაწერილი, მაგრამ აბა, ვის აინტერესებდა საქართველოში ვილაც დავით ვაშაკიძის ლიტერატურა? ახალი ფეოდალები სარფიან ადგილებსა და ლიტერატურულ პრემიებს, მამა-პაპისეული ტრადიციისამებრ, ან საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს, მამიდებსა და ბიცოლებს, მაზლებსა თუ ქვისლებს, დეიდაშვილებსა თუ სიძეებს ურიგებდნენ, ან ზემოდან დასახელებულ სახელისუფლებო თოჯინებს განადიდებდნენ. ამ პირობებში დავით ვაშაკიძის პერსპექტივები თითქმის უიმედო იყო – აბა, როდის მოვიდოდა მისი რიგი?

მაგრამ დავითი რისი დავითი იყო, თუ გოლიათს შეუშინდებოდა და არ შეებრძოლებოდა?! მამ ასე, წინ! – გადანყვიტა მან და მწერლების შურით, კრიტიკოსების დაცინვითა თუ ლიტერატურული კონკურსების უსამართლობით დანაღმულ ველზე ფეხი შედგა! თუ ადრე გმირულად, ტანკის ქვეშ სიკვდილს ნატრობდა, ახლა უკვე ლიტერატურულ წარმატებაზე, სიტყვაში უკვდავებაზე ოცნებობდა, რაც სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ რუსული საფრთხის შემთხვევაში ისეთივე თავგანწირვით არ დაუდგებოდა მტერს. თავის „ორპირულ ქრონიკებში“ ის წერდა: „მე დღეს უკვე თბილისში, ამჯერად რუხ-ვერცხლისფერ, საკმაოდ მოძველებულ Golf-4-ში ვზივარ და ტანკების კოლონას ველოდები. ვზივარ არა მარტო მე, ბევრი სხვაც. ამჯერად რუსული ტანკები უფრო ახლოს არიან, 40 კილომეტრში თბილისიდან. ჩვენ, ყველანი, ადგილზე ვართ!“.

თბილისი. ჩახუთული ზაფხული – პაპანაქება სიცხე. „პლენანოვზე“, „იტალიური ეზოს“ ერთსართულიან მინაშენში დავით ვაშაკიძე ცხოვრობს. ლამისკენ, აგრილებს ნაცვლად, გავარვარებული რკინის სახურავი ოთახს ადუღებს. სანოლში გამხლართულს ჯოჯოხეთურად ცხელა, ოფლი სდის, იხუთება...

...ყვითლად მოციმციმე ნერტილებით, ნეონის წითელი მორბენალი სტრიქონი მიედინება: „ნელსა 2020, თვესა აგვისტოსა, წმინდა ცეცხლის გადმოსვლიდან X-საკვირიაკესა, დღესა 31-სა, წყევლაი ჯორდანო უწმინდურისა, წმიდაცეცხლუარმყოფელისა. ხსნილი – ნაშებით ან რითიც გინდა“.

კაშკაშა მწვანეობრბლებიანი ვარდისფერი „კადილაკი“ სოფელ დაფნარის ხიდზე მიფრინავს. გულის ფორმის წითელი სანომრე ნიშანი – I Love J.F. Bruno – 666.

ყვითელ, ტყავმემოკრულ საჭეს მართავს... ვერ იცნო ვინ – ზურგით ზის, კისრის მიხედვით შავკანიანია. წითელი პიჯაკი, პერანგის ვარდისფერი საყელო, თეთრი ქათქათა კოკარდიანი ქუდი, დიდი თავი, კისრის გასწვრივ საძაგელი ნაიარევი.

დავითი უკანა სავარძელზე ზის, გვერდით გოგო... თუ წინ? არაა, გვერდით სჯობს! ოდნავ ჩანეული მინა, ზღვის ბრიზი. თამთას აწეწილი თმები სახეზე უღივინებს, თვალებზე ეფარება. სასტიკად ცხელა! ნაიარევიანი მძღოლი წითელ ლილაკს აჭერს, წინა სავარძლიდან შადრევანი ამოდის. დავითის ახლადგაპარსულ სახის კანზე შხეფები სასიამოვნოდ ხვდება.

ლურჯი ცა, მუდამ ამღვრეული, ტალახიანი რიონი, სიმინდის ჭალები...

წინ, ხიდის უშველებელი საყრდენი კოშკი. ოდნავ ნაჟან-

გულა. თავზე, ნავთობსადენ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“, შავი დადუღებული მილების უზარმაზარი ჯვარი – ცას სწვდება, ღრუბლებში იკარგება. ჯვრის მხრებზე კვლავ მორბენალი სტრიქონი, ამჯერად მუქი ლურჯი, მწვანე წინ-წკლებიანი ასოებით: „სრულიად ლონდონისა, მანჩესტერისა და ზადენი-ორპირის ეპარქიაზე, გრაკალის ჩათვლით, Wireless მაღლის გავრცელებით, მთავარეპისკოპოს მეუფე პეხოს კურთხევით, დათო-„ჯორდანო“ უნმინდურის გმობისა და სამუდამო გეენის ტაძარი შენდება. გიბრძანებთ, თქვენი მცირედი შემონირულობით გაინაღდოთ სასუფევლის საგზური! დარეკეთ ტელ-ზე: 577777777. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ! ცეცხლი ერეტიკოსებს, ბარო!“.

გაქანებული მანქანის ფანჯარაში თავი ჩნდება! სიდიდის, გალიზიანებისგან გადაბრეცილი სახისა და მრისხანე მზერის მიხედვით – ვუდსტოკის, ჰარლემისა და ურბნის-რუისის (ბორჯომის ხეობაში უსადენო მაღლის ჩადინებით) ეპარქიის მიტროპოლიტია – მეუფე ჯეკ იობსი. დათოს უყურებს, გაბრაზებულია, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრის!

– ბიჭო, შე ერეტიკოსო, არ გადმოდის ჰო, ცეცხლი?! ფული გადაიხადე, თორე თავს ნაგანყვეტ, ანათემას გადაცემ!.. და გახსოვდეს – ხაშური გაბრწყინდება, გრაკალთან და ორპირთან ერთად! ინგლისი კი – დაიძირება, დაიძირება-ა-ა, გაიგე-ე-ე, შე არამზადა! რას ერჩი ერთმორწმუნე რუსეთს, კგბ-ს... ფუი ეშმაკს! – ფსბ-ს?! ბლოკპოსტებს, ჰა?! ვაშა საბჭოთა ავიაციას!

დათოს მაგრად შეეშინდა, ძალიან მაგრად – დაპატარავდა, ვირთხის ფერი დაედო! მომენტალურად ფანჯარას მაღლა სწევს, თან ცდილობს, ჯეკ იობსს თავი მოაყოლოს. არ გამოუვიდა, მხოლოდ წვერების ბლუჯა მოაგლიჯა. დიდი, განრისხებული თავი, გრძელი წვერით, სხეულის გარეშე,

ზეცაში მალღდება, უჩინარდება ღრუბლებში... შვეებით ამოისუნთქა – „განი აქედან, ამის გიჟი... უფფ!“.

ავტომობილი უცებ შეზანზარდა, კუდი მოიქნია. უკან მოიხედა – „მეც არა ვთქვი, ამას ასე ადვილად რას მოიშორებ!“. მეუფე ჯეკ იობსის უთავო ტანი მოსდევს. ხელში – ალესილი ყამა, „ტარმაზნოი შლანგების“ გადაჭრა მოუსწრია! ხედავს, მუცლიდან ბასრი კბილები ეზრდება, უთავო ყბა „ყუმბარებსა“ და „კალოდკებს“ ეძგერა. მაზუ-თიანი ლითონის დაღეჭვას ლამობს, უჭირს. კბილების ღრჭიალი... ეჰ, ხასხასა მწვანე საბურავიანად ჩაახრამუნა.

დავით ვაშაკიძის ვარდისფერი „კადილაკი“ 100 მილის სიჩქარით, უმუხრუჭოდ, უკანა ბორბლის გარეშე, დაფნარის ხიდის რუხ ასფალტზე მიექანება... ამღვრეული, ტალახიანი რიონი, სიმინდის ქალები, ლურჯი ცა. უკანა სავარძელზე – დავითი და მისი უსაყვარლესი თამთუშკები. გაშლილი თმები სახეზე ეხება, თვალეზე ეფერება. წინა სავარძლიდან შადრევნის გრილი შხეფები.

მანქანა მიფრინავს. ხიდის მოაჯირზე ჯვარცმული, ნახევრად გახრწნილი გვამები, ზოგიც უკვე გამხმარი, გამავებული და მუმიფიცირებული, გაყვითლებული ძვლებით, გათეთრებული თმის ნაგლეჯებით. კისერზე ფანერის დაფები, სისხლით ნანერი, წვეთ-წვეთ ჩამოღვენთილი ასოები:

„ლიტერატურის გაუპატიურებაში შეტანილი წვლილისთვის მ. ბულგაკოვის სახელობის „მასსოლიტის“ პრემიითა და „წლის პროზის ბედუკაძის“ საპატიო ნოდებით დაჯილდოებულინი: „კ-ს მაზლი ბ.“, „ნ-ს ქვისლი კ.“, „ლიტ. კონკურსების ჩემპიონი რ.“, „ელიტური ავტორიტეტი ფ.“, „უნაზესი ლიბერალი დ.“, „მეცენატი ტ.“, „ფეოდალი ჟ.“, „სხვა...“...

„ლიტერატურის მწვალებელთა გვამებია, ნაღდი!“ – გაიფიქრა დათომ და ძლიერ ეამა... „ჰოი საოცრებაჲ, ჰოიიი

– ემმას მოდგმა გაუჟღეციათ, დანარჩენ უგუნურებს, როგორც იქნა, შეუგნიათ – ბიცოლებს და მამიდებს – არა! ზემოდან ზარებსაც – ნნუ! ფეოდალურ ჯეჯილს – ნოუ! ვაშააა, ვაშა – თბილისის, ქუთაისის, ზადენის, ორპირის, გრაკალისა და სრულიად დაფნარის ინტელიგენცია გონს მოსულა!“.

გასწვრივ კვლავ ჯვრები, ბევრი, უზარმაზარი ჯვრები, რკინის მიღებისგან, დადუღებული ლიანდაგებისგან – ჯვრები, ჯვრები, ჯვრები! ეუუფ, ერთი უშველებელი შუა გზაზე დგას! ბეტონის ფართო საყრდენს გვერდს ვერ აუვლი... მიღების გადაკვეთაზე, ხუთქიმიან ვარსკვლავში იოსებ ბესარიონის ძე სტალინის უფერული, ოვალური სურათია ჩასმული.

ულვაშებში იღიმება: „ახლა სად წამიხვალ, შე დაბრკოლებულო ცეცხლისმფქვეველო?!“ – ამბობს და ჩიბუხს უკიდებს. გააბოლა. წარბებს კრავს. დავითს ცახცახი იტანს. უთბილესსა და უკეთილშობილეს თამთანუშკებს როგორც მშობელ დედას, ისე ეკვრის, თავს კალთაში უყოფს, ემბრიონის პოზას იღებს და ჩურჩულით ყვირის: „იოსებ ბესარიონის ძე, ბესარიონის ძე, უსაყვარლესო ამხანაგო კობააა!.. თქვენ ხომ, როგორც ლაშამ და მამა კანდეღმა თქვეს, ცხონდით, რალას მერჩიი-ით, რაა-ას?!“. სტალინმა ზიზლით დახედა, დაანაფაზა და სახეში შეაბოლა. თავზე დააფერფლა. „ჭერცოგოვინა-ფლორის“ მყრალი სურნელი. კვამლში გახვეულ დათოს ესმის:

– ხარაშო სტელემ, სუკა, მალადეც პარენ. გადაუხადე, ბიჭო, და დავაი აქედან დაახვიე!“.

– ტავარიშჩ სტალინ, რა გადავიხადო, რაა?! დროზე მიბრძანეთ, ჯვარს ვეჯახებით!

– ფული, შე უგუნურო, ფული! აგერ ნახარებაუში, ჩემი

ძველი პადდელნიკის, პოლუ-წმიდა ლავრენტის ტაძარს ვაშენებთ. სრულიად კრემლისა, ზაგორსკისა, ვანისა და ბალდადის ეპარქიებზე უსადენო მადლის მოპკურებით, მთავრებისკოპოსი მეუფე ფეოფილაქტე ბულია აგროვებს შესანიშნავს და იმას მიეცე, შე ნელ ცეცხლზე ნედლად შესანვაო!

დავით ვაშაკიძე უკანასკნელ ლარებს ჯიბიდან იღებს და ჯვარს ესვრის. ისმის ტელეფონის ზარი... Sony Ericsson-ის Classic phone-ა. დავითის მობილურია! სავარძელზე ხელებს აფათურებს, აპარატს ეძებს... ხელში თამთუკას ტრაკი ხვდება. როგორც ყოველთვის მობილურს ზედ აზის. თამთა ტელეფონს აწვდის... ხმა: „გმადლობთ, თქვენი ზარი მიღებულია! დისპეჩერი მეუფე ფეოფილაქტე ბულია. წმიდა სტალინის მადლი შეგეწიოთ თქვენ და სრულიად საქართველოს!“ . სიამაყით აღივსო, შიშის მიუხედავად, ძღვევამოსილი კდემამოსილება დაეუფლა: „ისევ მე და სრულიად საქართველო, ერთად – დეპუტატ სერგო გალდავას ბაძავს! ძალიან მაგარია!“.

ვარდისფერი კადილაკი კვლავ დაფნარის ხიდზე მიერეკება-მიხტუნაობს, დავითმა არ იცის, სტოკჰოლმისკენ, თუ პირიქით, უკან, ორპირში? ხიდის საცალფეხო ტროტუარზე დეპუტატი სერგო გალდავა ზურგით დგას. ფეხებთან ასფალტზე თავისცემით, ყვითელ ჟაბოიან ბლუზაში, შავ შემოტკეცილ „სტრეიჯებში“, ასეთივე ფერის ლაქის მაღალქუსლიან ჩექმაში გამონწყობილი არსება დიდ მეტანიებს ასრულებს. მკერდი ასფალტს ეხეთქება, სრული მეტანიის გაკეთების საშუალებას არ აძლევს. ჯაგლაგი წვალობს, ჭიხვინებს, ოფლი სდის. „პარმენიჩი“ ითვლის: „ ... 84...85...“

– გეინძერი, შე ცხენო, რო გადმოგიყრია მაი ძუძუები!

კაი იყო, ვალერიე გზის გლახამ ფეხის ცერით რო ჩაგხადა, ხო?! გეინძერი-თქვა!

სასონრკვეთილი ჯაგლაგი ტირის, დეპუტატს ხელზე ეამბორება და მეტანიებს უჩქარებს:

– „პარმენიჩ“, ჩემო საყვარელო „პარმენიჩ“, შემინდე ვალერიას ცერა თითი, შემინდე მრუშობა და სიძვა, ყველაფერი ერთად მომიტევე!

„შემოტკეცილსტრეიჯებიანი“ არსება სერგო გალ-დავასკენ ცახცახით იწევს, ხელზე ემთხვევა – მაპატიე, „პარმენიჩ“, მაპატიე, რაიაო. დაუნდობელი დეპუტატი ქალს თმებში სწვდება და მუჯღუგუნს აყოლებს – ღვთის განგებით წყალში აგდებს. ისმის მფრინავი ცხენის სინანულით აღსავსე გოდება:

– კაი, რაია, „პარმენიჩ“, კაი, რაიაა... გალობს: „უფალ-ი-ო შეგვინყალე, უფალ-ი-ო შეგვინყალე, უფალ-ი-ო შეგვი-ნ-ყა-ლეე...“

...და ზუსტად ეს ბოლო, გადარჩენის იმედით აღსავსე სინანული შეისმინა უზენაესმა, იმავე „უფალ-ი-ომ!.. უმანკო წმიდა ჯაგლაგი, თმაგაშლილი, წყალზე სვლით, ნარნარად, მოშიშვლებული მკერდითა და ტრაკის კდემამოსილი ქნევით რიონს გადადის. ჭეშმარიტ გზაზე მოქცეული ცხენის მშვენიერ სარძევე ჯირკვლებს ოქროს ჯვარი ამშვენებს. ჯვარი მორცხვობს, ღარის ნაპრაღში დაკარგვას ლამობს. სოფელ ტობანიერის მოპირდაპირე ნაპირიდან მართალ ქალბატონს არანაკლებ მართალი ორპირის გამგებელი, ვალერიან შენგელია, ეგებება. მუხლებამდე დაძირული მოდის – შაქრიან ღვინოს, სამარხვო კოტლეტებს „ნოკია-მობილურს“, ოქროს ჯვარს თავისი ოქროს სქელი „ცეპითა“ და ოქროს „პერსტენით“ დიდი წონა აქვს.

გემოთმოყვარეობამ და ვერცხლთმოყვარეობამ ვალერი

ოდნავ დააბრკოლა. ის ისვენებს და შემდეგ წყლის ზედაპირზე ნახევრად ლივლივით სვლას მაინც აგრძელებს. თმაგაშლილ ჯაგლაგთან მიახლოებისას ფეხის ცერათითს პირში იყოფს, ალებინებს... ოქროულობას იძრობს და წყალში ყრის – „მეც მაგრად მომინდა ცხონება, ჩემო ჭიხვინია, ოღონდ შენთან ერთად!“, ამბობს და „სტრეიჯე-ბიან“ ჯაგლაგს ტუჩებში კოცნის. „ჩემო „პანკუ“, ჭიხვინ“- ნაზად პასუხობს ის... შიშველი სხეულებით ერთმანეთზე მიკრულნი, თეთრ სველ ზენარში გახვეული უბინო წყვილი ეთერში უჩინარდება... ზეცად მოლივლივე, საკმაოდ „გაალკაშებული“ და ფრიად ნეიტრალური ორპირის საკრებულოს თავმჯდომარე სოკრატ გულდედავა ხარობს! სოკრატისა და კოლიას მარკეტის გამყიდველების დასის გალობა ისმის: „ალილუია, ალილუია, სქიზმა დეიდლიაა-ა, ინგლისი დეიდირაა-ა, ვალერიე და ცხენი შეერთდნენ, ალი-ლუი-ი-აა!“.

ვარდისფერი კადილაკი ეჯახება სტალინიან ჯვარს, გზას წყდება, ხიდის ჯებირს ეხეთქება, მოაჯირს არღვევს... დავითი და თამთა დაფნარის ხიდიდან მიფრინავენ. ქვემოთ – ამღვრეული, ტალახიანი რიონის აზვირთებული ზედაპირი. აქაფებულ, სისხლნარევ წყალში გიგანტური ლოქოების ხროვა. სასიკვდილო როკვით წრეში ჩამდგარან. გალესილ კბილებს კრეჭენ, ეშვებზე ნერწყვი სდით. ნაზი თამთუნია დათოს მკერდზე ეკვრის, ცივი ხმით კივის – „დათოო, დათოო, რა გაატრაკე, ხომ გაფრთხილებდი, ეს ჯორდანო ბრუნობა ცუდად დამთავრდება-მეთქი, ხომ გეუბნებოდი, ხომ!..“

„დაიკიდე, თამთუნია, დაიკიდე, სხვა გზა არაა...“ – ესლა მოასწრო დავითმა და ბეჭში რიონის მრავალი ღლავის ბასრი კბილები ჩაესო... ღრჭიალი, ძვლების მსხვრევა. ხერხავენ,

ხერხემალში ამტვრევენ. გონებას კარგავს...

უჩვეულო არამინიერი სიმშვიდე, სიმსუბუქე, ნეტარების შეგრძნება. ეთერში ლივლივებს.

გამჭირვალე ცისფერი-მოვარდისფრო სივრცე, ოდნავ ბურუსი... „ვაა, სადა ვარ? ნუთუ, ნუთუ...?!“

მიფრინავს. „მწერალთა სახლის“ აღმოდებული შენობა. ტაში, ფანფარების ხმა, დანახშირებული ფარდა იწვევა. დავითის წინაშე გიგანტური, ლურჯი აგურით ნაშენი ტაძარი აღიმართა! ძირი ღრუბლებშია. ცილინდრის ფორმის შენობას სავალი ბილიკები სპირალურად დაუყვება. „ვაააა, უყურე შენ, ბაბილონის კოშკის კენწერო სად ამოსულა!“...

საყვირთა ღმუილი! – მოოქროვილფრთებიანი, ხუჭუ-ჭთმიანი, ასი ათასობით ვარდისფერი ანგელოზის მომხიბვლელი გალობა: „ბა-რო ჯორ-და-ნოს, ბა-რო ჯორ-დან-ჩი-კო-ო-ოს – ცეცხლის-მფრქვე-ვე-ლი ნობელის პრემიას მი-ი-ღე-ებს!“ . ანგელოზთა გუნდთან ერთი მკვიანა ხმა დისონირებს: „ეგ ჯერ არ არის ი-ა-სნი-ოო, ეგ ჯერ არ გა-ი-ას-ნე-ბუ-ლა-ოო!“ . „ვაა, ეს საიდან მეცნობა?! უი, ესეც აქ ყოფილა!“ – ზეციურ დასს, მათსავით ფრთიანი, თავნაკრული, ფუნთუშასავით მთვარისებრი, კიტრისქერქიანი სახით, გრძელ კაბასა და შავ „ბათინკებში“ გამონყობილი მამა კანდელის მეუღლე, ფოტინია, ხელმძღვანელობს! დავითი, ზიზღნარევი აღფრთოვანებას ნაზი ბლავილით გამოხატავს: „აქსიოს დე-და-დედო-ფალოო, აქსი-ოს, ჩვენო დე-დი-კოვ! ინგლისი უკვე დაიძირა, ამერიკა მოიქცა, თქვენ გაი-მარ-ჯვე-ე-ეთ! დო-ლ-ა-რიც და-ინვაა-ა და დედა მოე- ... -ნაა“ – ხმას უწყობს ანგელოზთა გალობას. „ჰააა, ნუ ბილწი-ტყვაობ, ბრუნო, სამოთხეა, შე ჩემა!“ – ესმის... შემოტრიალ-და, თითქოს არავინ ჩანს... საპირისპირო მხრიდან, ბეჭებზე რეაქტიული ძრავით, ანაფორაში გამონყობილი, მაღალი,

გრძელწვერიანი მამაკაცი შემოფრინდა. ხორციანი, ვნებიანი ბაგეები ღმუილით გალობენ: „რა დაგენძრა, ჯორდანოო, უი, რაა და-გენ-ძრაა-აა!“.

„ვაა, მამა კანდელიც აქ გაჩითულა!“ ჩამოფრენისთანავე, უმალ ტანზე „ტოტალიტარული დეიდებისა“ და „კდემამოსილი ბიცოლების“ გუნდი ეხვევა. ათობით ხელი, ნაზი, უფერული მტევნებით, გაშლილი თითებით და გველისებრი მოძრაობით დაცოცავს – ეროტიულ მასაჟს უკეთებენ. ერთი განსაკუთრებით აქტიურობს... მამაო აწითლებულია, ნეტარებისგან ბლავის: „ეუუ-ფფ, ეუუ-ფფ, როგორ ასწორებხს! მიდი, მიდი, ტატინა, ნუ ზარმაცობ! მიდი ტატინაუშკები, მორჩილი არნოლდი აღარ გახსოვს?!“. სტიქაროსანი „ლაშაია“ ცხელ წყალში ჩაყრილ ტერფებს უზელს. მამა კანდელი ტატინას ეფერება და თვალბეზინაბული ჩურჩულებს: „ხო გეუბნებოდი, შე დაბრკოლებულო ჯორდანო, მაგარია სამოთხე-თქო, ხო გეუბნებოდი, შე ჩემა!“

დავით ვაშაკიძე მრუშობის ვნებამ შეიპყრო, მაგრამ პოლუცია ვინ აცალა?! „შენ ფიქრობ, მოგცემენ ნობელს? არა მგონი, მეუფე პეხოა ამოსული, პირველიერაქ იახვე-||-სთან ერთად სამების საბჭოზე არიან! გუშინ მომავალი კვირის სავარაუდო ხილვებისა და მირომდინარე ხატების ნუსხის დასამტკიცებლად ყოფილან, ხოლო დღეს შენს საკითხზე ითათბირებენ... იქ, სულ ზემოთ!“

დათომ ვერც მოასწრო, გაეაზრებინა, რა უთხრა მამა კანდელმა და უცებ ექვსფრთოვანმა ცეცხლოვანმა ქერუბიმმა აიტაცა, სადღაც მიაქანებენ. მამა კანდელი ხარხარებს – „ნახავ შენ სეირს, ნახავ! ცეცხლი არ გადმოდის, ხო?! მამინ ნობელიც ფაფუუ! ჰა, ჰა, ჰა... ჰაა!“

სადღაც შეაგდეს – სხდომათა დარბაზია, თათბირი

მიდის. ღრუბლებზე ტახტი დგას – ღმერთი ზის, დათოს უღიმის. ღმერთის წინ – იახვე-II მუხლებზე. ოც-ოცი პატარა ეპისკოპოსი არწივებივით ორივე მხარზე აზის, ერთიც, მეუფე პეხო (მომავალი პირველიერარქი?) თავზე. ღმერთი ამბობს: „უსაკალელესო და უსათნოესო, ლოლ! მოკლედ, მე აღარ ვარ რა, უბრალო ბუტაფორიად მაქციეთ, აი! სულ თქვენსას უბერავთ – სტალინიც მაცხონებინეთ, ახლა ამ სანყალ, ნატანჯ ჯორდანოს ნობელის პრემიას არ აძლევთ! კაი რა, სინდისიც კაი საქონელია!“. იახვე-II სირცხვილისგან იწვის, თვალებს დაბლა ხრის, ხოლო მის თავზე მჯდომი, არწივისებრი მთავარეპისკოპოსი პეხო მაინც არ ცხრება: „არა მხოლოდ ნობელის გარეშე, არამედ ჯოჯოხეთის ცეცხლი, უძღები მატლი და შამფურები გვერდებში!“

ღმერთი: „ძმებო, შევუწდოთ, ცოდოა, ნანვალები კაცია... ერთი სიტყვით, ღირსია და მორჩა!“

ეპიკოპოსთა დასი ერთხმად გალობს: „აქსიოს ჯორ-და-ნო, აქსი-ოს, ჩვენო დათო, შენ გაიმარჯვეო!“...

* * *

შვედეთი, სტოკჰოლმი. საზეიმო ბანკეტი. ბროლის ჭაღებით განათებული დარბაზი. შვედეთის მეფე, შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის წევრები, საპატიო სტუმრები. შავი ფრაკები და სამეჯლისო კაბები.

2020 წლის 10 დეკემბერს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვა:

ბატონებო და ქალბატონებო, პატივცემულო საზოგადოებავ, მოგესალმებით!

მე, დავით („ჯორდანო“) ვაშაკიძე თქვენთან მოვედი!

გესტუმრეთ უძველესი კულტურის ქვეყნიდან – ივერიიდან. უმშვენიერესი ადგილიდან, სადაც დათოვლილ მთებს, მწვანეში ჩაფლული ფერდობები და ლურჯი ზღვა ენაცვლება! ჩამოვედი ედემის ბალიდან, სადაც კამკამა, ცივ მდინარეებში, კლდის ქვებზე კალმახი დასრიალებს და ალაზნის ველს ოქროსფერი მტევნებით ვენახი ეფინება. იმ ზღაპრული ქვეყნიდან გამოვჩნდი, რომელშიც სტუმართმოყვარე ხალხი, ცხოვრების გაუსაძლისობას „მრავალჯამიერიტა“ და გრაციოზული ცეკვებით აფერადებს. მე შოთა რუსთაველისა და ნიკო ფიროსმანის სამშობლოში დავიბადე და თქვენთან მოვედი!

თქვენთან უძველესი დროიდან მოვაბიჯებ... მე საუკუნეებია ქრისტიანობისა და ქრისტიანული ცივილიზაციის ფორპოსტს ვიცავდი! უამრავი წინააღმდეგობა და დაბრკოლება გადავლახე... იცით, ძალიან ბევრი ვინვალე:

გავუძელი მონღოლთა ურდოების თარეშსა და სასტიკომებს არაბ, სპარს და ოსმალ დამპყრობლებთან... გადავურჩი ლეკიანობასა და შიდა გამყიდველებს!

ავიტანე რუსეთის იმპერიის უმძიმესი წნეხი, სისხლით შევიღებე მრავალი აჯანყებითა თუ ომით ჩრდილოელ მეზობელთან და მაინც გადავრჩი, მე დღესაც ოკუპირებული ვარ და მაინც ვცოცხლობ...

„რკინის ფარდით“ შემოღობილ საბჭოურ „ხალხთა საპყრობილეში“ ჩამსვეს, ხერხემალში გადამტეხეს, კომუნისტური იდეოლოგიით გადამაგვარეს, თავში ცრუ ფასეულობები ჩამიბეჭდეს, დამაყარეს წამალი და ალკოჰოლი... და... და ამასაც გავუძელი!

თქვენთან არ მიშვებდა სამოქალაქო ომის ტყვიები და მოძმის სისხლი, შიმშილი, სიცივე და უშუქობა, კვლავ არ მიშვებდა წყეული რუსეთის იმპერია!

რუსეთზე შეყვარებულმა იერარქებმა, ამპარტავნებით შეპყრობილმა მღვდელმსახურებმა და „კანონიერმა ქურდებმა“ ბნელ საკანში გამომანყვდიეს... ბორკილები დამადეს: სიბნელემ და გაუნათლებლობამ, გაქვავებულმა დომებმა და არქაულმა ტაბუებმა, საბჭოურ-„ეროვნულმა“ ფასეულობებმა და ფარისევლურმა მორალმა – მე უფიცობას გამოვექეცი!

ამდენი წელია თქვენთან მოვდივარ და არ მიშვებდნენ ელიტური სექტები. გაბატობული კასტების უღრანი ტყეები და ფეოდალური კლანების მტაცებლებით სავსე ჯუნგლები გადმოვლახე... შურისა და ბოლმის ოკეანეები გადმოვცურე. მაბრკოლებდა მონობა, თვალთმაქცობა, მითოლოგია და უკრიტიკო აზროვნება... მაინც განვაგრძობდი თქვენკენ სვლას!

დაბოლოს, თქვენამდე არ მიშვებდა თქვენი ენის უცოდინარობა, ლიტერატურული კრიტიკისა და მთარგმნელობითი სკოლის არარსებობა!

უფულობა, უმუშევრობა და გაჭირვება არ მაძლევდა საშუალებას თქვენამდე მოსვლისა...

მე ხომ იმ ქვეყნიდან მოვდივარ, სადაც ხალხი წელში წყდება რუსეთისგან და უგუნური, მატყუარა, მექრთამე მმართველებისგან, სადაც ადამიანები დაიღალნენ მლიქვნელობისა და გაჭირვებისგან, სადაც პიროვნება დაითრგუნა „ყოვლისმცოდნე“, ვერცხლისმოყვარე სასულიერო პირებისგან...

მე გადავურჩი ხანგრძლივ მძიმე სნეულებებს და, ფაქტობრივად, ვძლიე სიკვდილს!

მთავარი კი, რაც თქვენამდე მინდოდა მომეტანა, ეს არის ის, რომ დღესაც არ მიშვებენ რუსული ტანკები და მავთულხლართები! მთავარი, რაც მინდა გაიგოთ, არის ის, რომ ჩვენ ორ საუკუნეზე მეტი ხანია, მოურიდებლად ვიტყვი – შეგვცა რუსეთმა!.. და, სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო – შინაურმა კოლაბორაციონიზმმაც! ერთი სიტყვით, დაგვეხმარეთ!

გაითვალისწინეთ – მე, ამაყი ერის ამაყი შვილი, თქვენთან სამათხოვროდ არ მოვსულვარ – თანადგომისა და თანაგრძნობისთვის მოვედი!

ეს მე ვარ, ქართველი მწერალი დათო („ჯორდანო“) ვაშაკიძე – მე და ჩემმა საქართველომ, ერთად, ბოლოს და ბოლოს, თქვენამდე მოვალნიეთ! მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც მოვედით!

ზურა ოდილავაძე. 2014 წელი, იანვარი.

ეგაა, დავასრულე!